


F 412
1954

დროშა

№ 2 თებერვალი 1954



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. ნებრინცევი

„შესვენება ბრძოლის შემდეგ“

მარგან ლაბანიძე

სათებერკლო ბარათი

ფრონტელ მებრძოლს ტაჯიბები ტაჯიბინოვს.

მწყემსო, მწყემსად გაჩენილო,
ტაჯიბები ტაჯიბინოვ,

შავი კვირა გაგიტენდა,
ხანჯლის ვადა დაგიგრძელდა...

ომიაო... სვი კუმისი
გასიებულ გულზე;
ეგ ბოზონი ყარა-ყოჩის
მოიხადე უცებ,

მოიხადე, დაახალე,
თქვი, რომ მწყემსი არ ხარ!
ცხვარი სარქალს ჩააბარე —
კოლექტივის სარქალს;

ფატმას კოცნა შეუთვალე
უშქარი და უშტი,
მერე მკერდზე დაიდვი
ცხვრის თავივით მუშტი

და გაოფლილ რუხა რაშით
შემოვარდი ბუხარაში...

შენ გეგონა ომის ალი
მოგივარდა სახლში.
შეგიბღვირა კომისარმა,
კუშტად გითხრა:
— „იახში!“

გადაგპარსეს ეგ ქოჩორი —
ფეხოსანი გახდი
და თოვლ-ქუაპში,
ცხრა მთას იქით,
გაიწეა ტრაქტი...

მწყემსო, მწყემსად გაჩენილო,
ჯარისკაცად გაქედილო —
ტაჯიბები ტაჯიბინოვ...

ალარც რუხა გყავდა რაში,
და ჩვენს შორის დარჩეს,
საზიარო კარდალაში
ბრინჯის ფაფაც ვხარშეთ!

ერთი მუჭა ბრინჯი არის
ჯარისკაცის ხარჯი.
ტაჯიბები იყავი და
ტაჯიბები დარჩი.

გეხსომება, შე თათარო,
როგორც ქალიშვილი
წითლდებოდი — ნუშა ჰგავსო
ფატმას თვალის ქრილი...

და კოცონთან, ბრძოლის შემდეგ,
იგონებდი მშობლებს,
იგონებდი დომბრებს, ჩობნებს —
ბიჭებს მჯობნის-მჯობნებს...

მისტოპავდენე სალდათები
ნაღმით მოხსულ ქალებს,
მიგორავდენე ზარბაზნები.
მზის დასავალ მხარეს.

ჩვენც ვიბრძოდით, ტაჯიბები,
ჩვენც ვიყნოსეთ დენთი,
ჩვენც დავცვიოთ წყვილი ჩექმა
და რუსი ძმის გვერდით
ჩვენი მზე და ჩვენი კრემლი
დავიცავით მკერდით!

* * *
ტაჯიბები, სად ხარ ახლა,
ამ თებერვლის დილას,—
ჩვენი პოლკის საყვირებიც
როცა სადმე გრგვინავს!


როცა ჩვენი პოლკის დროშაც
აღმართულა ცაში,
როცა გმირთა ზეიმია
და წლისთავი ლაშქრის!..

სადაც უნდა ვიყოთ ახლა
და მშვიდობას ვქედდეთ,
სადაც უნდა ვაშენებდეთ
კომუნისმის კედლებს,—

საქართველოს კორტოხებზე,
თუ კასპიის იქით, —
ჩვენ ვიგონებთ გზას და წვიმას,
მეგობარს და ჯიგიტს,

ჩვენ ვიგონებთ ძმისთვის ცეცხლში
გადავარდნილ ვაჟკაცს;
ვალდებურებოთ
კრემლს!
მშვიდობას!
და უძლეველ ლაშქარს!

საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერალური-სამხეობრივი მუშაკთა და მოსახლეობის გაერთიანების კომიტეტი



F1494

პლაკატი ი. ჯანაშვილისა

საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა

1954 წლის 16-დან 19 თებერვლამდე მიმდინარეობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის XVI ყრილობა.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია თავის XVI ყრილობაზე მოვიდა მჭიდროდ დარაზმული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-XVI ყრილობა შეიკრიბა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რომელსაც მთელ დიდ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად განიცდის ქართველი ხალხი, ანხორციელებს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების ისტორიულ დადგენილებებს.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ვ. პ. მყავანაძის საანგარიშო მოხსენება. ყრილობის მუშაობა მიმდინარეობდა გაშლილი კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად მთელი ძალების მობილიზაციის ნიშნით.

საქ. კ. პ. XVI ყრილობის მიერ არჩეულმა საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პირველმა პლენუმმა განიხილა ორგანიზაციული საკითხები.

საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია ამხ. ვ. პ. მყავანაძე, მეორე მდივნად—ამხ. მ. პ. გიორგაძე. საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის მდივნად არჩეულია ამხ. დ. ვ. მჭედლიშვილი.

პლენუმმა აირჩია საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ბიურო შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები ვ. პ. მყავანაძე, მ. პ. გიორგაძე, დ. ვ. მჭედლიშვილი, გ. დ. ჯავახიშვილი, მ. დ. ჩუბინიძე, ა. ი. ანტონოვი, ა. ნ. ინაური, მ. მ. ლელაშვილი, მ. ი. კუჭავა, ო. დ. გოცირიძე, ა. ლ. გუნია. საქ. კ. პ. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრობის კანდიდატებად არჩეული არიან ამხანაგები ე. ა. სენიაშვილი, თ. ბ. ჯანელიძე.

საქ. კ. პ. სარევიზიო კომისიის პირველმა სხდომამ სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩია ამხ. გ. დ. ჟორჟიაშვილი.





პაპარკა მოთხრობები დიდ ბედნიერებაზე

6. კორინთელი

დელაქალაქის ახალ უნივერსიტეტს, რომელსაც ხეებისა და ყვავილების კედლით გარშემორტყმული ასეული პეტარო ფართობი უჭირავს და 32 სართულის სიმაღლეზე ატყორცნილა ზეცაში. სამართლიანად უწოდებენ ქალაქს. მარმარილოს, გრანიტისა და ბეტონისაგან აშენებული 37 მრავალსართულიანი შენობა, 148 სამოსწავლო აუდიტორია, 1000-ზე მეტი ლაბორატორია, რომლებშიც მიმდინარეობს თანამედროვე მეცნიერებისათვის ცნობილი ყველა ექსპერიმენტი. 239 მეტრი სიმაღლის მთავარი კორპუსი — ყველაზე დიდი შენობა ევროპაში. 18000-ზე მეტი სტუდენტი — საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების შვილები, 2000-ზე მეტი სწავლული, მათ შორის 24 აკადემიკოსი, მეცნიერებათა აკადემიის 48 წევრ-კორესპონდენტი — საბჭოთა მეცნიერების სიამაყე. 1250 კაცი აპყავთ უნივერსიტეტის ჩქაროვით ეროდროლად. 6000 სტუდენტი (ცხოვრობს კეთილმოწყობილ ოთახებში. უნივერსიტეტის აუდიტორიებსა და კაბინეტებში ერთდროულად ტარდება ასობით ლექციები, რომლებზეც უამრავ მეცნიერულ საკითხებს სწავლობენ და ითვისებენ სტუდენტები...

წარსული წლის სექტემბრის ერთ მშვენიერ დღეს უნივერსიტეტის მთავარი შესასვლელისკენ მიმავალ ხეივანში მე შევხვდი მედია საღრი-შვილს — 18 წლის ბათუმელ გოგონას. რომელმაც მხოლოდ გუშინ გაიზარდა მოწაფის თეთრი აბრეშუმის წინსახარია.

პირველი დღიდანვე თვალს ვადევნებდი უნივერსიტეტის მშენებლობას, ჯერ კიდევ მაშინ მე ის წარმომედგინა მსოფლიოს ყველა სახალხო უნივერსიტეტი კი იმაზე უფრო მარწყინავად და დიდებულად, რასაც მასზე ფიქრობდა და ოცნებობდა, თუნდაც ისეთი დიდი ფანტაზიორი, როგორც მე ვარ — გატაცებით ლაპარაკობდა მედია.

კობლა მედია. შევთანხმდით, რომ რამდენიმე თვის შემდეგ ხელახლა შევხვედროდით. როდესაც უკვე შეძლებული იქნებოდა უნივერსიტეტში ცხოვრებასა და სწავლის პირველ ხანაზე საუბარი.

და აი, დეკემბრის ერთ მშვენიერ დღეს ისევ ვესტუმრე უნივერსიტეტს. ჩვენი შეხვედრის მიზნით სართულზე, № 508 ოთახში, რომელშიც ცხოვრობს ქიმიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტი ჯულიეტა ჩხიკვაძე, ოთახი მაშინვე გამოცოცხლდა და ახმაურდა. თუმცა მასში საკმაო ადგილი ეკავა საწერ და სახალხო მაგიდას, წიგნების კარადას, საფარძელსა და სკამებს, მაგრამ ყველაზე კარგად მოვთავსდით. შეკრებილთ ვთხოვე, რომ თვითველ მათგანს ეამბნა უნივერსიტეტში გატარებული დღეების შესახებ. ვცდილობდი დაწვრილებით ჩამეწერა თვითველს ნაამბობი. „აი, სწორედ ეს იქნება ყველაზე საინტერესო რეპორტი“ — გავიფიქრე მე და ეს აზრი მედევასა და ჩვენს მასპინძელს გაუფიქრებ. ყველას გაეხარა.

ასევე დაბეჭდეთ ჩვენი ნაამბობი და დარქვით: „პატარა მოთხრობები დიდ ბედნიერებაზე“.

აი, ისინი — პატარა მოთხრობები დიდ ბედნიერებაზე, მომავალი ქიმიკოსებისა და მათემატიკოსების, მექანიკოსებისა და ბიოლოგების ნაამბობი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაამბობი.

„სად არის კიდევ ასეთი კავკასია მზე?“

ამ შეკითხვით დაიწყო თავისი მოთხრობა ბათუმის მერვე სკოლის ყოფილმა მოსწავლემ ჯულიეტა ჩხიკვაძემ — ქიმიის მოყვარულმა და მუსიკით გატაცებულმა გოგონამ.

მართლაცაა სად არის კიდევ, ასეთი კავკასია მზე, როგორც ლენინის მთებზე, მოსკოვში? მე დავიბადე ბათუმში და რასაკვირველია, ძალზე

მეყვარს ეს მშობლიური და ულამაზესი ქალაქი. ბათუმში არაჩვეულებრივად ანათებს მზე, შეიძლება ითქვას, დამაბრმავებლად. ვინც აქარაში ყოფილა ზაფხულის პერიოდში, ვისაც მცხუნვარე დღეს უფლია აქარის მთებში, ეს კარგად იცის... მე ახლაც მახსოვს, თუ როგორ გვარაგებდა ჩვენი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი პოლანა ლობორჯინიძე:

— გოგონებო, დიდხანს ნუ იხიერთ ქუჩებში, დღეს განსაკუთრებით ცხელია...

ერთ-ერთ ასეთ მცხუნვარე დღეს გამოვემგზავრე ბათუმიდან მოსკოვის უნივერსიტეტში გამოცდების ჩასაბარებლად. სიხარულით წავიკითხე ბრძანება ჩემი ჩარიცხვის შესახებ. სხვა სტუდენტებთან ერთად გავემგზავრე სტაროკაშირის მოსესკენ — უნივერსიტეტის ძველ საერთო საცხოვრებელში, რომელიც სიმორისა და კეთილმოწყობილობის მიუხედავად საუკეთესო საცხოვრებელ ადგილად მიგვაჩნდა.

მასხენდობა სწავლის პირველი დღეები. საერთო საცხოვრებელიდან მოზოვის ქუჩაზე წამომართულ მოსკოვის უნივერსიტეტის ძველ შენობამდე, რომელსაც თავის კედლებს შორის უნახავს გერცენი, პისარევი, ბუტლეროვი, მენდელეევი და ტიმიროზოვი, ავტობუსით საათნახევარს ვუნდებოდით მისვლას. მიუჩვეველნი ვიყავით და ხშირად ვთვლებდით კიდევაც ავტობუსში. მაგრამ მერე შევეჩვიეთ მოსკოვის გრძელ მარშრუტებს, ცხოვრების რიტმს და ისე ვახერხებდით, რომ ავტობუსის უკანა სკამებზე ვაწყობდით კოლოქვიუმებს — მანუქამდე, აღექსანდრეს პარკამდე, კრემლამდე, აქ კი ჩამოვდიოდით და სირბილით ვეშურებოდით ლექციებზე...

პირველ თვეებში ვერც კი მოვახერხე მოსკოვის ნახვა. მხოლოდ რამდენჯერმე ვიყავი კონსერვატორიის დიდ დარბაზში, რომელშიცაა ხშირად ფიქრობდი ბათუმში ყოფნისას... მოახლოვდა პირველი სესია: ქიმიისა და მარქსიზმის საფუძვლები ხუთებზე ჩავაბარე, მათემატიკასა და ფიზიკაში ოთხებში მივიღე... თუმცა სკოლა მედელით დავამთავრე, მაგრამ პირველ სესიაზე მიღებული ოთხიანი არ მრცხვენოდა. ეს ხომ მოსკოვის უნივერსიტეტი! ამბობენ, რომ თვით აკადემიკოსი ზელინსკი „მოსკოვის უნივერსიტეტის ოთხიანი“ აყენებდა მსოფლიოს ყველა უნივერსიტეტის ყოველ სუთიანზე უფრო მაღლა...

ვერც კი შევამჩნიე როგორ გაიარა ერთმა წელმა, როგორ მოახლოვდა ჩემი მეოცე წელი... 1953 წლის 31 აგვისტოს მე გამოვცხადე ლენინის მთებზე აი, ამ ოთახში...

თქვენ გგონიათ, რომ გავერთე? დავიწყე მზეზე ლაპარაკი და დამავიწყდა? არა, მე სწორედ ამის თქმა მიწოდოდა. ნამდვილი მზე ხომ მუდამ ადამიანთან არის, მუდამ მას ათბობს. მე რატომღაც მგონია, რომ მოსკოვში მზე არასოდეს არ ჩადის. თუ სწავლაში ცოტა ვიჭირს, ამ მშვენიერ

თულში მყოფი ასობით ადამიანი მზად არის დასახმარებლად, თუ სიმფონური მუსიკა გიყვარს — კეთილი, აი, შენი აბონემენტი, აქვე, უნივერსიტეტის კლუბში, რომელიც, ალბათ, თავისი სილამაზით არ ჩამოუვარდება დიდ თეატრს, შეგიძლია მოუსმინო რიტმის, ობორის, ვილელის, შეგიძლია დატყე ჩაიკოვსკის მუსიკის სიმფონიით და შეუმჩინებლად ატირდე კედლებს მისი, კეთილი კარბიოსის მოსმენისას. თუ შენ ეძებ მეგობრებს და გასურს შეიცირო ადამიანთა მეგობრობის მთელი ბედნიერება, აქ, ლენინის მთებზე, მთელი მსოფლიოა შენს წინაშე. აი, ისინი: რუსები, უკრაინელები, უზბეკები, სომხები, გერმანელები, რუმინელები — მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები, აი, ისინი — შენი მეგობრები. მოსკოვა მათაც, როგორც შენ, ბედნიერება მოუტანა. ისინი საუკუნოდ არიან დაკავშირებული, როგორც მოსკოვთან, ასევე შენთან.

სამი შეკითხვა და სამი პასუხი


ჩემი სახელია ლამარა, ლამარა კოკია, ვსწავლობ ქიმიური ფაკულტეტის მეორე კურსზე, ვცხოვრობ № 421 ოთახში. „აი, ზონაში, (ჩვენი „სტუდენტთა სახლი“ ზონებადაა დაყოფილი. ასე რომ არ იყოს გაძნელებული ოთახების მიგნება) მე მინდა ვიამბო ერთი ამბავი, რომელიც ამას წინათ შემემთხვა. ალბათ ივით, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის მაღალსართულიანი შენობები უკვე დაათვალიერებ მრავალმა საზღვარგარეთელმა დელეგაციამ. აქ თითქმის ყოველდღე მოდიან უცხოელები, ეს გასაკვირიც არ არის, როგორ შეიძლება მოსკოვში ყოფნისას არ ნახო მსოფლიოში საუკეთესო უნივერსიტეტი... ერთხელ ჩემს ოთახში ვიჯექი საწერ მაგიდასთან და ვემეცადინებოდი. უცრად კარგზე კაკუნი მომემა. რასაკვირველია, დავუძახე, რომ შემოსულიყვენ. ვეგადე, უცხოელი სტუმრები — კაცები და ქალები, ახალგაზრდები და მოხუცები. ქულებს იხდიან, მესალმებოდნენ. თარჯიმანი მაცნობს:

— დელეგაცია ავსტრალიიდან; თქვენი ცხოვრება აინტერესებთ.

სტუმრებს შევთავაზე, რომ დამხმდარიყვენ და ვუთხარი, რომ მზად ვარ მათთვის საინტერესო კითხვებზე პასუხის გასაცემად. სტუმრებმა მაშინვე ყურადღება მიაქციეს კედელზე დაკიდებულ ჩოგბურთის ჩოგანს. უნდა გამოგიტყდეთ, რომ დიდი ხანია, რაც ჩოგბურთით ვარ გატაცებული. ჩემმა ძმამ — გიგო კოკიამ ბავშვობიდანვე დაიწყო ჩოგბურთის მოედანზე სიარული. ერთხელ მეც ვამიყვანა. მას შემდეგ მრავალმა წელმა გაიარა, მაგრამ ეს გატაცება არ განელებულა. პირიქით თავის ქებად არ ჩამითვალათ და საქართველოში ყოფნისას საკავშირო შეჯიბრებაშიც გამოვსულვარ და გამიმარჯვინა... ჰოდა, იმას გეუბნებოდით, ავსტრალიელებმა დაინახეს ჩემი ჩოგანი და მკითხეს:

— რა არის თქვენი მომავალი სპეციალობა და რა კავშირი აქვს მასთან ჩოგბურთს?

— მსურს გავხდე ანალიზური ქი-



ბროფსორი ა. პ. ტერენტიევი კონსულტაციას უტარებს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური ფაკულტეტის II კურსის სტუდენტებს ლამარა კოკიასა და ჯულიეტა ჩხიკვაძეს.



მუსიკალური «ანტრაქტი» ლექციებს შორის.

მიის სპეციალისტი — ვუპასუხე სტუმრებს — ამ დარგის სპეციალისტები ძალზე სჭირდება ჩვენს ქვეყანას. ქიმიკა მომავლის მეცნიერებაა. მისგან დიდადაა დამოკიდებული სურსათის სიუხვის შექმნა. მე მიტაცებს ეს მეცნიერება, თავისუფალ დროს ვანდომებ სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებაში მუშაობას, მაგრამ სწავლა ხელს არ მიშლის, რომ დავიკავოფილო ჩემი სპორტული გატაცება. სპორტმა დიდი ადგილი დაიკავა ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტთა ცხოვრებაში. ჩვენს განკარგულებაშია დიდებული სპორტული დარბაზები, საცურაო აუზი, გვაქვს საკუთარი მოტოციკლები, სათხილამურო ბაზა, ტანმოვარჯიშეთა, მოგლუსუნეთა, მძლეოსანთა და ფეხბურთელთა გუნდები. და ვინ იცის, იქნებ რომელიმე ჩვენმა სტუდენტმა ოქროს მედალიც მიიღოს მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც თქვენთან — ავსტრალიაში უნდა ჩატარდეს...

სტუმრებს გაეღიმათ. ერთ-ერთმა მათგანმა რაღაც წასურჩულა მეზობელს და მკითხა:

— გრჩებათ თუ არა დრო, რომ კიდევ გააკეთოთ რაიმე ქიმიის სწავლის და ჩოგბურთის თამაშის გარდა?

— როგორც ცნობილია, თვითუფლად ამინის მხოლოდ 24 საათი აქვს დღეღამის განმავლობაში... ამიტომ პირველ რიგში, ჩვენთან სწავლა დაუწყებელი. მაგრამ დასვენებისათვის და გართობისათვის საკმაოდ ვგრჩება. ამ მხრივ სახელმწიფო დიდ ზრუნავს ჩვენზე. თქვენ ჯერ კიდევ არ ყოფილხართ ჩვენს კლუბში? აუცილებლად ნახეთ. აქ თითქმის ყოველდღე ტარდება კონცერტები მოსკოვის საუკეთესო არტისტების მონაწილეობით.

— კიდევ ერთი შეკითხვა ქალიშვილო: საიდანა ხართ თქვენ და გრძნობთ თუ არა თავს ბედნიერად? — მკითხეს სტუმრებმა.

— მოსკოვის უნივერსიტეტში 52 ეროვნების სტუდენტი სწავლობს — ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის შვილები არიან აქ. ამას წინათ, უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში ჩატარდა მეგობრობის საღამო. იქ რომ ყოფილიყავით, ნახავდით ყველა ეროვნების წარმომადგენელს. მე ქართველი ვარ. მოსკოვის უნივერსიტეტში ჩვენ ვემზადებით მრავალეროვანი სამშობლოს ჩვენი ბედნიერი ხალხის სამსახურისათვის. დიახ, მე ბედნიერი ვარ, როგორც ბედნიერი იქნება ის ადამიანი, რომლის ყველა ოცნება სრულდება. აი, ის სამი კითხვა, რომლებიც დამის-

ვს უცხოელმა სტუმრებმა და ის პასუხებიც, რომლებიც ჩემგან მოისმინეს.

მე გეოლოგი ვიქნები

— არ გაგიგონიათ სოფელი ონტოფო? არა?... თუმცა, არც მიკვირს, არაფრით არ გამოირჩევა იგი, არც ქვეანახშირი მოიპოვება იქ, არც მინერალური წყლები. ჩვეულებრივი ქართული სოფელია აბაშას რაიონში. მაგრამ ის ჩემთვის, ჯანო ნადარეიშვილისთვის ძვირფასია. რითი? დიდხანს ვცხოვრობდი ამ სოფელში და ასე მგონია სამუდამოდ დაიმიანსოვრე არა მარტო მისი ქუჩები და სახლები, არამედ ყოველი კორტხი, ყოველი ხე. რატომ გამახსენდა ეს სოფელი? იმიტომ რომ იქიდან დაიწყო ჩემი გზა ლენინის მთებისკენ, მოსკოვისკენ, უნივერსიტეტისკენ.

მისაღები გამოცდები თბილისში ჩავაბარე. იქ მე მაცნობეს, რომ ჩარიცხული ვარ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დავემშვიდობე მშობლებს და გამოვემგზავრე მოსკოვისკენ, რომლის შესახებ იმდენი რამ მქონდა წავითხული, რომ მეგონა — უკვე ნამყოფი ვიყავი ამ ქალაქში...

მე მოვედი ლენინის მთებზე, ხუთი წლით მომცეს აი, ეს ოთახი. მასში ყველაფერია, მშვენიერი გადასახედიც კი არის ქალაქისკენ. პირველი ვინც მე აქ გავიცანი იყო დეიდა მასა. უბრალო რუსი ქალი, ჩვენი დიასახლისი. დედასავით შეგვხვდა.

— საიდან ჩამოხვედი შვილო? — მკითხა დეიდა მასამ — საქართველოდან? კეთილი. აი, შენი ოთახი, ავეჯი, საწოლი, წიგნების კარადა, რადიო, ცოცხალი ყვავილებიც დაგახვედრე. მოეწყე, დაისვენე, მეგრე კი სწავლას მოჰკიდე ხელი. გისურვებ, რომ დიდო მეცნიერი გამოხვიდე... თუ რამე დაგჭირდეს მკითხე, ნუ მომერიდები, მხოლოდ ისწავლე, რომ ყველა გაახარო, შვილო!

მე გეოლოგის სპეციალობა ავირჩიე. ახლაც ავიხსნი თუ რატომ. გეოლოგები ჩვენს ქვეყანაში ბევრია, მაგრამ ჩვენთანაც კი, საქართველოში, დღემდე არსებობს შეუსწავლელი რაიონები. რითაა მდიდარი ჯავის ხეობა? გავანდო თუ არა მთელი საიდუმლოება კოლხიდას, აჭარის ქედმა, შირაქის ველმა? რასაკვირველია, არა... ეს მხოლოდ ჩვენს პატარა რესპუბლიკაში, მთელ საბჭოთა კავშირში კი რამდენია ასეთი შეუსწავლელი რაიონები?! კიდევ ბევრი სამუშაო გველის გეოლოგებს. აი, რატომ გადავწყვიტე ხელი მომეკიდა ასეთი მოუსვენარი, მაგრამ რომანტიკული საქმისათვის. ამ მომავალი სამუშაოებისათვის მოსკოვი მაშადებს. უკეთესი სკოლა არ არსებობს მსოფლიოში. უკეთესი უნივერსიტეტი მსოფლიოში არ არის.

რამდენიმე სიტყვა

— მე ვერ შევძლებ ბევრ ლაპარაკს. თუმცა ყველაფერი მინდა ვთქვა, რაც გულში მაქვს და მახარებს. გეტყვით რამდენიმე სიტყვას; მე ზაური ხუბუნაშვილი ვარ. დავიბადე და გავიზარდე ბათუმში. ჩემი მშობლები პედაგოგები არიან. გასულ წელს მედლით დავამთავრე ბათუმის პირველი სკოლა. მოსკოვში ცხოვრება და სწავლა დიდი ბედნიერებაა. მოსკოვის უნივერსიტეტში კი ორმაგდება ეს ბედნიერება. მაგრამ დაწვრილებით ამაზე ხუთი წლის შემდეგ ვისაუბროთ, როდესაც დიპლომს ავიღებ...

ნახევარი მსოფლიო ერთი ჰერმეზე


— როგორ ვცხოვრობთ? ახლაც გაიმბოთ პირველი კურსის სტუდენტის — ნაწული ლეჟავას დღის რეჟიმის შესახებ. ლექციები ცხრა საათზე გვეწყება, ასე რომ საუზნობასაც ვასწრებთ და ვინც არ ზარმაცობს ფიზკულტურულ დაჭურვასაც აკეთებს. ლექციები სამ საათამდე გრძელდება. შემდეგ ვსადილობთ. ვისვენებთ. ვცდილობთ არ დავარდვიოთ ეს განაწილება. შემდეგ ვმეცადინებთ ლამის 12 საათამდე. ახლა ცხელი დღეები გვაქვს. სესია მოახლოვდა, პირველი სესია...

ასე მიმდინარეობს სამუშაო დღეები. კვირა დღე კი განკუთვნილი გვაქვს მოსკოვის დასათვალიერებლად. უკვე ვიყავით ტრეტიაკოვის გალერეაში, ლენინის სახელობის მუზეუმში, ოსტაქინოს სასახლეში... მუდამ ერთად



ლამარა კოკიას ბიბლიოთეკას კიდევ ერთი წიგნი შეემატა.

დადევიართ. ჩვენს ჯგუფში სწავლობენ რუსები, მოლდაველი და ყირგიზი გოგონები. ჩუვაში, ტუველი, გერმანელები, კორეელი გოგონა და რამდენიმე ჩინელი. მათ ძალზე ეძნელებათ რუსული ენა. მაგრამ ისე გულმოდგინედ სწავლობენ და ისეთ ნებისყოფას იჩენენ, რომ ყველასათვის სამაგალითოდ ითვლებიან. ერთად ვსწავლობთ, ერთად ვისვენებთ. ერთად ვმზიარულობთ და თითქოს აქ, ჩვენი უნივერსიტეტის მ2 სართულის ქვეშ ნახევარ მსოფლიოს მოუყრია თავი — კიშინოვს და თბილისს, ბერლინს და პეკინს, კორეის ბაღებს და ყირგიზეთის მთებს... მაგრამ განა ვაწროდა ვართ, პირიქით — უფრო ფართოდ აზროვნებს გონება, უფრო ძლიერად ძგერს გული.



ზოოლოგიის. ლექცია მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში.



ფოტოზე — მარცხნიდან! მარჯვნივ: № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის, მოდელების ფაბრიკისა და № 3 ფეხსაცმლის ფაბრიკის გამოშვებული „პროდუქცია“.

პოპსპოზიტივი პოპსპოზიტივი

პარტია და ხელისუფლება ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა და აქცევს საბჭოთა ვაჭრობის განვითარებას. კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი დადგენილებანი ერთხელ კიდევ მოწმობენ პარტიისა და ხელისუფლების შეუწყობელ ზრუნვას საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისათვის, მათი საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი საწმომლოს უამრავი ფაბრიკა-ქარხნები მილიონ ცალობით უშვებენ იაფ და გემოვნებით გაკეთებულ ფართო მოხმარების სხვადასხვა ასორტიმენტს. ჩვენი საგაჭრო მალაზიები ყოველთვის სავსეა მყიდველებით, უფრო და უფრო მალდება საბჭოთა ვაჭრობის დონე, უფრო მრავალფეროვნდება დახლზე გამოტანილი პროდუქცია.

მაგრამ განა ყოველთვის კმაყოფილი გამოდის მყიდველი მალაზიიდან, განა ყოველთვის პოულობს თავისი გემოვნების შესაფერ საჭონელს. არც დახლის მუშაკები იქცევიან ყოველთვის ზრდილობიანად.

ამაში რომ დარწმუნდეთ, საკმარისია შეიაროთ რუსთაველის პროსპექტზე მდებარე მალაზიებში.

— „ბავშვთა სამყაროს“ მალაზია... როგორც კი ამ დასახელებს გაიგონებთ თვალწინ წარმოგიდგებათ პატარა, თითქოს ტოკინებისთვის შეკერილი ჩვილ ბავშვთა ტანსამოსი, ბამბაზის ლენტისანი ქუდეები, თბილი კაბები და შარვლები, წარმოიდგენთ პატარა,

გვერდის ბაღურებიან საწოლებს, მაგიდასა და სკამებს, კოხტა და გამძლე ფეხსაცმელებს.

მაგრამ შეგვალთ მალაზიაში და იმ წუთშივე დარწმუნდებით, რომ თქვენი წარმოდგენა სინამდვილის საზღვრებს სცილდება. ვერც ერთს, ზემოთწამოთვლილი საქონლიდან, თქვენ „ბავშვთა სამყაროს“ მალაზიაში ვერ ნახავთ და უნებურად გაიფიქრებთ, რომ ბავშვთა სამყარო ამ შემთხვევაში ძალზე ღარიბად გამოიყურება.

ამ ნშენიერ სახელს კი მალაზიის თბილისის ფაბრიკა-ქარხნები და არტელები უტყუავენ. აი, რას ამბობს ამის შესახებ მალაზიის დირექტორი, ნინო მეფარიშვილი:

— საქმე იმაშია, რომ საბავშვო ასორტიმენტის გამოშვებას, ალბათ, არარენტაბელურად თვლიან წარმოების ხელმძღვანელები, აბა, რით აინსება ის ფაქტი, რომ სამკერვალო სამმართველოს მოდელების სახლმა დიდი რაოდენობით შეკერა მამაკაცებისა და ქალების პიჯამოები, როცა ბავშვებისათვის სრულიად არ შეეკრილა? ასევე არ იკერება სათხილამურო კოსტუმები ბავშვებისათვის, ბამბაზის კაბები, შარვლები, ყველაზე უფრო დაფიქრებული გვყავს ბაგისა და ახლადდაბადებული ბავშვები. ჩვენი მალაზია ამარაგებს 151 საბავშვო დაწესებულებას, არის შემთხვევები, როცა საბავშვო ბაღებს ვერ ალბებენ ავეჯის უქონლობის გამო. ჩვენ ვერ მივალწვიეთ იმას, რომ


კალინინის სახელობის ქარხანამ გამოუშვას საკმაო რაოდენობის საბავშვო საწოლები გვერდის ბაღურებით. ამის შესახებ არა ერთხელ მივწერეთ ქარხნის ხელმძღვანელობას, მაგრამ უშედეგოდ... მომხმარებელი კი მიმოწერას არ ყიდულობს, ის საქონელს თხოულობს.

სამართლიანი შენიშვნაა. თბილისის სამკერვალო წარმოებებმა, ფაბრიკა-ქარხნებმა და არტელებმა დროა ყურადღება მიაქციონ საბავშვო ასორტიმენტის საქონლის დამზადებას, ანგარიში გაუწიონ პატარა მომხმარებლის დიდ მოთხოვნილებას.

მაგრამ სამწუხაროდ იმ საქონლითაც კი, რომელიც „ბავშვთა სამყაროს“ მალაზიას ეგზავნება მყიდველი როდი არის კმაყოფილი. პირველ ფოტოზე თქვენ ხედავთ „ბავშვთა სამყაროში“ შესყიდულ და მომხმარებლის მიერ რამდენიმე დღის შემდეგ უკან დაბრუნებულ ფეხსაცმელებს. ერთს ლანჩი აძვრა (ფეხსაცმლის ფაბრიკა № 1), მეორე გაიხა (ფეხსაცმლის ფაბ-



← „ცხვირსაზოცი — ინსტრუქცია“.



→ „უჩინმაჩინის“ ქუდი და პალტო ბავშვის მანეკენზე (ლენინის სახელობის მოედანი. თბილისის რაიონის მალაზია).

რიკა № 3), მესამე სხვადასხვაფერის აღმოჩნდა (ფეხ-საცმელის, მოდელების ფაბრიკა) და ა. შ.

№ 36 მაღაზიის იმ განყოფილებაში, სადაც საცალო საქონლის ვაჭრობა წარმოებს, ადგილის სივიწროვის გამო მომხმარებელმა უნდა დაუცადოს მასზე წინ მი-სულეებს. მას საშუალება არა აქვს ახლოს ნახოს სა-ქონელი, მოსინჯოს, ფასი გაიგოს და ჩეკი გამოა-წერინოს დახლიდარს. რატომ არ შეიძლება მაღა-ზიაშივე გაკეთდეს ვიტრინა, რომელშიც გამოფენილ იქნება ახალმიღებული საქონელი ფასების აღნიშვ-ნით. იქვე კი ღია ყუთებში უნდა ელაგოს წინასწარ გამოწერილი ჩეკები. მოეწონება საქონელი მყიდ-ველს, აიღებს შესაფერ ჩეკს და ფულს გადაიხ-დის სალაროში, გამყიდველის დაუხმარებლად შეის-ყიდის საქონელს. ასეთი ვიტრინები უკვე დიდი ხანია არსებობს მოსკოვის სხვადასხვა მაღაზიებში და კარგი შედეგიც მოაქვს.

თუ № 36 მაღაზიის დირექციას კარგი მომსახურე-ბისათვის მადლობას უცხადებენ გამყიდველები, უნი-ვერსიტეტის № 1 ფილიალის საჩივრისა და წინადადე-ბების წიგნი სავსეა მყიდველთა საყვედურებით. მომ-ხმარებლები უკმაყოფილებას გამოთქვამენ უხეში და უზრდელი მოპყრობისათვის. ერთ-ერთმა მომხმარე-ბელმა ხელში აიღო ძაფი, შეათვალიერა და ისევ და-აბრუნა, მაგრამ გამყიდველი აღშფოთდა: «ძაფი გაა-ფუჭე და აღარ ყიდულობო?» ძალით აყიდვინა საქო-ნელი და მერე კი ხელი შეუშალა საჩივრის დაწერის დროს. ახლა ანეგდოტად არის ქცეული ის შემთხ-ვევა, რომელიც მოხდა მოსკოვის სამეურნეო ჭურჭლე-ულობის № 2 მაღაზიაში:

— რატომ არა გაქვთ ზრდილობა? — აღშფოთდა გამყიდველის უხეში მოპყრობით შეურაცხყოფილი მყიდ-ველი.

გამყიდველმა კარგად ვერ გაიგონა რაზე იყო ლა-პარაკი და უბასუხა:

— გვექონდა და გათავდა, საწყობშიც აღარ არის! ამ სიტყვების ავტორად შეიძლება გამოყვანილი იქნას ყველა გამყიდველი, რომელიც არაკეთილსინდი-სიერად ემსახურება საბჭოთა მომხმარებელს.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მაღაზიათა ვიტ-რინების ლამაზად გაფორმებას. უპირველეს ყოვლისა, მაღაზიისაკენ ვიტრინა იზიდავს მომხმარებელს, უგე-მოვნოდ გაფორმებული ვიტრინა კი ყველაზე ზუსტი დახასიათებაა ცუდად მოვაჭრე მაღაზიებისა.

ლენინის სახელობის მოედანზე, „ბასაჟის“ მაღაზი-ის ვიტრინაში ბავშვის მანეკენს თავზე ადევს თვა-ლებზე ჩამოფხატული ქალის შლაპა. ვისი ყურადღება უნდა მიექცოს ამ «გაფორმებას», ქალისა და ბავშ-ვისა? ვინ უნდა დაინტერესდეს ამ შლაპის ყიდვით? „ბასაჟის“ მაღაზიაში საერთოდ კარგად არის ორგა-ნიზებული ვაჭრობის საქმე. მეორე სართულზე, ტერა-სებზე ჰდაყენებული მანეკენების ჯგუფი ყოველთვის შემოსილია ახალმიღებული მზა ტანსაცმელით. მყიდ-ველს საშუალება აქვს მანეკენზე შეამოწოს საქონ-

ასეთ ქულებს მხოლოდ მანეკენები იხურავენ.



ლის აეკარგიანობა. სპეციალურად გაკეთებულ ვიტ-რინებზე მომხმარებელს დახლთან მიუსვლელად შეუძ-ლია დაათვალიეროს საცალო ვაჭრობის ასორტიმენტი. ასეთ კარგად მოწყობილ მაღაზიის ხელმძღვანელობას კი არ ევატება გარეთა ვიტრინების ცუდად გაფორ-მება.

თბილისის მაღაზიებში არ იყიდება ქალისა და მა-მაკაცის კარგი ცხვირსახოცები, სამაგიეროდ ყველგან შეხვდებით ვ. სტურუას სახელობის არტელში დამზა-დებულ ჭრელ ცხვირსახოცებს, რომლებზედაც ცუდად შესრულებული, ზოგან დამახინჯებული ილუსტრაცი-ებია აღბეჭდილი.

— ეს ცხვირსახოცი რომ დაგუნახო ჩემს რომელიმე ნაცნობს, მასზე სამულამოდ გამიფუჭდება შთაბეჭდი-

ლება — წარმოთქვა ერთმა მომხმარებელმა და საჩ-ქაროდ გასცილდა დახლს.

რატომ უნდა გააფუჭოს აბრეშუმის ქსოვილი არ-ტელმა ასეთი უგემოვნოდ გამოშვებული პროდუქციისა-თვის? რომელი მყიდველისთვისაა გათვალისწინებული ცხვირსახოცი, რომელზედაც... ქუჩაში მოძრაობის წე-სების ნიშნებია გამოხატული? თუ არტელის თანამ-შრომლებს ჰგონიათ, რომ მას შოფერები და ვატმა-ნები მაინც შეიძენენ, ღრმად ცდებიან.

მრავალფეროვანი და მაღალხარისხოვანი საქონელი, კეთილსინდისიერი დამოკიდებულება და ზრდილობი-ანი მოპყრობა გამყიდველების მხრიდან, ორგანიზე-ბული ვაჭრობა. აი, რას მოითხოვს საბჭოთა მომხმა-რებელი!

მ. მარიაშიძე

არ გაუხვიებს... („ბავშვთა სამყარო“)

მაგალითი იმისა, თუ როგორ არ უნდა გაფორმდეს ვიტრინა (რუსთაველის პროსპექტი. № 1 მაღაზია).



ალექსანდრა გრიბოედოვი



ჩაცკი (მცირე ღუმლის შემდეგ)
გონს ვერ მოვსულვარ! ბოდიშს ვიხდი!
მესმის და ვერა გავიგე, ვერაფერს მივხვდი:
თითქოს სურთ კიდეც განმიმარტონ გულისდამწველი,
აზრი მერევა, რაღაცას ვგრძნობ, რაღაცას ველი.
(მგზნებარედ) ვაპხ, ჩემს სიბრძავეს! შრომის ჯილდოს
ვისში ვეძებდი,
ვისკენ მივქროდი, ვთრთოდი, ჩემს თავს ვანუგეშებდი
ბედნიერების სიახლოვით! — დღეს ვის წინაშე
სათუთ სიტყვებით გადავშალე გულის სინაზე?
თქვენ კი, თქვენ კი, ღმერთო ჩემო, ვინ აირჩიეთ?
როდესაც ვფიქრობ, თავბრუ მესხმის... ვინ ამჯობინეთ?...
რად შემიტყუეთ იმედებით, რად არ მირჩიეთ?
რატომ პირდაპირ არ სთქვით, რად არ შემატყობინეთ,
რომ ყველაფერ მას, რამაც განვლო, მწიარედ დასცინეთ,
რომ თქვენში ხსოვნაც კი გაცივდა, ხსოვნაც კი, ყველა
იმ გრძნობებისა, — რაც ჩვენს გულებს ანთებდა წინეთ,
რაც ჩემში ოღნავ, ვერც სიშორემ ვერ შეანელა,
ვერც გართობამ და ვერც ადგილის ხშირმა გამოცვლამ!
ესუთნავედ მათით, მხოლოდ მათით სიცოცხლე მსურდა!
რომ გეტყვათ ჩემთვის, რომ უცები ჩემი ჩამოსვლა,
ჩემი დანახვა, სიტყვა, ქცევა — თქვენ უკვე გძულდათ,
იმავე წამში აღვკვეთავდი მე თქვენთან ცავეშის
და, ვიდრე ასე, სამუდამოდ დაგშორდებოდით,
იმის გაგებას მეტად აღარ შევეცდებოდი —
ვინ იყო თქვენთვის საყვარელი და სათნო კაცი!

(დაცინვით)

სალ მოფიქრების შემდეგ თქვენ მას შეუთრგდებით!
ან კი ღირს თავის შეწუხება, დარდი და წყენა?
აბა, განსაჯეთ: ნაზი მოვლით და ყურის გღებთ
ხომ ძალბით იგი თვინიერ ქმრად აღზარდით თქვენა,
გზავნით საქმეზე, მისახურით — ვით სახლის ბიჭი
და თავდაბალი მორჩილების აღმუქრათ ნიჭი?!
ქმარი — მსახური, ცოლის ტვირთქვეშ მომხრელი მხრების —
აი, მაღალი იდეალი მოსკოველ ქმრების!



ქმარა! მე კიდეც ვაძაყბ აწ თქვენს დაშორებას!
თქვენ კი, ბატონო მამა, — მთვრალი ჩინით და ჯვრებით, —
მე თქვენს ბედნიერ უმეტერების ბურანში თვლემას
გისურვებთ!.. მე თქვენ დასიძებით არ გემუქრებით!
არა, სხვა ვინმე გამოჩნდება — თქვენი რჩეული:
სალამდობალი, საქმის კაცი — მოქნილ თვისებით,
ქედმობრილობას, მორჩილების ღმის მიჩვეული,
რომ ის მომავალ სიმამრს გავდეს ყველა ღირსებით!
ღიას, მე ესლა გამოვფხიზლი სრულად და რიდე
ბურუსიანი ოცნებების — თვალთ მოვირიდე!
და, აწ ურიგო არ იქნება, რომ ერთიანად,
ქალიშვილის და მამის მიმართ,

ვით შეპყვრს იმათ,

თან იმ სულელი საყვარლის და მთლად ქვეყნის მიმართ, —
გადმოვანთხით ჩემი გულის ბოღმა მთლიანად!
ვისთან ვიყავი! სად ჩამავდე ბედო მუხთალო! —
სუყველა მდევნის, ყველა მკიცხავს!.. სულთამხუთავო
ბრბოვ, სიყვარულში მოლაღატე გამცემლებისა,
ხოლო მტრობაში — დაუნდობელ გარეწრებისა,
მოუდრეკელი ყბედებისა, უხამს ჭკვიანთა,
ცრუ გულუბრყვილო, გაიძვრა ადამიანთა
ბრბოვ, შენ აყვია დედაბრების, ბერაკაცების —
შხამში ნაწები

მიხრწნილი ენით გაუგონარ კორებს რომ ბადებ, —
ხმაშეწყობილად შენ მე გიყად გამოაცხადე!
თქვენ მართალი ხართ: ვინც მოასწრებს თუნდაც ერთი დღით
თქვენს შორის ყოფნას, თქვენთან სუნთქვას ერთის ჰაერით
და მას გონება მაინც ისევ სალი დარჩება, —
ცეცხლის ალიდან უენებულად ის ვაღარჩება!
შორს მოსკოვიდან! აქ მომსვლელი მე აღარა ვარ!
გავრბივარ, აღარც მოვიხნედავ... თქვენს წრის გარეთაც
მოკებნი ქვეყნად კუთხეს, სადაც შეურაცხყოფილ
გრძნობასა აქვს კუთხეს-საფარი!
კარტა, ჩქარა ჩემი კარტა!

თარგმანი ს. შაშალიშვილისა

გრიბოედოვი და თბილისის საზოგადოებრივი ცხოვრება

დიდი რუსი მწერალი და გამოჩენილი სახელ-
მწიფო მოღვაწე გრიბოედოვი ხანგრძლივად ცხოვ-
რობდა თბილისში და იგი ამ ხნის განმავლო-
ბაში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა ქ. თბილისის სა-
ზოგადოებრივი მხიშვნელობის მთელი რიგი გადა-
უღებელი ამოცანების გადაწყვეტაში.

აქამდე, ამ მხრივ, ცნობილი იყო მხოლოდ ერთი
მისი წერილობითი მიმართვა, რომელიც ეხებოდა
ქ. თბილისის კეთილმოწყობის საკითხს. ეს მიმართვა
შედგენილია დაახლოებით 1827 წლის გაზაფხულზე
და ეხება იმ საკითხს, თუ სად უნდა ყოფილიყო
აგებული ხიდეები მდ. მტკვარზე ქალაქის შემდგომ-
ში ზრდის შესაბამისად. ხიდეები მართლაც უნდა
იმ ადგილებში იქნა აგებული შემდეგში. იმავე მიმარ-
თვაში გრიბოედოვი მოითხოვდა, რომ დაცული ყო-
ფილიყო შენობების „დახურული აივნები“ და „ხის
დერეფნები მთელი სახლის ირგვლივ“, რომლებიც
შენობის არა მარტო მორთულობას წარმოადგენდა,
არამედ საამო ჩრდილსაც იძლეოდა, რაც ესოდენ
საჭიროა ამ ქვეყანაში. განსაკუთრებით საგულის-
ხმოა ამ მიმართვაში გრიბოედოვის სურვილი, რომ
ციხე-სიმაგრე და ქალაქის კედლები, დანგრეული
შთავარსარდლის გენერალ ერმოლოვის დროს, „შეკე-
თებულ“ ყოფილიყო. ჩანს, გრიბოედოვის ხმას გა-
დამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ამ მიმარ-
თვის შემდეგ სულ მალე თბილისის სამხედრო გუბერ-
ნატორის მიერ (1827 წ. 12 მაისს) გაიცა სასტიკი
განკარგულება, რომ არავის გაეხედა ციხე-სიმაგრის
კედლების დანგრევა და იქიდან სამშენებლო მასა-
ლის გატაცება.

გრიბოედოვს დიდი წვლილი მიუძღვის ვაზ.
„Тифлисские ведомости“-ს გამოცემაში.
იმ დროს გრიბოედოვი მეათეობდა თბილისში
დიპლომატიურ კანცელარიას, სადაც ფორმალურად
გადაწყვეტილ იქნა გაზეთის გამოცემის საკითხი.
ამჟამად საარტივო მასალებით დადასტურებუ-

ლია, რომ გრიბოედოვი ამ გაზეთში ცხოველ მონა-
წილობას იღებდა საარსებო ელჩად გამგზავრების
შემდეგაც. გაზეთის განცხადებიდან ჩანს, რომ
რუსეთის საელჩო სპარსეთში ინფორმაციებს აწო-
დებდა გაზეთის სპარსეთის მდგომარეობის შესახებ.
გრიბოედოვის კერძო წერილიდან ჩანს ისიც, რომ
მას გაზეთისთვის გამოუგზავნია ცნობები სპარსე-
თის შესახებ, თურქეთის ამბები კი უნდა მიეწოდე-
ბოა გაზეთისთვის საფრანგეთის კონსულს თბილის-
ში — გამბას, რომელიც გრიბოედოვის დიდი ხის
ნაცნობი იყო.

თბილისის მოწინავე ახალგაზრდობა დიდად მო-
წადინებული იყო ჰქონოდა საჯარო ბიბლიოთეკა.
ამ მხრივ თავის ცდას არ აკლებდნენ ნიკ. ბარათა-
შვილი, დ. ყიფიანი და სხვ. როგორც საარტივო
მასალებიდან ჩანს, გრიბოედოვმა, როცა იგი პე-
ტერბურგში იყო, 1828 წ. სთხოვა თავის ახლო
ნაცნობს, მაშინ ყოვლისშემძლე გრაფ ნ. მორდვი-
ნოვს ემუამდგომლა, რომ თბილისში საჯარო ბი-
ბლიოთეკა გახსნილიყო. მაგრამ გრიბოედოვის ამ
შესანიშნავ ინიციატივას ხორცი შეესხა მხოლოდ
1850 წელს.

საარტივო საქმეებიდან ირკვევა, რომ თბილისში
არსებობდა საკმაოდ კარგად დაკომპლექტებული
ბიბლიოთეკა 1830 წელს. ეს ბიბლიოთეკა ეკუთვნოდა
ეკატერინე კოტოვას და მოთავსებული იყო ქალაქის
ცენტრში სარაჯიშვილის სახლში. მაგრამ 1832 წლის
შემდეგ მისი ხსენებაც აღარ არის, იმდენად შეაფი-
რავა ის მეფის ცენზურამ.

არანაკლებ ყურადღებას აქცევდა გრიბოედოვი
აგრეთვე სწავლის საქმეს თბილისში. 1823 წელს გენ.
ერმოლოვმა წამოაყენა გრიბოედოვის კანდიდატურა
ახალგაზრდული აომოსავლეთმცოდნეობის სასწავლებ-
ლის დირექტორის თანამდებობაზე. განსაკუთრებით
დიდ ყურადღებას აქცევდა გრიბოედოვი თბილისის
„კეთილშობილთა“ სასწავლებელს, რომელიც იმ დროს

განათლების საუკეთესო კერად ითვლებოდა მთელ
საქართველოში. გრიბოედოვმა შეადგინა ამ სასწავ-
ლებლისთვის მოხსენებითი ბარათი, რომელშიც მოყ-
ვანილი იყო სასწავლებლის ისტორია, მისი მდგომარე-
ობა 1827 წლისათვის და საჭირო ღონისძიებანი
მისი შემდგომი აყვავებისათვის. გრიბოედოვი ცდი-
ლობდა გაედიღებია სასწავლებლის ბიბლიოთეკის
კრედიტი და შეეცოდა ის ლიტერატურის, ფილოსო-
ფიის, მათემატიკის წიგნებით.

გრიბოედოვმა საკმაოდ დიდი მუშაობა ჩაატარა
მეფე ვახტანგის კანონების შესასწავლად. ეს კანონე-
ბი ნაწილობრივ გამოყენებულ იქნა საქართველოს
სასამართლო პრაქტიკაში, მაგრამ მათი კარგი თარგ-
მანი რუსულად არ მოიპოვებოდა. სპეციალურად
შედგენილ კომისიას, რომელშიც შედიოდნენ ე. ჭი-
ლაძე, ფალავანდიშვილი, ჩუბინიშვილი და სხვ., დაე-
კისრა აგრეთვე შეეგროვებოდა ადგილობრივი ზნე-ჩვე-
ულებანი. თარგმანი შესრულებულ იქნა, გადაიგზავნა
დასაბეჭდად პეტერბურგში და გამოიცა 1828 წელს,
როცა გრიბოედოვი იქ იყო.

გრიბოედოვის მჭიდრო კავშირმა ადგილობრივ მო-
წინავე საზოგადოებასთან, მისმა კეთილშობილურმა
დამოკიდებულებამ ადგილობრივი მოსახლეობისადმი,
რომელსაც გრიბოედოვი ინსენივაც ყოველთვის რუსი
ხალხის „თანამოქალაქებად“ — მოუპოვა მას ქართ-
ველი ხალხის უდიდესი სიმპათია, სიყვარული და
პატივისცემა.

ეს სიყვარული და პატივისცემა გრიბოედოვისადმი
განსაკუთრებით ნათელი გახდა მწერლის დასაფლა-
ვების დღეს, როცა ქალაქის მთელი მოსახლეობა ქუ-
ჩაში გამოვიდა ძვირფასი ცხედრის გამოსამშვიდო-
ბებლად.

მთაწმინდა, სადაც გრიბოედოვი მიწას მიაბარეს
საქართველოს საუკეთესო შვილებს შორის, მისივე
თქმით, წარმოადგენს — „თბილისის პოეტურ კუთუ-
ნილებას“.

ი. ენიკოლოვაშვილი



„ვაი ჭკუისაგან“ (II მოქმ.). საქართველოს სსრ სახალხო არტისტები —
ა. ზაგორსკი (მარცხნივ) — ფამუსოვი და ა. სმირანიანი — სკალაზუბი.

მუდმივი რუსული დრამატული თეატრი საქართველოში 1845 წელს ჩამოყალიბდა. ამ მოვლენამ დიდი როლი ითამაშა რუსი და ქართველი ხალხის შემოქმედებითი ურთიერთობის განმტკიცებაში, გავლენა იქონია ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარებაზე, დააჩქარა პროფესიონალური ქართული თეატრის დაარსება. რუსული დრამატული თეატრის ჩამოყალიბებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა დიდი რუსი მსახიობი მ. ს. შჩეპკინი. დროთა განმავლობაში თბილისის რუსულ სცენაზე გამოდიოდნენ თეატრალური ხელოვნების ისეთი გამოჩენილი ოსტატები, როგორც იყვნენ: ერმოლოვა, სავინა, ფედოტოვა, კომისარკევსკაია, სადოვსკი, ლენსკი და სხვ. თბილისის რუსულ სცენაზე დაიწყო თავიანთი შემოქმედებითი გზა: ნემიროვიჩ-დანჩენკომ, სუმბათაშვილ-იუჟინამ და იაბლოჩკინამ. რუსეთის 17 თეატრს შორის თბილისის რუსულ დრამატულ თეატრს საპატიო ადგილი ეკავა. 1921 წლიდან დაწყებული, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, თბილისის რუსულ

თეატრს შემოქმედებითი მუშაობის ფართო შესაძლებლობა ეძლევა. ამ მომენტიდან დაწყებული ქართულ და რუსულ თეატრებს შორის მყარდება ძმური, იდეური და შემოქმედებითი კავშირი. 1933-34 წლის სეზონში თბილისში არსდება მუდმივი რუსული დრამატული თეატრი, რომელსაც ა. ს. გრიბოედოვის სახელი ეწოდა. ეს თეატრი გახდა ორ მოძმე ხალხთა კულტურული ურთიერთობის საუკუნოვანი ტრადიციის გამგრძელებელი. წელს კი ა. ს. გრიბოედოვის სახელობის თეატრს 20 წელი შეუსრულდა. საკმარისია უბრალოდ გადაათვალიეროთ რეპერტუარი, რომ დარწმუნდეთ, თუ რა დიდი შემოქმედებითი გზა განვლო თეატრმა. 160 სპექტაკლი! აი ის, ერთი შეხედვით, თითქოს მშრალი რიცხვი, რომლითაც თეატრი ხვდება თავისი 20 წლის იუბილეს. თეატრის სცენაზე ცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ შექსპირის, შილერის, ლოპე დევეგას, ტოლსტოის, გორკის, ტურგენევის, და სხვა მრავალი კლასიკოსის ნაწარმოებთა გმირები. მართო 1946 წლიდან დაწყებული თეატრმა დაღვა საბჭოთ.

სცენა სპექტაკლიდან „კიბოები“. მარცხნიდან მარჯვნივ: სიმა — მ. ქებაძე, ლობაუხოვი — ა. ზაგორსკი, ლენსკი — ბ. ლუსბეკაევი, ავლაი ივანოვა — საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ე. სატინა.



თეატრის დირექტორი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. ანთაძე სპექტაკლის დაწყების წინ ესაუბრება მსახიობებს.



—... И дым отечества нам сладок и приятен!
(თეატრის სუფლიორი ი. როდიონოვი რეპლიკას აწვდის ჩაცვის როლის შემსრულებელს)





საკოსტუმო საამქროში. საკოსტუმო საამქროს გამგე ნ. გრუდინსკაია 20 წელია მუშაობს თეატრში. მსახიობი ვ. პოვოდინი კი პირველი წელია, რაც სცენაზე გამოდის.

დრამატურგების მიერ თანამედროვე თემაზე დაწერილი 40 პიესა. მათ შორის ვირტას, კორნეიჩუკის, მიხალკოვის, კრონის, სიმონოვის, სოფრონოვის, პავლენკოს, მოსაშვილის, დარასელის და სხვათა პიესები. თეატრმა დიდად შეუწყო ხელი ქართული დრამატურგიის საუკეთესო ნიმუშების პოპულა-

რიზაციას. თეატრმა ქართველ მყურებელს გააცნო მოძმე საბჭოთა ხალხების კლასიკური და თანამედროვე დრამატურგია. თავისი 20 წლის იუბილეს თეატრი ხვდება დიდი რუსი დრამატურგის ა. ს. გრიბოედოვის უკვდავი კომედიის — „ვაი ჭკუისაგან“ — ახალი დადგმით.

ფოტო ო. თურქიასი
დიანა: — შენც საიდუმლოთ შეინახე შენი დიდი აღმოჩენა. (სცენა სპექტაკლიდან „თივა და ავი ძაღლი“. მარცხნიდან მარჯვნივ: თეოდორო — ი. რუსინოვი, ტრისტანი — საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ნ. პიასეკი, დიანა — ტ. ბელოუსოვა).





ლეგენდის დაცვა

კ მ ე მ *

VII


ეს იყო მაშინ, როდესაც დადგა საღამო თბილი, — წამოღდა სარეცელიდან ხელებზე დაყრდნობილი. იხილა: ხშირი ბალახი ოქროს ცვარ-ნამში ცურავს, ხოლო ზურაბის ციხიდან

ეითხულობს ავადმყოფი. უკვებ შესძახებს ლესიას აჩრდილი მოცახცხე: — ხალხში ლეგენდალ ქეტულთ ეს მე ვარ — შენი სახე!

და კვლავ მალლიდან ხევებში ლალი ოცნების ფრთებით — ნაკალულგებლ მორბიან

ციხეში შეჭყავს სინათლე ზნელს აპოზს სხივთა წვეწა — მიაქვს მტრისათვის ლახვარი, მოყვრისთვის — დაღ რწმენა! ის მარქისი „მანიფესტიდან“ მებრძოლ სტრეიფონებს ყვება და სადღაც მალაროვებში ამზადებს აჯანყებას. ხელში აიღო ლესიამ ალაში ალისფერი — და სმოლნში ნელა შევიდა სილაღით და სიმღერით. ეს იყო მაშინ, როდესაც ჰქონდა „ავრორას“ ბოძოლა, ანგრევედა მეფის სასახლეს ზღვიდან ყუმბარის ქროლა. ეს იყო, მაშინ, როდესაც ახალი ცეცხლით სავსე ჩნდებოდა ორი ქალაქი მეწამულ პლანეტაზე.

აი, ნაცნობი ბილიკი, აი, ნაცნობი ბინა. მის შესახვედრად ჭიშკართან თამარამა მოიბრინა. იგი თხუთმეტი წლისაა, ტოკავს ნაწნავი წყვილი. ვით ორქული ბაგეებიდან თამარი არის თბილი. თბილია ირგვლივ ყოველი ბინაც, ბილიკიც, ხევიც, — გულს და მხრებს თამარს უფარავს წითელი ყელსახვევი. ბავშვური მოგონებებით შეფავლული აქვს სახე... აი... ხელს ხელზე შემოპკრავს და თითქო დიძახებს: „დედაო... მაგრა... ო, არა! ჩაიხურჩულა ფრთხილად: „თქვენ ცოცხალი ხართ ლესია!“ და აღტაცებით, წყვილად სხეული სხეულს მიეყრდნო ბალახზე მიბავალი. — და სიხარულის ცრემლებით დანამულია თვალი. „გავიქცეთ გადასასვლელზე, ერთად გავლოთ ველი, — იმ მთიდან, იმ სიმაღლიდან მოჩანს ქვეყანა მთელი. ოქტომბრის ქარამა ზეციდან ღრუბელი გადახვეტა, — და მეც, მას შემდეგ, სითბოში ჩემს უკრაინას ვხედავ.“ ლაღობს პატარა თამარი, თვალებს აცეცებს ირგვლივ: — მე ვი, „კასანდრა“ ზემირად ვიციო, რადგან იგი — თითქო ქართლის ზედს ავკიწერს, ლექსში ვგრძნობ ნაცნობ ნიავს, — თითქო შიგ საქართველოსი დუხჭირი წარსულია“.



ღიადი ლენინგრადი ღიადი სტალინგრადი.

და სმოლნისათვის სროლაში, მებრძოლთა შორის მაშინ — უკვდავ ლესიას ლეგენდაც გადადიოდა ხალხში.

VIII

ისევ ხონშია ლესია, ლეგენდა მთაზე დგება, — მას შემოიყვანს საყვარელ ქალაქში მოგონება, ნიავი არხვეს მღვლოებს, ყანას დაღინა მშვიდი, — ხოლო ციციბო გორაკი მოხბრილა როგორც მშვიდილი. იმ გასაოცარ მშვიდილიდან გადმოვარდნილა სხივი და ერთადერთი ალვისხე ზეცას ხეცს ისარივით. ქალაქში დადის ლესია, თვალები ლურჯი — ია აქ სადაც წყარო წერიალბებს, გააქვს ჩურჩული ნიავს, სადაც ალპიურ მღვლოებს ტყეებში შემორტყმია და მეწამული დაისი ხატავს გორაკებს ტყიანს. სადაც ზეცაში შავად ჩანს არწივის ფრთების წურვა და დილის ცვარზე ველი-ველ ფრთების ნახრდილი ცურავს. სადაც გაისმის ერთიან: ქედვა ნაღის და ხმალის, ისმის ნახირის ფეხის ხმა და საყვირების ხმანი. აქ დგება მოგონებაში თამარის ხსოვნა ძველი მოედინება სიმღერად, როგორც მკურნალი წვეწი. ლეგენდა დადის ქალაქში... ელავს ნათელი სხივი, — ეზოდან ბაღში გადდის, მისდევს ჯეჯილის ლივლივს და მიჰქრის, მიჰქრის ზეცაში საოცარ ფრინველივით. სავსებით განახლებულა ნაცნობი მხარე შორი. — იზრდება ზღაპრულ ძახველის ხილები ხალხთა შორის. და უხარია ლესიას, რომ ახლა ნათელ დღეთა სითბოში ორი ნაპირი ხილებმა შეაერთა! და მიტომ გულზე მოეშვა, ტკივილი აღარ ბოჭავს. აბაკელიას ოდიდან ისევ ის ბოლი მოჩანს.



მიწა მოერთო ყვავილებს, ზეცა ვარსკვლავებს ყრიდა. — და ცისარტყელა მიდამოს რკალაიდა ორი მხრიდან. „იზარდე, თამარ! — ამბობდა ლექსების დიდი დედა, — მენ სილამაზე წილად ხვდა ლალი ცხოვრება — ბედად. იზარდე, თამარ!“ სხივებში ეხნო გააბო მთები. და მინდგრად გადმოიშალა ლეგენდის ნაწნავები.

მთვარე დაჰნათის სურამს. ახლაც აჩნია ქავ-ციხეს ჭაბუკის სისხლის წვეთი, — და იმ ძველ ლეგენდასავით მთაზე დგას ციხის წვეტი. იმ სვეტს, ვით პოლესიეში ობობას შავი ქსელი, — საავდროდ გადასწოლია ლეგა ღრუბელი ბნელი. ღელეთა შორის ნეტავი რას გაუშლია თმები? ერთი მოხრილი ნაძვია, თუ ბუჩქი ყვავილების? არა, ეს ნაძვი როდია! — ტოკავს ლესიას გული. ეს სიზმარეთში ფრიალებს პერანგი მოქარგული. ფერდაკარგული, დალილი, მაგრამ ამაყი სულით დგას... გვირგვინიდან ბაფთები დაბლა აქვს დაშვებული. ჩაფიქრებული, ტანადი ქარში გაშლილი თმებით — მიემართება ველი-ველ ნამიან ვარსკვლავებით. და როგორც ნელი შრიალი ნელი შრიალი ღელის, სადღაც მომაილის შორეთში ჩაფიქრებული მღერის. „რა ნაცნობია ის ჩემი! საღ მინახია წინათ იმისი შუბლი, ქერა თმა, ტუჩები პაწაწინა? საღ მიცხვორია მის ახლოს, საღ მქონდა მასთან ბინა?“ ლესიამ ღია ფანჯარას მიაყრდნო შუბლი ცხელი. — სხეულს მოედო ცახცახი, დაბლა დაეშვა ხელი. — „მითხარ, საიდან მოსულხარ? ხარ მკვიდრი რომელ სოფლის? რისი ხარ? დაო, ვინა ხარ?“ —

ლესიას სიმღერები. — ნეტავი გამაგებინა, რად ბრუნავს მტვერში ბანი? რად მეყინება ფიქრები, საღ გაჰქრენ ოცნებანი? ისევ ჩამდგარა ჩვენს შორის ჩუმი შრიალით იგი, — მტვრის ბული შემოხვევია იმის ნაკვალევს ირგვლივ... — პოი, ჯიუტო სიკვდილო, ნუთუ ხარ ჩემზე მძლავრი? — დაახ, ეს მე ვარ ჭიდილში დალილი თანამგზავრი. იყავი მუდამ ჯიუტი და მიტომ დღე და დამე მე შენთან, ეგრე სნეულთან ჭიდილში დაიბილა. გაჰქრება ტანჯვა. სიკვდილმა გადაიქროლა მთები — და ვარსკვლავებში ლესიაც მიჰქრის გაშლილი ფრთებით. „მე ვერ წამიყვან ტილო! მე უკვდავი ვარ მარად! მე ლეგენდა ვარ ნამდვილი — გაჭრილი მთა და ბარად! მე ვარსკვლავი ვარ ბრწყინვალე მე ვარ ცისკარი დია! მე დიდება ვარ! და ჩემში — ლესიას სახელია!“

მოკვდა პოეტი. სურამში ჩამოწვა დამე შავი და შეიკუმშა ლეგენდაც ნამგალა მთვარესავით, — გამოეთხოვა ლესიას, დაბლა დახარა თავი. და მთების იქით, ზღვებს იქით, მთელ ქვეყანაზე ლალად — ადამიანთა სითბოში წაიღია მალლა-მალლა. ლეგენდა დადის კარისკარ, კავკასიონის მთებთან, — რუხეთში, უკრაინაში ის მიდის ხალხთან ერთად. ის ყორღანებში გასული „პრავდას“ კითხულობს ძნაზე. — მიდის მუშასთან მუხნარში, გულს სიხალისით აესებს.

* დახასრული. იხ. უფრ. „დრო-შა“ № 1.

და იზრდებოდა თამარი, სწრაფად მიჰქროდნენ წლები, — შემოქმედებით შრომაში ევახდნენ მწვერვალები. ნიჭი და შრომა — ორივე ხნულზე აწევდა ხნულებს, და დიდი მალის წვეთები ერთვოდა ნაკადულებს. და სურათიდან სურათში, როგორც იმედი ხვალის, — ფუნჯის ფრთებს ამრიალებდა იმისი განზრახვანი. და ჭრილობებდა მოლობერტი, ნიჭის და შრომის მჩენი, — ჰყვავოდნენ პეიზაჟები — მიწის ნაჭრები ჩვენი!

ხან ძველი ურმით მავალი, ხან უზაგირზე მჯდარი — ევლინებოდა დავითი, გურამიანთა გვარი. მაშინ ალუბლის ბალები, თეთრები, როგორც ხვამლი, ნაზი ბულბულის სიმღერა და სახლის ზემოთ კვამლი, — ახალი ცეცხლით ავსებდა იმას საოცარ ბინას და ნათელ საღებავებში ჰყვავოდა უკრაინა. მაშინ, მის გვერდით შრომაში მოხრილი, როგორც მშვილდი, — აზრების გამღვიძრებელი მძაფრი, სანთელი, მშვიდი — აბაკელის მხარდამხარ იდგა ლეგენდა დიდი! და ცხარედ ჩასჩურჩულებდა შრომაში თავდადებას.

ჯერ მზე არა ჩანს ცაზედა, თამარი ადრე დგება და გარბის მინდვრად, ტყეებში... ნისლი აყარა მთებმა... ხატავს ტყის მკრედი ყმაწვილის შთამავონებელ სახეს... ხატავს ქარვისფერ მტევნებში იმერელ მევნახეს... ხატავს ხვავიან კალოზე დიდი მოსავლის გმირებს:

ასლა მას საჭრეთელი და ძერწავს ბარელიფში გმირებს თამარის ხელი. შედიან მაღალ კედლებში მზის სხივის ჩანჩქერები და ცოცხლებიან ბოლნისის დახავსებული ქვებიცი. და ერთხელ, დილით, როდესაც წამოღვა მოცხცახე, გვერდით კვლავ ედგა ლეგენდა, ევახდა იმის სახელს... და დიდხანს, დიდხანს ბინაში ცეცხლი ეკიდა ჭალებს ლესიას სიმღერებიდან იძერწებოდა სახე. მზე ამობრწყინდა. სხივები ლაყვარდ სივრცეში დნება... „აუ განუტევე“... და წივნი ხელიდან უფარდება.


X

ის მხატვარია ცნობილი, აქვს საჭრეთელი მძლავრი, — როგორც ლესია, თამარიც ორმოცი წლისა არი. და უცებ ავადმყოფობა, დიდი ხნის დადლილობა... მხურვალე სულში შევიდა ცივი ყინულის დნობა. და ყველაფერი, რაც შექმნა იმისმა მძლავრმა ნება — ქანდაკებაც და მხატვრობაც წვრილმანად ეჩვენება. ფიქრში კი, ისევ ტრიალებს მნიშვნელოვანი აზრი, ისევ მოხეტიაეს გულიდან ზემთაგონება ბასრი. და მოუწოდებს შრომისკენ ფუნჯი და საჭრეთელი, ურომლისოდაც მძიმეა მისი გზა — შარა გრძელი. იწვიან საღებავები, დნება ნათელი სხივი, — რუნ კვამლში ფერებს კარგავენ ქვათა ფილები ცივი.

თამარი მიდის სურამში, სხივი მიჰყვება დილის, — ლესიასეულ ძველ სახლში

პერანგი მოქარგული... ფერდაკარგული, დაღლილი, მაგრამ ამაყი სულით დგას... გვირგვინიდან ბაფთებით დაბლა აქვს დაშვებული. ჩაფიქრებული, ტანადი, ქარში გაშლილი თმებით — მიემართება ველი-ველ ნამიან ვარსკვლავებით. და ვით ჩანჩქერის შრიალი, ნელი შრიალი ღელის, სადღაც მომავლის შორეთში ჩაფიქრებული მღერის. „რა ნაცნობია ის ჩემი! საღ მინახია წინათ იმისი შუბლი, ქერა თმა, ტუჩები ჰაწწინა?“

სძინავს სურამის ციხესა, ნისლშია მთა და ველი, მხოლოდ ის ერთი ათენებს ღამეებს საჭრეთელი. არ არის ძილი იმისთვის, არ არის შესვენება და ნაკვითც ყოველდღობურად უფრო ცოცხალ ხდება მას დაუბრუნდა შრომაში ახალგაზრდული ძალა. „როგორი ჰქონდა ლესიას მხრები? მოხრილი?.. არა! გრივალისებურ ცეცხლის წინ, როგორც ფინთის ფრთები, — ის იყო ყალუხე შემდგარი მალლა აყარლი მხრებით.“



სად მიცხოვრია მის ახლოს, სად მქონდა მასთან ბინა? — მითხარ, ვინა ხარ, დობილო? კითხავს ქართველი ქალი. — საიდან მოხვევ? რა გქვიან? — ვერ მიცან, ფერგამკართალი?! მე ხალხში ამაღლებულსა ისევ სიცოცხლე მშვენის, — ვარ უკრაინკა ლესია, დაი და დედა შენი! თამარ მივარდა ლესიას, გულში ჩაეკრა იგი... და შემდეგ, დიდხანს ისმოდა მათი სიმღერა ირგვლივ. „ო, დედამიწვე, ძლიერო! ვარსკვლავი, მალლა ცაზე! მომეცით ნიჭი ძლიერი, ჯანი — სიცოცხლით სავე. მომეცით რუხი ბრინჯაო, ჯერ კიდევ სიყვარულით — ვერ შექმელ, ვერ მოგასწარი მეთქვა დღუილი სულის.“

„როგორი ჰქონდა ლესიას თვალები?“ და კვლავ შურით — ცისა ფერს ეჯიბრებთან თვალები მშობლიური. აი ისინი. თვალები, ლურჯი თვალები მნათი, — ვით გამოვქერწო თიხაში ნათელი სიღრმე მათი. და როგორც სრბოლა ტალღების გაჭრილი კლდეთა კიდე, — დღეები ჰქვიან ზამთრისკენ, გაზაფხულისკენ. კიდევ... კიდევ მცირდება ძალ-ღონე, სიმშვიდე მცირდება ღრმში და აღიმართა ლესიას ლეგენდა ბრინჯაოში. ის ცოცხალია. კვლავ მხრებზე გადაუყრია თმები და ველად მიემართება ნამიან ვარსკვლავებით.

ვენახში — ქალებს კალათით, ყანაში — კომბაინერს. და ზეთში, ღია ფერებში თამარი თვალებს ახელს, — შთავონებული დაეძებს შოთა რუსთველის სახეს. „ნაქმნადო ტარიელისა ცხებ გართხმული ვცანი“ — და სიხარულით უბრწყინავს თვალები ცეცხლიანი. ფუნჯის მივიერ უყარია

ღამკვიდრებულა ძილი. ნაკადულ გაღმა, ღელეში, მოჩანს ქვე-ციხე მწველი, — მასზე შავი ზღვის ნისლია, როგორც ობობას ქსელი. იმის ზემოთ კი, რაღა? რას ვაუშლია თმები? ერთი მოხრილი ნაქვი, თუ ბუჩქი ყვავილების? არა, ეს ნაქვი როდია! — ტოკავს თამარის გული. ეს სისმარეთში ფრიალებს

სისხლში მძვინვარებს ყინული, მძიმდება ცივი ლოდი. — მაშინ ლესიას ლეგენდა დასახმარებლად მიდის. ის მხარში ამოუდგება თამარს გაშლილი ფრთებით და გაშუქდება შორეთი ლესიას უკვდავებით. ხელში აიღებს საჭრეთელს და იძერწება სახე, — ცივი ქვაში შედის მზის სხივი, სინათლე თვალს ახელს. და როგორც მაღალ მთებიდან სხივთა ჩანჩქერებს დილით, — მხრებზე გადმოყრილი ქერა თმებს არხებს ნიავე გრილი.

XI
თამარის ხელმა აღმართა მაღალ სურამის მთებთან უკვდავ სინათლის შუქურად ლესიას ქანდაკება. და მიაქვთ ძეგლთან ქართველს, უკრაინელებს, რუსებს — ვარდები... და სიყვარულით იმას აყრიან აგულზე. ისევ გუფუნებს სიმღერა ახალ თამარის ხმაში — და უკრაინკა ლესია ლეგენდად მიდის ხალხში.

თარგმანა
ალ. ზომიაშვილმა

დემოკრატია

(დაბადების 70 წლისთავის გამო)



გესარიონ ქაჩეი

ლეო ქაჩეილის შემოქმედებაში ცხოვლად და ღრმა რეალისტური სიმართლით აისახა ჩვენი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის უმნიშვნელოვანესი მოვლენები მეოცე საუკუნის მანძილზე. ჩვენი საუკუნის დამდევს საქართველოში ფართოდ გაშლილმა რევოლუციურმა მოძრაობამ, ქართველი მშრომელი ხალხის გმირულმა ბრძოლამ რუსეთის პირველი რევოლუციის ბარიკადებზე მალამხატვრული გამოხატულება პირველი ქაჩეილის „ტარიელ გოლუაში“. 1905 წლის რევოლუციის დამარცხებით დროებით ფრთხილად შევიდა რეაქციის სისხლიანი თარეში ასახა მწერალმა რომანში „სისხლი“. საქართველოში საბჭოთა წყობილების გამარჯვებისა და ამ ნიადაგზე რეაქციული კლასების სასიკვდილო განწირულების მეტყველი სურათები დახატა ლეო ქაჩეილმა მთელ რიგ ნოველებსა და მოთხრობებში. ლეო ქაჩეილის კალამს ეკუთვნის ჩვენს ქვეყანაში საკომუნურეო წყობილების სამუდამოდ გამარჯვების ამსახველი შესანიშნავი ნაწარმოები „გვადი ბიგვა“, ხოლო სამამულო ომის დიად ეპოპეას მწერალმა მიუძღვნა რომანი „მთის კაცი“. შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, რომ ჩვენი ეპოქის უმნიშვნელოვანესი სოციალური მოვლენათა ფართო მხატვრულ ტილოებზე სრულად და მრავალმხრივად ასახვის მხრივ ლეო ქაჩეილს პირველი ადგილი უჭირავს ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

ლეო ქაჩეილი მხატვრული მოთხრობების და აღწერილობის პირველხარისხოვანი ოსტატია. მისი ყოველი ნაწარმოები მძაფრად დრამატიზირებულ, მიმზიდველ და დამაინტერესებელ სიუჟეტზეა აგებული, მისი რომანები, მოთხრობები და ნოველები გვხვდებავენ მწყობრი კომპოზიციით, მათში დახატული ბუნებისა და ყოფა-ცხოვრების სურათების კოლორიტულობით. მაგრამ ლეო ქაჩეილის, როგორც დიდი რეალისტი მწერლის უპირველესი ღირსებაა ცოცხალ ადამიანურ სახეთა ხატვის მაღალი ოსტატობა შეადგენს. მის საუკეთესო ნაწარმოებთა პერსონაჟები წარუშლად აღიბეჭდებიან და დაუცივრად ცოცხლობენ მკითხველთა მეხსიერებაში, რადგან ისინი მკაფიოდ ინდივიდუალურ ხასიათებსაც წარმოადგენენ და ამავე დროს გარკვეულ სოციალურ ძალთა განმასახიერებელ, დიდ განზოგადოებითი ძალის ტიპებსაც.

ლეო ქაჩეილის სამწერლო ენა და სტილი მაღალი სისადავით და ბუნებრივობით ხასიათდება. ამიტომაც ლეო ქაჩეილის ნაწარმოებში ადვილად იკავავენ გზას მკითხველის გულისაკენ, ისინი ყოველთვის ცხოველ ინტერესსა და გამომახილს ბოლომდე ხალხის ფართო ფენებში, დამსახურებულად სარგებლობენ იმეიითი ბოჰოლორებით. მისი საუკეთესო რომანები და მოთხრობები თარგმნილია დიდი რუსი ხალხის ენაზე, ჩვენი სამშობლოს სხვა მოძმე ხალხთა ენებზე და მათ საბაბით ადვილი აქვთ მოპოვებული მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის სულიერი ღირებულებათა საერთო სავაძირში, ხოლო რომანი „გვადი ბიგვა“ თარგმნილი და გამოცემულია უცხოეთის მთელ რიგ ქვეყნებში, სადაც ამ წიგნის მეშვეობით ათასობით უბრალო ადამიანები ეცნობიან ჩვენი საკომუნურეო სოფლის ყოფაცხოვრებას.

* * *

ლეო ქაჩეილი (ლევონ მიხეილის-ძე შენგელაია) დაიბადა 1884 წლის 7 (20) თებერვალს ახლანდელ წალენჯიხის რაიონის სოფ. იბუჯში. მისი ბავშვობისა და სიზუსტის წლებმა განვლი იმ გამძაფრებელ სოციალურ ვითარებაში, რომელიც შეიქმნა ჩვენი ქვეყანაში გასული საუკუნის მიწურულსა და ჩვენი საუკუნის დამდევს. უკვდავი ლენინის წინამძღობლობით და მის მიერ შექმნილი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით განაღებულ რუსეთის გმირი პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლა ცხოველ გამოძახილს ახლავდა ამიერკავკასიასა და საქართველოში, ქართველი მშრომელი ხალხის, ახალგაზრდა სტალინის მეთაურობით დიად კლასობრივ ბრძოლებსათვის ირავებოდა ლენინიზმის უძლეველი დროის ქვეშ. ამ დიდ ისტორიულ მოვლენათა შემოქმედების პირობებში ყალიბდებოდა ლეო ქაჩეილის ჭაბუკური შეგნება, ისახებოდა მომავალი მწერლის საზოგადოებრივი მისწრაფებანი და იდეალები.

ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიის მოწვევ, იგი გატაცებით ჩაება ახალგაზრდობის არალეგალურ წრეებში, სადაც მარქსისტულ ლიტერატურას ეცნობოდნენ და რევოლუციური მუშაობისათვის ემზადებოდნენ, ლეო ქაჩეილი იყო ერთ-ერთი ინიციატორი 1904 წელს ქუთაისის მოსწავლეთა მიერ მოწყობილ მასიური პოლიტიკური დემონსტრაციისა. გიმნაზიის დამთავრებისთანავე ლეო ქაჩეილი საკომუნური უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაერთვისა სტუდენტად. მაგრამ 1905 წლის რევოლუციურ ბრძოლებში სტუდენტობის აქტიური მონაწილეობით დამფრთხალმა მეფის მთავრობამ სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან ერთად ხარკოვის უნივერსიტეტის დროებით დახურა. ლეო ქაჩეილი საქართველოში დაბრუნდა და გატაცებით ჩაება თვითმპყრობელობისა და მემამულურ-კაპიტალისტურ წყობილების წინააღმდეგ ქართველი მშრომელი ხალხის გმირულ ბრძოლაში.

1906 წელს ლეო ქაჩეილი რევოლუციური მოღვაწეობისათვის დააპატიმრეს და ქუთაისის საგუბერნიო ციხეში ჩაამწყვდევს. ციხიდან რომ არ გაქცეულიყო, მას უშიშმისი სასჯელი — სიკვდილით დასჯა ან სამუდამო კატორაა მოელოდა; 1907 წელს სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ ქუთაისის საგუბერნიო ციხეში გვირაბი გაიყვანა პოლიტიკურ პატიმართა ტყვეობიდან დასასნის მიზნით. ამ გვირაბის საშუალებით ციხიდან გაქცეულთა შორის იყო ლეო ქაჩეილიც. 5 წლის განმავლობაში იგი მოსკოვში ცხოვრობდა არალეგალურად, ხოლო 1912 წელს საზღვარგარეთ გაემგზავრა და ქენევის უნივერსიტეტში შევიდა უმაღლესი განათლების მისაღებად. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ მწერალი სამშობლოში დაბრუნდა და მას შემდეგ განუწყვეტელი ეწევა მრავალმხრივსა და დიად ნაყოფიერ ლიტერატურულ-საზოგადოებრივ მოღვაწეობას.

ლეო ქაჩეილის შემოქმედებითი მოღვაწეობა მოსკოვში მისი არალეგალურად ცხოვრების წლებში დაიწყო. 1909—1910 წლებში ქართულ პრესაში გამოქვეყნდა მისი პირველი ნოველები. ახალგაზრდა მწერლის ადრინდელ ნაწარმოებში ღრმად იყო აღბეჭდილი იმ ანტირეალისტური, ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურული სკოლების ზეგავლენით, რომელთაც რეაქციის წლებში ფართო გავრცელება პოვეს როგორც რუსული, ისე ქართულ მწერლობაში. ჩანს, ლეო ქაჩეილიც ვერ გადაურჩა დაცემულობისა და უიმედობის განწყობილებებს, რამაც 1905 წლის რევოლუციის დამარცხებით შემფრთხილი ინტელიგენციის გარკვეული ნაწილი

მოიგვა და ნიადაგი შემზადა ჩვენს ლიტერატურაში დასავლეთ ევროპის დეკადენტური მწერლობის გავლენათა გავრცელებისათვის.

თავის ადრინდელ ნოველებში („სტეფანე“, „ჯადოქარი“, „ცოდვის შვილები“, „წუთისოფელი“, „Escalade“ და სხვ.) ახალგაზრდა მწერალი ცხოვრების იშვიათ გამოხატვისთვის, ფიციურად და სულიერად მანინჯ და ავადმყოფ ადამიანებს ხატავდა, ბედნიერების მიუღწევლობას, ცხოვრების გარდაქმნისათვის ბრძოლის უშედეგობას განასახიერებდა. ამგვარი სკეპტიკური სულისკვეთებით, სევდიანი და მელანქოლიური განწყობილებით არის აღბეჭდილი მწერლის პირველი ლიტერატურული ნაბიჯები.

მაგრამ ამ უცხო და მანკიერ გავლენებს ლეო ქაჩეილის რევოლუციამდელ შემოქმედებაში დაუპირისპირდა მძლავრი მისწრაფება დიდი რეალისტური ხელოვნების ჯანსაღი პოზიციებისაკენ. გარდა მშობლიური ლიტერატურის მდიდარი კლასიკური რეალისტური ტრადიციებისა, რომლებზეც აღზრდილი იყო ლეო ქაჩეილი, მისთვის ამ მხრივ გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა სოციალისტური ლიტერატურის გენიალური ფუძემდებლის მ. გორკის შემოქმედებითი იდეების კეთილმყოფელ ზეგავლენას. ამასთანავე მწერლის სულიერი სამყაროში ჩამყარული როდი იყო ცოცხალი განცდა ხალხის იმ დიდი აღფრთოვანებისა, რომლის უშუალო და აქტიური მონაწილეც იგი იყო 1905 წლის რევოლუციის პერიოდში.

1914—1915 წლებში საზღვარგარეთ ემიგრაციაში ყოფნის დროს ლეო ქაჩეილი დაწერა თავისი პირველი ღრმად იდეური და მალამხატვრული, ჭეშმარიტად რეალისტური ნაწარმოები „ტარიელ გოლუა“, რომელიც უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო არა მარტო მწერლის შემოქმედებითი მთავარფაზაში, არამედ რევოლუციის წინა პერიოდის მთელ ქართულ ლიტერატურაში.

„ტარიელ გოლუაში“ მწერალმა ღრმა რეალისტური სიმართლით და შთამავრებითი ძალით ასახა ქართველი ხალხის, კერძოდ მშრომელი გლეხკაცობის გმირული და ვაჟკაციური ბრძოლა რუსეთის პირველი რევოლუციის ბარიკადებზე; სამეგრელოს ერთი პატარა სოფლის ცხოვრება და ამ სოფლის მოსახლე გლეხის ტრიული გოლუას ოჯახის თავადასავალი ამ ნაწარმოებში მოთხრობილია ისეთი განზოგადებითი ძალით, რომ მკითხველის თვალწინ გადაიშლება 1905 წლის რევოლუციის პერიოდში მთელი ჩვენი ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის ამსახველი მეტყველი სურათი. ნაწარმოების დასაწყისი მოვლენებისა, თუ როგორ იღვიძება და ფეხზე დგებოდა საუკუნეობრივი მონობისა და უფლებების განზოგადებითი მოცული, როგორი ცხოველმყოფელი ძალით ეუფლებოდა „ერთობის“ იდეა უღარიბეს გლეხობას, როგორ ჩადებოდა სოფლად მძაფრი კლასობრივი ბრძოლა. ის გარემოება, რომ რევოლუციური მოძრაობის პირველი ინიციატორი სოფლად ტარიელ გოლუას ვაჟი, მუშა ლევანი იყო, ღრმა ისტორიული სიმართლით განასახიერებს მუშათა კლასის ხელმძღვანელ, ავანგარდულ როლს მშრომელი ხალხის გამანათავისუფლებელ ბრძოლაში. რევოლუციური რომანისტიკის მეზნებარებით არის გამსჭვალული ის ეპიზოდები, რომლებიც გამახატავენ სოფლად საუკუნეობით ნანატრი თავისუფლებისა და თანასწორობის სხივის შემონათებას და ამით გამოწყვეულ სახალხო აღფრთოვანებას. პარალელურად რომანში დახატულია შემზარავი სურათები იმ სასტიკი შურისძიებისა, რომლითაც თვითმპყრობელობა და რეაქციული კლასები ცდილობდნენ სისხლში ჩაედროთ ეს დიადი სახალხო მოძრაობა. მწერალმა გვიჩვენა, თუ რა ვერაგულ და არაადამიანურ საშუალებებს მიმართავდა საკუთარი განწირულებით დამფრთხალი რეაქციის სამყარო ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში. სოფლად ეკუთვნებოდა და დამსჯელი რაზმების აღვირახსნილმა თარეშმა, ხალხის დარბევა-აწიოკება, ცეცხლმა და მახვილმა, ხალხის საუკეთესო შვილთა დაუნდობლად დასჯამ, რევოლუციონერთა ბანაკში ვერაგულად შენიღბულ მოლაშკრეთა, ამცემელთა და გლეხელთა შეგზავნამ ვერ გატეხა სიცოცხლისა და თავისუფლებისათვის საბრძოლველად ამხედრებულ ხალხის რწმენა და ნებისყოფა.

ასეთი ოპტიმისტური სულისკვეთებით არის გამსჭვალული „ტარიელ გოლუაში“ დახატული ყოველი ეპიზოდი და ხალხის ამ ქედუხრობისა და მისი დაუცხრომელი მეზრძოლი სულის ცოცხალ განსახიერებას წარმოადგენს ნაწარმოების მთავარი გმირის — ტარიელის ცხოვრების მთელი ისტორია.

ტარიელ გოლუას სახე მწერალმა გამოიყენა ჭეშმარიტად იდეურსა და მხატვრულ მთლიანობაში. თავისი მიმზიდველი გარეგნობითაც და მდიდარსა და კეთილშობილური სულიერი სამყაროთაც იგი ღირსეულად განასახიერებს ჩვენი მშრომელი ხალხის, კერძოდ გლეხკაცობის საუკეთესო თვისებებს მის შრომისმოყვარეობას, სიმართლისა და თავისუფლებისადმი ქედუხრობელ მისწრაფებას, გონიერებასა და სიძინჯეს, უშიშროებას და ვაჟკაცობას. თავისი ეს მაღალი და კეთილშობილური თვისებანი ტარიელ გოლუამ ღირსეულად გამოატარა მის თავზე დატარებულ უშიშმის განსაცდელთა ვითარებაში და ბოლომდე შეინარჩუნა შეუბღალავი მორალური სისხეტაკე, სულის მხნეობა და გაუტეხელი მეზრძოლი ნებისყოფა. ნაწარმოების ფინალში ჩვენ ვხედავთ ტარიელ გოლუას, მის მიერ ახალი საბრძოლო საქმეებისათვის აღფრთოვანებული ახალგაზრდებით გარემოცულს:

„ტარიელ გოლუა ისე იდგა მათ შორის, როგორც დროის ქარიშხალით ტოტეშემსხვრეული აქა-იქ კანდაკორძეული, მაგრამ ფეხებზემავარი და ტანძლიერი ძველი მუხა დგას ხომოქ ახალ აიარენილ მწკანე ნორჩს ტყეში“.

„ტარიელ გოლუას“ ეს დასკვნითი სტრიქონები მალამოპოეტური განსახიერებაა ჩვენი ხალხის უკვდავი და ბაოდ დაუბერებელი მეზრძოლი სულისა.

* * *

ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნების დროისათვის ლეო ქაჩეილი უკვე სახელმწიფო მწერალი იყო. იგი უკვე ავტორი იყო ერთი მხრივ დეკადენტური გავლენებით აღბეჭდილი ნოველებისა და მეორეს მხრივ ღრმად რეალისტური მალამხატვრული ნაწარმოებისა — „ტარიელ გოლუა“. კონტრრევოლუციური მენშევიზმის ბატონობის წლებში, როგორც ცნობილია ქართულ მწერლობაში ვაბაქტონელების მდგომარეობა სწორედ რეაქციულმა დეკადენტურმა მიმართულებებმა მოიპოვეს. ასეთი პოლიტიკური და ლიტერატურული ვითარება, ცხადია, ხელს ვერ შეუწყობდა ლეო ქაჩეილის შემოქმედებაში „ტარიელ გოლუა“ დაწყებული ჯანსაღი რეალისტური ნაკადის განვითარებას. პირიქით, ეს გარემოება მწერალს მისი ადრინდელი ნოველებისათვის დამახასიათებელი ანტირეა-




ეროვნული
ბიბლიოთეკა




საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი
ნ. ი. მუსხელიშვილი

ფოტო გ. რაჭმადინა

თბილისი ხვატ



ახლა ქუჩა ვარაზის ზეგზე, რომელიც შეაერთებს უნივერსიტეტისა და ჩელუსკინელის ქუჩას. პროექტის ავტორები—არქიტექტორთა ჯგუფი



დიდი მუშაობა მიმდინარეობს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის თბილისის შემდგომი რეკონსტრუქციისა და გამ-
შენიერებისათვის.

დამთავრდა თბილისის შენებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმის შედგენა, რომელზედაც სხვადასხვა დარ-
გის მრავალრიცხოვანი სპეციალისტები მუშაობდნენ.

ამ გეგმის უამრავი ნახაზები და სკე-
მები, პლანშეტები და მაკეტები მოვი-

თხრობენ იმაზე, თუ როგორი იქნება თბილისი ოცი წლის შემდეგ (1951 — 1970), როგორ გაიზარდება იგი, როგორ გარდაიქმნება და გახდება ყოველმხრივ კეთილმოწყობილი ქალაქი.

„დროშის“ ამ ფურცლებზე ჩვენი მკითხველები გაეცნობიან რამდენიმე შტრიხს ჩვენი დედაქალაქის შენებისა და რეკონსტრუქციის გენერალური გეგმიდან.



ფოტო რ. აკოვროვიძე



ახალი მოედანი საბურთალოს — ლენინისა და ლისის ქუჩის გადაკვეთის წერტილზე. პროექტის ავტორები—არქიტექტორთა ჯგუფი

კრივის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ახალი სასწავლო კორპუსები. პროექტის ავტორი—არქიტექტორი ე. შავიშვილი

160 ბინიანი საცხოვრებელი სახლი სტალინის სახელობის სანაპიროზე. პროექტის ავტორები—არქიტექტორები: შ. კავლიაშვილი, გ. მელქაძე, დ. სორიშვილი





საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ნუცა ჩხეიძე

ფერადი ფოტო ბ. ჯავახიშვილისა

ლისტური პოზიციებისაკენ ეწეოდა. 1918 — 1920 წლებში მწერალმა გამოაქვეყნა უიდეობისა და აპოლიტიკურობის მანკიერებით აღბეჭდილი რამდენიმე ნოველა. ამგვარი ყალბი შემოქმედებითი იდეების ტყვეობაში დარჩა იგი საქართველოში საბჭოთა წყობილების დაყარების აირველ წლებშიც. მხოლოდ ოციანი წლების მეორე ნახევრიდან, მწერალთა რევოლუციამდელი თაობის სხვა საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად, ლეო ქიაჩელი საბოლოოდ თავს აღწევს საბჭოთა მწერლობისათვის უსწო და მიუღებელ იდეურ-შემოქმედებითს გაგლეწებს და მტკიცედ დგება რეალისტური ხელოვნების პოზიციებზე.

1926-1927 წლებში ლეო ქიაჩელი წერს რომანს „სისხლი“, რომელიც თემატიკურად „ტარიელ ვოლუას“ გაგრძელებას წარმოადგენს. ამ ნაწარმოებში მწერალმა ასახა თვითმპყრობელი რეაქციის მძინვარე შურისძიება 1905 წლის რევოლუციის მონაწილეთა მიმართ და დახატა რეაქციის სამყარო ამ გაბოროტებულ ლაშქრობის მამხილებელი მძაფრი სურათებით. განსაკუთრებით მკვეთრად არის გამოხატული რომანში პოლიტიკურ პატიმართა ყოველდღიური ყოფა-ცხოვრება და ქუთაისის საგუბერნიო ციხიდან გვირაბის საშუალებით პატიმართა გაქცევის ის ცნობილი ეპიზოდი, რომლის მონაწილედ თვით ლეო ქიაჩელი იყო. რომანის მთელი რიგი ეპიზოდები ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს, ისინი მწერლის მიერ პირადად ნახულსა და განცდილს მოგვითხრობენ და ამიტომაც მხატვრული სიმართლით გამოირჩევიან. ქუთაისის ციხის უფროსის მელიტონ ანგანდისას სახე რომანში დახატულია, როგორც თვითმპყრობელობის გაბოროტებულ სატრაპთა ტიპური სახე. რომანის ერთ-ერთი მთავარი გმირის — ახალგაზრდა გლეხის ანდრო ქარივაძის თავგადასავლის მავალითვე მწერალმა სწორად გამოხატა ხალხის ერთგულ შეილთა მიერ მოღალატე მენშევიკებისათვის ზურგის შექცევა და მშრომელი მასების მტკიცედ დადგომა რევოლუციური ბრძოლის ლენინურ გზაზე. მეორე მხრივ ინტელიგენტი თავადის, მენშევიკ არჩილ დადაშინის ცხოვრების ისტორია ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი ლოლიკური თანმიმდევრობით გადაეშვა მენშევიკში ბურჟუაზიული შოვინიზმის წუმპეში და გადაიქცა მშრომელი ხალხის, სოციალიზმის უბოროტეს მტრად.

მაგრამ რომანი „სისხლი“ სერიოზული შეცდომებით და ნაკლოვანებებით ზახიათდება. მისი უპირველესი იდეური მანკიერება ის არის, რომ რომანში ნაჩვენებია არ არის ბოლშევიკთა ხელმძღვანელი ხალხის მშრომელი რევოლუციური ბრძოლაში, სათანადო სიმკვეთრით არ არის ასახული ის ბრძოლა, რომელსაც კომუნისტური პარტია ეწეოდა ყოველი ჯურის ანტიბოლშევიკური პარტიებისა და სოციალიზმის საქმის მოლატაქების წინააღმდეგ.

ასეთი სერიოზული მანკიერების მიუხედავად ეს ნაწარმოები მაინც მოასწავებდა მწერლის საბოლოოდ გადასვლას რეალისტური ხელოვნების პოზიციებზე. ამ მიმართულებით შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს ლეო ქიაჩელმა მიადგინა მრავალმხრივად საყურადღებო ნოველებში: „პაკი აბა“, „თავადის ქალი მათა“ და „ალმაზიერ კიბულან“.

ამ ნაწარმოებებმა გააღრმავეს მწერლის შემოქმედებითი ინტერესი თანამედროვეობის აქტუალური საკითხებისადმი, გააფართოვეს მისი კავშირ-ურთიერთობა სოციალურ სინამდვილის მოვლენებთან და ამრიგად შეამზადეს ნიადაგი ისეთი შესანიშნავი ნაწარმოების შესაქმნელად, როგორც არის რომანი „გვალი ბიგვა“.

„გვალი ბიგვა“ არა მარტო ქართული საბჭოთა მწერლობის, არამედ მთელი ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური ლიტერატურის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია ჩვენს ქვეყანაში საკოლმეურნეო წყობილების სამუდამო გამარჯვების, სოფლად ახალი სოციალისტური ყოფა-ცხოვრების დამკვიდრების, ახალი ადამიანის ჩამოყალიბების თემაზე.

უაღრესად ორიგინალური მხატვრული საშუალებებით ლეო ქიაჩელმა ამ რომანში შთამაგონებლად გვიჩვენა, თუ როგორი სისწრაფით ისპობიან და ნადგურდებიან საბჭოთა სოფელში წარსულის ბნელი გადასაშვები და როგორი ძლევაპო-სილებით მკვიდრდება ახალი, სოციალისტური ცხოვრება, კოლმეურნე გლეხობის როგორც სამეურნეო ურთიერთობათა სფეროში, ისე ყოფა-ცხოვრებაში, ადამიანთა შეგნებაში, რომანის ცენტრში მწერალმა დააყენა ძველი მანკიერი ჩვევებით და უარყოფითი თვისებებით ჭარბად დატვირთული გვალი ბიგვა, რომელიც საოცარ გამოხატვისად გამოიყურება რომანში მკაფიოდ დახატული შექმნილი და მზიური საკოლმეურნეო ცხოვრების ფონზე. მაგრამ სწორედ ეს განსაკუთრებული და იშვიათი ადამიანური ხასიათი, განზრახ გამაფრთხილებელი და გამახვილებელი, მწერალმა აიყვანა ტიპური სახის სიმალღეზე, რათა უფრო მკაფიოდ ეჩვენებია ჩვენი სოციალისტური თანამედროვეობის, საკოლმეურნეო სოფლის გარდამქმნელი და განმახლებელი ზეგავლენა ადამიანზე.

საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანთა სახეებს — გერას, მარიამს, ელიკოს, ნაიას, გიორგის და სხვ. მწერალმა დაუპირისპირა ერთის მხრივ ვერაგულად შენიღბული კლასობრივი მტერი არჩილ ფორია და მეორეს მხრივ კერძო მესაკუთრული ინსტინქტებისაკენ ჯერ კიდევ გაუნთავისუფლებელი ცრუ კოლმეურნე გოჩა სალანდია და ამ დაპირისპირების გზით გამოხატა ცხოვრების ის ღრმა კონფლიქტები და წინააღმდეგობანი, რომელთა გადალახვითაც განუწყვეტლივ წინ მიიწევენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიდი საქმე.

„გვალი ბიგვა“ დამსახურებულად პოვა ფართო გამოხმაურება მთელს ჩვენს სამშობლოში და ჩვენი ქვეყნის მიღმაც. იგი როგორც საბჭოთა მხატვრული პროზის ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, სტალინური პრემიით იქნა აღნიშნული. ამ რომანმა საბოლოოდ დაუმკვიდრა ლეო ქიაჩელს მოწინავე საბჭოთა მწერლის, საბჭოთა მხატვრული პროზის ერთ-ერთი პირველხარისხოვანი ოსტატის რეპუტაცია.

საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომს ლეო ქიაჩელი გამოეხმაურა მეტროლი პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული მოთხრობებით. „მამა და შვილი“ და „შეხვედრა“, ხოლო ომის დამთავრების შემდეგ გამოაქვეყნა რომანი „მთის კაცი“, რომელიც ქართული მხატვრული პროზის საუკეთესო ნაწარმოებია ჩვენი ხალხის ამ უმაგალითო გმირული ბრძოლის თემაზე.

აუზანეთის პატარა სოფლის სოუს საბრძოლო ცხოვრებისა და ამ სოფლის მცხოვრები მოხუცი კოლმეურნე გლეხის ბათუ ქარდუას თავგადასავლის თხრობით მწერალმა დახატა დიდი სამამულო ომის ეპოპეის განმასახიერებელი ფართო პანორამა; გვიჩვენა ომისწინა წლების მშვიდობიანი მშენებლობის ბედნიერი ხანაც, ომის პირველ პერიოდში მტრის ურდოების გააფრთხილებული შემოტევის მძიმე დღეებშიც და ჩვენი სახელოვანი შეიარაღებული ძალების მიერ საძულველი მტრის უკუქცევისა და განადგურების დაუფიწყარი ეპიზოდებიც. რომანში მკაფიოდ არის ასახული საბჭოთა ფრონტისა და ზურგის განუყოფელი საბრძოლო ერთიანობა, ჩვენი ხალხის მორალურ-პოლიტიკური ერთსულოვნება და დარაზმულობა დიდი კომუნისტური პარტიის გარშემო, საბჭოთა ხალხების ურდევით მშობა და მეგობრობა — უმნიშვნელოვანესი ფაქტორები, რომელთაც შესაძლებელი გახადეს პიტლერულ ურდოებზე ჩვენი დიდი გამარჯვება.

ასეთია ლეო ქიაჩელის მიერ განვლილი მდიდარი და უაღრესად ნაყოფიერი შემოქმედებითი გზა. თავისებური გზით, რთული წინააღმდეგობების გადალახვით მივიდა მწერალი სოციალისტური რეალიზმის პოზიციებთან და ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილს მოიპოვა მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში.

ავაკი გუწაძე პაკ სობჭოთის აღლი მკვირი



როდესაც დედას გულში და თვალში
სამარადისოდ ჩაუდგა მრუმე,
სახლში სიცილით დავბოდი ბავშვი,
დედა მძინარე მეგონა თურმე.
შემდეგ...

იქ, სადაც ზმირი ჯვრები,
ზმირად მიყვავდი ბედზე ბებიას.
და სადაც ესო ცისფერი ჯვარი
დაეცემოდა მიწას მუხლებით.

ვარდებსა რწყავდა ცრემლების ღვარი,
წვიმდა და წვიმდა თვალის ღრუბელი.
მე კი ვეკიდე ბებიას კალთას,
გულში ბავშვური ფიქრები იწვა.

მიკვირდა, მუდამ, ამ ცისფერ ჯვართან
რად დასტიროდა მოხუცი მიწას.
და სხვა ქალღმერთ, როგორც ბებია,
რად დასტიროდენ მიწას ჯვრებიანს.

ვეითებ და... უცებ მისი თვალები
უფრო და უფრო ცრემლით აივსო
და შემოპტირა გულათროლობით:
— ეს მიწა შენი დედა არისო.

შენს სახელს ვფიცავ, მზეო ნათელი,
ჩვენს ცხოვრებაში ჩამდგარო სვეტად,
სწორედ იმ დღიდან მე საქართველო
მიყვარს, ვით ჩემი მშობელი დედა.

როცა ოქტომბრის ამბებს ვუსმენდი
პაპები კეთილ რუსებს გვიქმდნენ
და ბავშვობიდან დიდი რუსეთი
ჩვენ შეფიყვარეთ, როგორც სიკეთე.
როდესაც ომის ხანძარი გზებზე,
მტრების განაჩენს ხიშტებით ვწერდი,
მამა ბრძოლაში რუსეთის ველზე
დაეცა რუსი ძმობილის გვერდით.
დღემდა სამშობლომ ძმობილებს ალაღს
ერთად დაუდგა დიდების ძეგლი...
დღეს მე მაქვს მშობლის სიცოცხლის ძალა
და სიყვარულის უშრეტო ცეცხლი.
მაქვს სიყვარული გულივით ერთი
და ვხედავ, ვხედავ ვარდებით ჰყვავის
საქართველოში საფლავი დედის,
რუსეთის ველზე საფლავი მამის.
ვარ საბჭოეთის ალალი მკვიდრი,
ვუმღერ ქვეყანას კეთილგულიანს:
საქართველო და რუსეთი დიდი
ჩემთვის ორივე მ შ ო ბ ლ ი უ რ ი ა.

გიორგი ბესტავე

კოსტა ხეთაგუროვის ძეგლი

შენ გასცქერი გაკვირვებით ქალაქს, —
ძველი ბნელი ცხინვალია განა?
უხადრუკი ქოხ-მახების ალაგს
ატყორცნილი მზის ჯიღები დგანან..

შენ გახედავ აყვავებულ ოსეთს,
რომ გაშლილა თვალისმოპტრელ ნოხად:
სიხარულით გაგეხსენება შუბლი,
შეიბრებვა შენი თეთრი ჩოხაც...

შენ რად გიკვირს ეს ქალაქი, კოსტა, —
აღარ არის ის ცხინვალი ძველი:
ელემ-ბადალ იქცა მხარე ოსთა, —
ეს ახალი სტალინური მღერის..

შენი მხარე დაიბადა ახლად, —
საბჭოეთის მზის სხივები მოსავს.
მეც ახალი ქვეყნის შვილი მოველ,
რომ გიმღერო მოწინებით მგოსანს...

გარდაცემული მაყრები



კლიხარ მიხრაძე

მ. თ. ხ. რ. ბ. ა.

მხატვარი კლ. განაძე

— ბიჭო, საცა აცივდება, ზამთარი მოდის, ცოლის მოყვანის დროა— შემოდგომით ხშირად გაიგონებთ ამ სიტყვებს სოფელში. ასეთი ხუმრობა უფრო მოხუცებმა იციან, როცა ქორი გადარეხილ საქორწილო ბიჭებს დაინახვენ.

— მერედა, შენ რაღა გიხარია პაპა? — ეტყვის ახალგაზრდა მოხუცს.

— ქალთან შენ გაიხარე შეილო, ქვიფობით მე გამახარეო — უპასუხებს მოხუცი და ხრინწიანი ხმით თან გულთანად ჩაიხითხითებს.

მართლაცდა შემოდგომა ხომ ღიზინისა და ქორწილების დროა?

ამ სიტყვების მნიშვნელობა მართლ იმაში კი არ გამოიხატება მკითხველო, რომ შემოდგომით ღვინო და არაყი ბევრია, ბევლები პურიცა და ბარაქით სავსე.

არა!

შემოდგომით ხალხი უფრო მოცლილია, ნაკლებ საქმიანი. ახა სადა სცალიან ჩვენებურ კოლმეურნებს გახურებული მკის დროს ქალი გაათხოვოს, ან სიმინდის თიხის დროს ვაჟი დააქორწილოს? ვინა იმ დროს თავისუფალი? ვისა სცალიან ქორწილში წასასვლელად?

დაილოცა ქართველი ხალხის ქეუა და აზრი. აი, რისთვის უფრო დაუწესებიათ შემოდგომით ნიშნობა და ქორწილები, თორემ სიყვარულით გულმეგობრული ბიჭი, ამ მწვერდვით ათქვირებული, გათხოვებისათვის სულწასული გოგო განაწლის მოსვალს დაელოდებოდა?

არა, ლამაზია მართლაც შემოდგომა. ბარაქიანი შემოდგომა. ღიზინებისა და ქორწილების დრო.

სწორედ ასეთი უხვი და ბარაქიანი შემოდგომა იყო წელს სოფელ გარდატენში. ოქტომბერი იდგა. შემოდგომის გაყვითლებული ფოთლები ხალხისათვის გადაფარებოდა სოფლის ორღობებს. ქსილი-სის მთა დიდდობით ნადრევი რთვილით გადათერებოდა, მაგრამ შუადღის მზე დახედავდა თუ არა, მაშინვე დადნებოდა.

ყურძენი უკვე დაკრეფილი იყო და ქვევრებში მაქარი დიდდა. ახლა უფრო ხშირად შეხედებოდათ სოფელში მაქარისაგან შეგარბულ და სახეზე წაოწილებულ კოლმეურნებს.

ჯანიათ ფიდოს სახლში დიდი ფაცა-ფუცი იყო. ახალგაზრდა გოგოები ციბრუტვიტ დატრიალებდნენ ოთახში და ხამარულულოში, საქორწილო სუფრას ულიდნენ.

ფილო თავის ქალიშვილს მანანას ათხოვებდა სოფელ გომში, რომელიც გარდატენიდან ხუთი-ექვსი კილომეტრით არის დაშორებული.

რომ იტყვიან სწორედ სოფლის თვალი იყო მანანა. მას მთელი გარდატენი იცნობდა როგორც ენერგიულსა და დიდად შრომისმოყვარე ახალგაზრდას. იგი ბრავადირად უშობოდა კოლმეურნეობაში და საუკეთესო სახელიცა ქონდა მოპოვებული.

უნდა გენახათ მანანა მუშაობის დროს, თითის-ტარივით ტრიალებდა ეს პატარა ტანის ქალი მინდორში და საქმეს ცეცხლივით ეღებოდა. მისი მიხვრა-მოხვრა და გასაცარი შრომის უნარი უნებურად მიგიზიდავდათ.

ამ დროს უფრო ლამაზი იყო მანანა, სასიამოვნო სანახავი. ქალების მოსწრებულ ლაპარაკზე, როცა ღიზინის დროს, თერთი, სწორი კბილები ბროლის მუშასავით გაივლებდა მის ლაღისფერ ბაგეებზე, კოლმეურნეობის ფერმის გამგეს კოლას პირდაპირ ცეცხლი წაეკიდებოდა ხოლმე გულზე.

კოლა ჩუმი, ხათრანი და მორიდებული ბიჭი იყო. ეს მოკრძალებული ვაჟკაცი ისე საიდუმლოდ ატარებდა მანანას სიყვარულს, რომ მისმა მეგობრებმა კი არაფერი იცოდნენ, სანამდე მანანას გათხოვების ამბავს არ მოკრეს ყური. მაშინ კი ყველამ შეატყო კოლას ის ცეცხლი, რომელსაც თურმე იგი დიდი ხნიდან ატარებდა.

ეს ამბავი სწორედ ამ ორი ვიკრის წინათ მოხდა. ბიჭები კოლმეურნეობის კანტორასთან შეკრებილიყვნენ, იქ იყო კოლაც. გუშინდელი ქილაობის ამბავს უყვებოდა.

ამ დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარე თედო ბალაშვილი დაკოპილი მივიდა მათთან და თავისებურად დაუტყუესუნა.

— დაგიდათ პირები და დგებართ. იმ გოგოს ხელიდან გაუშვებდ? სადა თქვენი ვაჟკაცობა და მაროფათი? ფუ თქვენს ახალგაზრდაობას, ამდენი ეტრფოდით და ერთმა ვერ მოაწონეთ თავი.

— ვინ გოგოს კაცო, რას ლაპარაკობ?!

— შარშან იყო, სიცოცხლისტური შრომის გმირი გამოვაცალეს ხელიდან გომელებმა, ახლა არის და მანანაც დაუნიშნიათ!

— რაო?! თავისდაუნებურად ისეთი ხმით წამოიძახა კოლა, რომ ბიჭებმა თვალები აჭკიტეს.

— რაო, მანანა შემოვიტავლა მოდი თხლის შეტამადა ქამეო, არ გინდა? — შეუთუხუნა ბალაშვილი.

კოლამ გულზე ხელი დაიდო, უხმოდ უკან შეტრიალდა და ბარბაცით გზას გაჰყვა.

ყველა გაოცებული დარჩა.

— შენმა მზემ ქარგი დროა, — მიაძახა მწყრალად თავმჯდომარემ — მაგრად დაიჭი ეგ გული, არ ამოგივარდეს.

მერე კანტორისაკენ შებრუნდა და გომის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ბოგველის მისამართით ისეთი „ლოცვა-კურთხევა“ წარმოთქვა რომ ბიჭებმა სიცოცხლე ვეღარ შეიმაგრეს.

სოფელში ყველას სწევდა მანანას გომში გათხოვება, მაგრამ მისი ბედნიერებით მინც გახარებული იყვნენ. ყველაზე ძლიერ კი თედო ბალაშვილი განიცდიდა თავის კოლმეურნეობიდან მანანას წასვლას. ჯერ ის ამბავი ვერ აეტანა მას, რომ შარშან სოფლის სიამაყე მყავალა ბარანაშვილი გამოაცალეს ხელიდან გომელებმა, მერე ახლა მანანაც უნდა წაეყვანათ.

გარდატენი საქაოლ დიდი სოფელია. ხშირად ვაჯრ თავისივე სოფლიდან ირთავს ქალს და ასევე, ქალიც თავისივე სოფელში თხოვდება.

ბალაშვილსაც სწორედ ასე უნდოდა, როგორც მყავალს, ისე მანანასაც, საქმრო თავისივე სოფელში მოეძებნათ, რადგან მათი კოლმეურნეობიდან წასვლა უსათუოდ დიდ დანაკლისს ნიშნავდა. მაგრამ სამწუხაროდ, არც ერთზე და არც მეორეზე, ეს არ მოხერხდა.

საკონებელში ჩავარდა ბალაშვილი. ამ ამბავს კიდევ ის აძლიერებდა, რომ გომის კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან, ბოგველთან ცულ განწყობილებაში იყო. შარშან მთელი წლის განმავლობაში ბოგველი სულ იმას დასცინოდა ბალაშვილს.

— ვერ მოგტაცე სოციალისტური შრომის გმირი? გმირს ჩემს კოლმეურნეობიდან როგორ გავუშვებდი.

ახლა არის და მანანაც გამოაცალა ხელიდან. ამას წინათ რაიკომის მდივანთან დავტრახა ბოგველს: — ისეთი საქმე უნდა დავმართო ბალაშვილს რომ თავისი ხელით თმებს იკლევდეს. რაც კარგა მშრომელი ქალიშვილები ყავს კოლმეურნეობაში, სულ ჩემს კოლმეურნეობს უნდა ვათხოვინო.

ბალაშვილმა ბევრი უტრიალა მანანას აქეთ-იქიდან. ხან რომელი ბიჭი დაუხახუნა, ხან რომელი, მაგრამ მისი გული იმ ვაჟს ეკუთვნოდა, რომელსაც დღეს საღამოს უნდა წაეყვანა.

ბალაშვილი რომ ვერაფერს გახდა, გულდაწყვეტით ესლა თქვა: — მეორე ბურჯი გამოძაცალეს ხელიდანო. ხოლო მანანა გულით დალოცა და მისი თავდადებული შრომის საპატივცემოდ მყარად გაყოლას შეპირდა.

* * *

შემოდგომის პატარა დღე უეცრად დაღამდა. ცაზე ბადრმა მთვარემ ამოყო თავი და ელექტრონით გაირადდნებულ გარდატენს შემოდან გადმოაფრქვია თავისი დაუშრეტელი სხივები.

მშვენიერი წყნარი ღამე იყო. უღრუბლო ცაზე ცივად კაშკაშებდნენ ვარსკვლავები.

ფილო ორსართულიანი სახლის აივანზე ქორწილის ხალხს ბლომად მოეყარა თავი. აქ იყვნენ მანანას ამხანაგები, ნათესავები, სხვადასხვა სოფლებიდან დაპატიუებული სტუმრები.

ხალხის უმრავლესობა აივანზე იყო გამოხული, ტბილად ბაისობდნენ, ნეფანის გამოჩენას ელოდებოდნენ.

უეცრად ხალხში ჩოჩქოლი და ალიაქოთი შეიქნა. ჯერ ძაღლების ყუმილი მოისმა სოფლის ბოლოდან, მერე ოდნავ გასაგონი ზურნის ზუზუნი.

— მოდიან, მოდიან! — ასტყდა უბნში შეგროვილი ბავშვების გაბმული ყრიაშული. ამ ყრიაშულში ოდნავ გაარჩევით პობედების საყვირის ხმასაც.

ამ დროს მანანას დედა სალომე აივანზე გადმოიდგარიყო და გულმეგობრული ხან ელექტრონით გაირადდნებულ გარდატენს გასცქეროდა, ხან სოფლის შარაზე მომავლ მანქანების ფარების ბდდვრიალს, რომლებიც პროექტორით ჰკვეთდნენ შარაზე ჩამოწოლილ ბინდს.

სინარულსაგან გულმეგობრულ სალომეს უნებურად აჯონდებოდა თავისი ქალიშვილობა. ჩვიდმეტწლის ძივს იქნებოდა, მაქანკალმა სამი დღით ადრე რომ ახარა მის მშობლებს: — კვირა დღით

მოვლენ გარდატენლები სალომეს გასახიჯადო. სალომეს ფიქრი მიხლოდ ერთი იყო. სიღარიბეში და გაჭირვებაში გაზრდილი ქალი იცნებოდა ისეთი ოჯახში შესულიყო, სადაც ცოტა თავისუფლად ამოისუნთქავდა.

მაქანკალის თქმით, ასეთი ოჯახი, სწორედ ფიდოს ოჯახი იყო. გაქნილმა დედაბერმა მოხსნა თავის ტყუილების გულას პირი და ისე დაუხასიათა გარდატენლების ცხოვრობა, რომ სალომესთვის მთავარი ახლა ერთი იყო მხოლოდ, ვაჟი მოსწონებოდა, ან ვაჟს არ დაეწუნა.

კვირა დღით, სალომეს, კინაღამ გული გადაეფერა სინარულსაგან, როცა მაქანკალა და მოხუცებულ ცოლ-ქმარს შორის ახალგაზრდა, მარილიანი შესახედაობის ქორი ბიჭი დაინახა თავის ეზოში შესული.

ფიდოს ახალი ჩონა-ახალუხი ეცვა და წელზე ვერცხლის როკიანი ქამარი ეტრტა. პაქიკები ლამაზად ქონდა ჩატანებული თერთ წინდებში. თავზე თუშური ქული შევნიდა. ეს პატარა ტანის კაცი დღივით იყო გამოწასული ახალ ტანსაცმელში.

სალომეს ბიჭი ხომ მოეწონა და მოეწონა, მაგრამ თვალი მის ჩაცმულობაზე დარჩა. რა იცოდა ცხოვრებაში გამოუცდელმა ქალმა, რომ ის ჩონა-ახალუხი და ვერცხლის ქამარი, თავისავით ღარიბ ფიდოს ნათხოვარი ექნებოდა თედუანთ გოგლას ბიჭისაგან, როგორც ახლა თვითონ ფილო იტყვის ხოლმე.

ეს... ვინ იცის იმ ჩონა-ახალუხს რამდენი სალომესნარი გოგო მოუტყუებია მაშინ. ამაზე დღესაც გეტყვიან გარდატენში.

მოჭკოდნენ პობედები სალომეს სახლისაკენ და მოჭკოდნათ სინარული, სიყვარული, ბედნიერება. დოლის დაფდაფი, ზურნის ჰკვიტანი, მაქანკალის საყვირის ხანგამოშვებით ძახილი ერთმანეთში ირეოდა.

უცბად მანქანებმა მარჯვნივ შემოუხვიეს და ძლიერი სინათლე პირდაპირ სალომეს სახლის აივანს მიაფრქვიეს. მოულოდნელად ივრიალა თოფმა. ასტყდა ძაღლების შემოვლითელი ყუმილი. გაისმა ბიჭების წამოძახილი. მანქანები გუგუნითა და საყვირის განუწყვეტელი ხმაურით ფართო ეზოში შესრიალდნენ და გაჩრდნენ.

მანქანიდან ნეფიანი გადმოლაგდნენ. თქვენს ყურადღებას ყველაზე უფრო მიიპყრობდა ერთი ახლავანი, კარგად ჩასუტებული, შუახნის ღიზინი კაცი, რომელიც თავისი სიბაღლითა და სისქით მთელი გომელებისაგან გამოირჩეოდა. ფეხზე სავანგებოდ შეკერილი ჩემპიონი ეცვა და ტანზე თერთი კიტელი, წითური ლაუღავა სახე ღვინისაგან უფრო დასწითლებოდა. მუცელი ისე ქონდა გამობერილი, თითქოს კიტელის ქვეშ იდნებოდა კაცი ამოუღვიათო.

ეს იყო გომის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გიგო ბოგველი. გვერდში ამოსდგომოდნენ, ახალგაზრდა დარჩული ბიჭები, რომლებიც ალბათ ბალაშვილის ჯიბრით თუ წამოეყვანა, რომ გარდატენლი გოგოები კიდევ „მახეში“ გაემათ.

აივანის წინ, ხართუთის ქვეშ იფეთქა ღიზინა. ზურნა გამაღიზიანებლად ზუზუნებს, მედოლე ძალას არ ზოგავს. ახალგაზრდა ქორი მაყარი წრეში ნიავეით დაქრის.

— ახა, ტაში! — ყვირის ერთი.

— ახა, ვანი! — იძახის მეორე.

— რას ინახები შე არდასაცალებელო! — მუჯულუგუნსა სცემს მორცხვ გოგოს ვიღაც მანდილოსანი და წრისკენ ხელსა კრავს.

— აი, შენ კი არ ჩაატანე გემო შენს საბედოს! — მიაძახებს მეოთხე, როცა სირცხვილისაგან სახე აწითლებული ქალი მორცხვად გაშლის ხელებს — ისე უნდა გაინავარო, რომ ბიჭებს ელეთ-მელეთი მოკვარო.

იცინიან ბიჭები.

კისკისებენ გოგოები.

მედოლე დოღზე თითებს ათამაშებს, ზურნა ზუზუნებს, ტაშის ხმა მთელ გარდატენს სწვდება.

* * *

ამ დროს ბალაშვილი მანანას სახლს უახლოვდებოდა თავისი რჩული ბიჭებით. ეს ბიჭები წინდაწინვე შეარჩია მანანას მაყრებად. ეხენი იყვნენ მოწინავე კოლმეურნეები. ყველანი საქორწილო ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი და ტანდაობით თუ თვალადობით ერთმანეთს არ ჩამოუვარდებოდნენ.

მაგრამ მათ შორის ყველასაგან გამოირჩეოდა ტრაქტორისტი გიგლა. ეს იყო ახლავანი, მხრებში გაშლილი ვაჟკაცი. ეკნიათ ქართული ცხვირი და შავი, დიდრონი თვალები მის მოხდენილ სახეს უფრო მეტ ეშხსა და ლაზათს მატებდა.

მუშაობაში ხომ იყო და იყო ეს დალოცვილი, რა-
იონში ბაღალი არა ყავდა, მაგრამ ქეიფში აღარ
იკითხავდით ვინ იყო? მის ზარბან სიმღერას ერთი
კილომეტრიდან გაიგონებდით. გარდატანიდან ისე არ
გათხოვდებოდა ქალი, რომ გიგლა მაყრად არ გა-
ყოლოდა. გარდატენში ისე არ მოიყვანდნენ პატარა-
ძალს რომ ნეფის თან არ ხლებოდა. ქორწილების
დამამშვენებელი იყო.

ის რომ საცეკვაოდ ხელებს გაშლიდა, ტაშის ხმა
ქერსა და კედლებს შეაზანზარებდა. შევარდენივით
ჩამოუქროლებდა ქალიშვილებს ეს ახლავანი ვაჟკა-
ცი და ისე დატრიალებოდა ფეხის ცერებზე, თით-
ქის მიწაზე კი არა, მიწის მაღლა დაფრინავსო.

ახლა ჭიდაობაში აღარ იკითხავთ ვინ იყო გიგლა?
ვინ იცის რამდენჯერ განუცხადებია საჯაროდ
წრეში:

— ვისაც ვაჟკაცობაში თავი მოგაქვთ, გადმოდით,
დამეპიდეთო!

რომ ვერავის გაუბედია, გაბრაზებულს, ქიდაო-
ბის ეშხზე მოსულს, ჩოხა შორს გადაუსვრია და ტან-
საცმელი ჩაუცვამს. ბალალაშვილი თავის მარჯვენა
ხელად თვლიდა გიგლას და მუშაობაში თუ ლხინში
ყოველთვის გვერდში ყავდა.

ახლაც გიგლას იმედი ქონდა ბალალაშვილს რომ
გომელებთან არ შერცხვნილიყო.

— ბიჭებო, — ეუბნებოდა თავმჯდომარე თავის
რჩეულებს გზადაგზა — აბა, თქვენ იცით ახლა და
თქვენმა ვაჟკაცობამ, ოღონდაც ბოგველის ჯავრი
ამომყარეთ და მერე რაც ვინდათ მისოვით.

— ბარემ ბოგველის ქალიშვილი იყო კარგი, მაგრამ
უკვე დაუნიშნიათ თბილისელ ბიჭზე — უთხრა მას-
ხარა ტატომ, რომელიც მძლიერად მუშაობდა კოლ-
მეურნეობის მანქანაზე.

— თბილისელზეო?! — გაკვირვებით წამოძახეს
ბიჭებმა.

ბევრი ქება გაეგონათ გარდატენებზე ბოგველის
ქალიშვილის შესახებ, მაგრამ ნახვით კი არავის ყავ-
და ნახული. განსაკუთრებით გიგლას ეწეინა ეს ამ-

ბავი. გიგლას ანგელოზის მსგავსად ჰყავდა წარმო-
დენილი ბოგველის ასული და ოცნებობდა სადმე შეხ-
ვედროდა მას. შარშან მაყვალა ბარნაბიშვილის ქორ-
წილშიც ვერ გაიგნო. გიგლა მაშინ ძლიერ მთვრა-
ლი იყო და ქალღმერთის ყურადღება არ მიუქცე-
ვია. ბიჭებთან ღვინის სმაში იყო გართული. მერე
დღეს წამოსვლისას მაყვალამ უთხრა გიგლას: —
წუხების შენ რომ ბიჭებს ეჯიბრებოდი ღვინის და-
ღევაში, ბოგველის ქალი სულ შენ გიყურებდაო.
გიგლას გული ეტკინა, რომ ვერა ნახა, მაგრამ რას
იზამდა. ახლა ხომ ძლიერ ეწეინა მისი გათხოვება.

ლაპარაკში მანანას სახლს მიღწეის, სანამ ეზოში
შევიდოდნენ უკანიდან ფეხის ხმაურმა მიიპყრო
მათი ყურადღება. ახლაგზრდა წარმოსადეგი ვაჟკა-
ცი, რომელსაც ლურჯი კოსტუმი ეცვა და შავი თმა
ლამაზად ქონდა გადავარცხნილი გვერდზე, ჩქარი
ნაბიჯით უახლოვდებოდა მათ.

ბიჭებმა იცნეს ზურა, რომელსაც სოფელში ზედ-
მეტსახელად პეწენიკას უძახდნენ.

უცნაური ხასიათის კაცი იყო პეწენიკა. ხუმრო-
ბას ადვილად ვერ იტანდა. იცვამდა კარგად. ყო-
ველთვის საგარეო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი
და ერთთავად კოსტუმზე ინდებოდა, მტვერი ხომ არ
მომეცხოო. ზედმეტი სახელიც სწორედ ამის გამო
შეარქვეს. ერთხელ ერთმა ქალმა სთქვა ზურაზე: რა
პეწიანი ბიჭიაო. პეწიანს „კაცი“ მიუმატეს და ახ-
ლა ყველა პეწენიკას უძახის.

— ძია თედო, — უთხრა ზურამ თავმჯდომარეს
მიახლოვებისთანავე — ვისზე ნაკლები ვარ, რომ
მე არ მიგყვარა მანანას მაყრად?

— კარგი ბიჭი ხარ ზურა, მაგრამ რა გიყო. მე
მხოლოდ მოწინავე კოლმეურნეები შევარჩიე მაყ-
რებდა, — უბასუხა ბალალაშვილმა.

— მოწინავე რომ არა ვარ, იმიტომ ცუდი ბიჭი
ვარ? წამოვალ რა იქნება — ეს სიტყვები ისეთი
ხმით წარმოთქვა ზურამ, რომ თავმჯდომარემ უა-
რი ვეღარ უთხრა. „ზოგიერთი ქალიშვილი ქუთით
ბრმა არის, მარტო შეხედულვებს უყურებსო. პეწე-
ნიკა კი შეხედულვებით რო-
მელ გოგოს არ მოეწონება,
წამოვიდეს, იქნებ მაგან
უფრო ამომყაროს ბოგვე-
ლის ჯავრიო“, გაიფიქრა
და ზურას ნება დართო გა-
ყოლოდა.

— ბიჭებო! — მიუბრუ-
ნდა გაბარებული ზურა ამ-
ხანაგებს — ოღონდაც გომ-
ში ნუ დამიძახებთ პეწენი-
კას და აქ რამდენიც გინ-
დათ მიძახეთ.

ბიჭებს სიცილი წასკ-
დათ. ბალალაშვილსაც გა-
ეცინა.

ეზოში შევიდნენ. აივ-
ნის წინ ისევ დაფდაფებ-
და დოლი, ზურას ზუზუ-
ნი გააქონდა. ნიავეით წა-
მოქროლებულ გოგოს, ბი-
ჭი ფეხმარდად მიჰყვებოდა
გვერდით და ქორივით ხან
კვლავებს შუა გაუძვრებო-
და, ხან წინიდან უყელებ-
და.

— აბა, ტაში!
— აბა, განი!

კვლავ გაისმოდა ეშხში
შესულ მოცეკვავეთა წა-
მოძახილი.

ხართუთის ქვეშ, დამკვ-
რელების გვერდით, ბალა-
ლაშვილმა თვალი მოჰკრა
ბოგველის მელოტ თავს,
რომელსაც ელექტრონის
შუქზე წითლად გაჰქონდა
ჩახჩახი. თავისი რჩეული
ბიჭების შუა ჩამდგარიყო
და დიმილით მისჩერებო-
და გომელი ბიჭისა და გარ-
დატენილი გოგოს მოხდე-
ნილ თამაშს.

— აგერ, ახლა მესაქე
აყოლიათ მიზანში! — წა-
მოძახა ბალალაშვილმა და
ბიჭებს გადახედა.

ბიჭებმა პირზე ხელი
დაიფარეს, რომ სიცილს
თავმჯდომარის ყურამდე
არ მიედწია და ამით უფ-
რო არ გაეცემებინათ
იგი, მაგრამ ბალალაშვილი
მიუხედა ყველაფერს. ახლა
თვითონაც გაიცინა თავის
სიტყვებზე.

არც ბოგველს გამოპარ-
ვია გარდატენილი კოლმეურ-

ნეობის თავმჯდომარის მისვლა. დანახა თუ არა
ბიჭებით მიმავალი ბალალაშვილი, გაკვირვებით წა-
მოძახა:

— ოხო, ალბათ შურის საქმეობად თუ გამზადე-
ბულა ბალალაშვილიო — მერე ხელი დაუქნია „აქ
მოდიო“.

ხელის ჩამორთმევისთანავე ბოგველმა მიცხვია
ვეებისკენ მიხედო თედო.

— ის გოგო ვისა?
— რა შენი საქმეა ვისიც არის! არ გეყო, რომ
ორი გმირი მომტაცე კოლმეურნეობიდან?

— ესეც მესამე იქნება! ვა... ხა... ხა... ხა. — აქ
ისეთი მაღალი ხმით გადაიხარხარა ბოგველმა რომ
მთელმა სახლმა ცქერა დაუწყო.

დაიშალა ლხინი. სუფრის გარშემო, სკამებზე,
ხალხი დალაგდა. ნეფე-დედოფლის ერთ მხარეს
გომელები მოთავსდნენ, მერე მხარეს გარდატენ-
ლები. ბოგველი და ბალალაშვილი თავიანთი რჩე-
ული ბიჭებით მოპირდაპირე მხრით მოექ-
ნენ.

ნელა წამოიწყეს სუფრაზე ტკბილი მრავალუამიე-
რი. მრავალუამიერის შემდეგ დედოფელმა გულსაკლა-
ვად ამოიკვნესა და თავისი ტკბილი მანქანი ქეიფო-
ბის ეშხზე მოიყვანა ხალხი.

მხიარულობდა ფილოს ოჯახი, ნეტარებას განიც-
დიდა ნეფე-დედოფალი.

მხიარულობდა აგრეთვე ფილოს სტუმრები და
მთელი გარდატენი.

არ უხაროდა ერთს. ეს იყო კოლა. დანა ჩარტე-
მულივით მიყრდნობდა აივნის სვეტს და გულდა-
თუთქული უნუგუმოდ იყურებოდა იმ სახლისკენ,
საიდანაც დოლისა და ზურის შესხატკობებული
მელოდია ოდნავ მოჰქონდა ნიაგს.

* * *

სადღეგრძელო სადღეგრძელოს სცვლიდა, სიმღე-
რა სიმღერას. დაცლილი ბოთლების მაგივრად ღვი-
ნით ავსებული ბოთლები ჩნდებოდნენ მაგიდაზე.
ჩამოტარდა მირთმეული საჩუქრების დასახელება-
ბიჭები და გოგონები ცეკვით დაილაღნენ.

გომელების დაინებულნი თხოვნით ის-იყო ხალხი
უნდა წამოშლილიყო სუფრიდან, რომ მათი ყურად-
ღება ერთმა ხანშიშესულმა ქალმა მიიპყრო. მას
გაზეთში შეხვეული რაღაც ეცავა მძიმედ. თამადას-
თან მივიდა ახლოს, გაზეთში შეხვეული გადასცა და
თან ჩუმად წაუტუტუნა: — კოლამ გამოუგზავნა მა-
ნანას საჩუქრადო.

ეს იყო კოლას დედა. უკან რომ შემობრუნდა
ცრემლი ჩამოუგორდა დაწვე. თავშლის წვერით
ისე ოსტატურად მოიწმინდა, რომ არავის შეუმჩნევია.

— სად არის კოლა? — იკითხა თამადამ.

— შეუძლოდ არის! — უბასუხეს ბიჭებმა.
თამადამ გაზეთი შემოხსნა ნივთს. ელექტრონის
შუქზე ბროლის ძვირფასი ვაზა აბრჭყვიალდა. ერთ
მხარეზე ვაზას ისარ გარკობილი გული ეხატა. ვე-
რავინ მიხვდა ამ ნახატის მნიშვნელობას, გარდა იმ
ბიჭებისა, ვინც ამ ერთი კვირის წინ, მოულოდნე-
ლად შეიტყვეს კოლას გულის წუხილი.

ბიჭებს გაეღიმათ და ერთმანეთს შეხედეს.

წამოიშალა ხალხი. ზურამ წასვლისა დაუჭრა.
დაბლა მოტორები აგუგუნდა. ცოტა ხნის შემდეგ დო-
ლისა და ზურის დაფდაფით გომის მინდორზე მიჰქ-
როდნენ.

წინ ბოგველის პოხედა მიდიოდა. უკან მიყვებოდა
ნეფე-დედოფლის მანქანა. შემდეგ მანქანიდან გარ-
დატენილი მაყრების მაყრული ისმოდა. ბოლოს სხვა
მანქანები მიჰყვებოდნენ.

შარა, რომელსაც გომის ბაღ-ვენახები ერტყმოდა
აქეთ-იქიდან მთელს სივრცეზე, დღესავით ჩახჩახებ-
და მანქანების ფარსების ბღღერიალზე. დამის მყუ-
დროებას დოლის, ზურის და სიმღერების ტკბილი
მანგები არღვევდა, რომელიც ცელქ ნიაგს შორს
მიჰქონდა და ირველიც მინდორ-ველებს ედებოდა.

აგერ, გამოჩნდა ბაღვანებში ჩაკარგული სოფელი
გომიც. ხეების ტოტებში ციციანთელებივით კიაფო-
ბდა სახლებიდან გამომკრთალი სინათლე.

მანქანები სოფელში შეიჭრნენ. გზის აქეთ-იქიდან
კოხტად გამოიყურებოდნენ ელექტრონი გაჩახა-
ხებული ქვიტკირის სახლები, ფართო აივნებითა და
შუშაბანდებით. სახლებიდან ხალხი გამოშლილიყო
პატარძლის დასანახად, გზის ნაპირზე ჯგუფ-ჯგუ-
ფად გაჩერებულიყვნენ.

— მოულოცეთ!


— ნიდქვეშ დედოფლის მაყრები!

გაისმოდა ახლაგზრდების წამოძახილი.
მაღე სიძის ორსართულიანი სახლიც გამოჩნდა
თავისი ცისფერი აივნით და ფართო ეზოთა. აივა-
ნი და მთელი ეზო განათებული იყო ელექტრონათ.
აივანზე ქორწილის ხალხი შეკრებილიყო და ზომშიმი
გაჰქონდა.

მანქანები ქიშკართან გაჩერდნენ. ხალხი გადმო-
ლაგდა. ნეფე-დედოფალს მაყრები მიჰყვნენ უკან,
ბოლოს გომელები.

ეზოში იქეა დოლმა. ზურამ ლეკურის დაცხბო.
გიგლა მხოლოდ ახლა მოვიდა ცეკვის ხასიათზე. ნე-

..ხელები შევარდენის ფრთხილად გაშალა და
დამკვრელების წინ დატრიალდა



ლები შევარდნის ფრთხილად გაშალა და დამკვერ-
ლები წინ დატრიალდა.

აინვიდან ეწოდა ჩამოვარდა ხალხი. გომელი ქა-
ლიმხელი რაკალივით შემოვრტყნენ საცეკვაო მო-
ედანს. ტაშმა მებვივით იტყა და მთელს სოფელს
შემოურბინა.

ცეკვავდა გიგლა, წრეს ნაივით უვლიდა. შევარ-
დნივით ჩამოურბილებდა გომელ ქალიშვილებს
წინ და ჩუმხუდად წვერავედა თავის შესაფერისს, რომ
საცეკვაოდ გაეწვია.

აგერ, თვალი მოჰკრა ერთ შინდისფერ კაბიან
გოგოს, რომელიც ახალგაზრდა გათხოვილი ქალე-
ბის შუა ჩამდგარიყო. მას ეშხიანი სახე ჰქონდა. შა-
ვი თვალმოდ მახვილივით უბრწყინავდა. ისე განირ-
ჩედა მათგან, როგორც ატმის ყვავილი სხვა ყვა-
ვილებსაგან.

გაუთხროდა ვაჟი. წრეს ერთხელ კიდევ დაარტყა
კამარა, მერე ქალის წრეს მოხდენილად შემოტრიალ-
და და თავაწიანად თავი დაუკრა.

ორმაგი სიმღერით იტყა ტაშმა. მედლოდმ ძალა
აღარ დაჰკრა. ზურნამ ხმას აუწია.

გოგოს ჯერ სირცხვილის აღმოურმა აუწვა სახე,
უკან დაიწია. მერე ოღნავ გაიღმა, ნაზად ხელები
გაშალა და...

— შენ გენაცვია! — წამოიძახა ტატომ და ბაღა-
ლაშვილს ხელი წაჰკრა: ერთი უფურცე გიგლას, რა
ჯერიანოვით გოგო ამოიღო მიწანშიო.

ტანის მოხდენილი რჩევით ქალი კამარას აკეთებ-
და. წრეს ისე უვლიდა გარშემო, თითქოს მიწაზე
ფხვს არ აკარბესო. მკლავების ღამაში მოძრაობით
გედოვით მისცურავდა სივრცეში.

ფხვების რიტმული მოძრაობით გოგლა გვერდით
მიჰყვებოდა ქალს, რომელსაც სახე მოერიდებინა და
ოღნავ მარჯვნივ იყურებოდა. თითქოს მისი შემო-
ხედვის ეშინაო. გიგლას კი კისერი წავეგრძელებინა
და მოხდენილი ღამით ციკასავით შესცქეროდა
სახეში, თითქოს ეუბნებოდა: — გოგო, თუ გინდა
ერთხელ, ერთხელ მოიხედე ჩემსებო! შენს ცეცხლო-
ვან თვალებში ჩამახედო.

ზურნა ისევ ზუზუნებდა გამაღვიანებლად. მე-
ლოდ ძალას არ ზოგავდა. გრგვინავდა ტაში.

— აი, ერთმანეთის შესაფერისი ქალ-ვაჟი თუ გი-
ნდათ, ესენი არიანო! — წამოიძახა უცხად ვიღაცამ
და ეს სიტყვები გულის ფიცარზე დაეწერა ქალ-
ვაჟს.

ხალხი ახმანდა. დოლი უფრო გახურდა. ზურნა
ალაპარკავდა. თითქოს ამათც კვერი დაურტყეს წა-
მოძახხოსო.

ქალმა ერთხელ კიდევ შემოუქროლა წრეს. მერე
გვერდ-გვერდ წავიდა და გაჩერებისას ისეთი მაღლი-
ანი თვალით შეხედა ვაჟს, რომ ცეცხლოვანი თვა-
ლების ეშხი ტყვიასავით ჩაქვდა გიგლას გულ-
ში.

გაჩერდა ზურნა, დადუმდა დოლიც. ხალხმა სუფ-
რას მიაშურა. გიგლა გაფაციცებით ათვლიერებდა
იმ ტანწარწეცა ეშხიან გოგოს, ასე უცხად რომ მო-
ინადრდა მისი გული:

— აივანზე, ქალიებს შუა, თვალი მოჰკრა ორ ცეცხ-
ლის მფრქვეველ მუგულს. გიგლა ამოეღოთ მიწან-
ში. ვაჟმა უთქმელად ამოიკიხა ქალის თვალებიდან,
რომ ისინი თითქოს ერთმანეთისათვის უნდა ყოფი-
ლიყვნენ დაბადებულნი, მაგრამ...

— ტყუილა ეტმანებო მაგ ანგელოზს — უთხრა
ტატომ გაშტერებულ გიგლას და მხარში ხელი წაჰ-
კრა — ეგ გახლავეთ ბოგველის ქალიშვილი, ნახვ
რომ გაინტერესებდა.

— რას ამბობ ბიჭო, ხომ არ გაღაირე?! — ისე-
თი ხმით წამოიძახა გიგლამ რომ ტატომ გაკვირვებ-
ისაგან თვალები აშკიტა.

— გადარეული მიეკიბა, შენა ხარ სიყვარუ-
ლის საღერდელი ხომ არ აგოშალა მაგ გოგომა?!

— ნეტავ ეგ არ გეუბრა ტატო და... —
შენ ახლა მივარალი ხარ ჩემო გიგლუში. გამო-
ფხვნილები და ეგ საღერდელი ისევ დაცხრება.

— მართლაც რომ მივარალი ვარ, ღვინით კი არა,
იმისი თვალების ეშხით. შენ ეს მითხარი, ნამდვი-
ლად იცი რომ დანიშნულია?

— ნამდვილად! წეღან, შენ რომ მას აცეკვებდი,
გომელ ქალეებს ვკითხვ.

— ეს... — გიგლამ ღრმად ამოიხსრა და გულზე
ჩელი დაიკრა.

— მაინც არ დაუგერა ტატომ.
— დედი! — მიუბრუნდა ერთ მოხუცებულ ქალს,
რომელიც გვერდით მოსდგომოდა და მის მხარ-ბებეს
შესცქეროდა — აქაური ხარ?

— აქაური ვარ შევილი.
— ბოგველის ქალი ვასათხოვარია?
— თვალში ხომ არ მოგვიდა შევილი! — ეშმაკუ-
რი ღმილით ჰკითხა მოხუცმა.

— მე კი არა, აი, ამას აინტერესებს! — დაბნე-
ვით უთხრა გიგლამ და ტატოზე მიუთითა.

— მაგისი კი არა, მაგრამ შენს შესაფერისი კი იყო.
ტატომ მოხუცებულს შეხედა.

— ახლა დედაჩემსა ჰკითხე, შენ რომ ეგრე ღაპა-
რაკობ
ქალს გაეცინა.

— არა შევილი, შენც კარგი ბიჭი ხარ, როდი

გწუნობ. მაგრამ იმ გოგოს ხვალ სადამოს ნიშნავენ.
— ვინ არის ის ბიჭი?! — გულის ფანცქალით
ჰკითხა გიგლამ.

— რაიკომის მიდინის შვილია. ხომ იცით, ბოგველს
მაგისთანა ხალხით მოსწონს თავი. ბიჭისა კი რა
მოგახსენოთ. მე არ მინახია, ხალხი ამბობს, შეხე-
დულივით ვერაფერი ვუპაკაიაო.

— ქალს თუ მოსწონს ის ბიჭი?! — იკითხა ტა-
ტომ.

— საქმეც ეგაა რომ არ მოსწონს, მაგრამ რას
იზამს. ბოგველი ისეთი ჯიუტი კაცია, რასაც იტყ-
ვის, ის უნდა შეასრულოს. იმდენი ეჩინა რომ
საწყალო გოგო, მატეხა და დაითანხმა.

კიდევ ამარბედა ქალი სიტყვის გაგრძელებას, მა-
გრამ ერთმა მასპინძელთაგანმა ტატოსა და გიგლას
მკლავში ხელი მოკიდა და სთხოვა მაღლა ასულიყ-
ვნენ.

აივანზე ზურა დინახეს. გომელ ქალიშვილების
შუა ჩამდგარიყო და რაღაცაზე აცინებდა. ღაპარა-
კის დროს თან ხელით ეხებოდა ტიტველა მკლავზე
ერთ ცისფერთვალზე გოგონას, რომელიც გვერდით
მოსდგომოდა და ღმილით შეჰყურებდა თვალ-
ებში.

— ერთი ბეწვნიკას შეხედე რა ამბავშია! — წა-
მოიძახა ტატომ და გიგლას მუგულგუბნი წაჰკრა —
ბალალაშვილის არ იყო, იქნებ მაგან უფრო ასა-
ხელის გარდაღები. ერთი შეხედე თანაც როგორ
ვარშიყება იმ ცისფერთვალზე ვახ. ყოჩად ბე-
წვნიკა! — გადინახარა ტატომ.

ზურამ შუბლ ქვეშინად გამოხედა ტატოს. ეშმა-
კურად თვალები დაუბრიალა. მერე ტუჩებში ჩა-
იცინა, ზურგი შეჰკცია და ტატოს გვიბრით, ქალი-
შვილს მკლავში ხელი მოკიდა. თითქოს იმის თქმა
უნდოდა: — ჩემი წამოყვანა რომ არ გინდოდათ, ამა
მიუფრთ გომელ გოგოვებთან რა ამბავში ვარო.

გიგლას მხოლოდ ახლა გაეცინა.

ხალხი სუფრის გარშემო დალაგდა.
გომელების მხარეს, ბიჭებისა და გოგოების შუა
ბეწვნიკა გამოქიმულიყო. გვერდში ისევ ის ცის-
ფერთვალზე გოგო მოსდგომოდა. წეღან ციკასავით
რომ შესცქეროდა თვალეებში. ბეწვნიკა ისე ახლოს
მიკვიროდა გვერდში, რომ ამის შემყურე ტატოს შუ-
რიც კი აღეძრა გულში.

დაიწყო ქვიფი, გახურდა ღვინის სმა. გიგლას
თვალეები ამოდ დაეძებნენ ხალხში ბოგველის
ასულს, მაგრამ სანეტარო არსებას ვერა და ვერ
მოჰკრა თვალი. იფიქრა ალბათ აქ, სადმე ტრია-
ლებს და მოვფი, თვალი კარებისაკენ ეჭირა, „ან
ახლა გამოჩნდება, ან ახლაო“, მაგრამ მოლოდინი არ
გაუმართლდა.

აიგო მოთინებინა ფილა. ღვინომ უფრო გაათა-
მაძა ისედაც თანამი, ბიჭები. გიგლას გულმა ვეღარ
მოუთინა და გომელ ბიჭებს ჰკითხა: „სადაა ბოგვე-
ლის ქალიშვილი, რატომ ქორწილში არ მოდისო“.

გომელმა გაკვირვებით შეხედეს გიგლას. ერთმა
მათგანმა, რომელმაც თავისი ვაჟაკური გარეგნო-
ბით წეღანვე მიიპყრო გარდატენიების ყურადღება,
თვალეები აჭკიტა და გიგლას მიუბრუნდა:
— შენ კითხულობ ძმობილო ბოგველის ქალი-
შვილს?

— დიახ, მე კითხულობ — უპასუხა გიგლამ ღი-
მილით, რომელმაც ვერც კი შეამჩნია მის სახეზე
ასე უეცარი ცვლილება.

— რათ გაინტერესებს?
— მაინტერესებს! — ეკლავ უპასუხა გიგლამ და
სახეზე დააცქერდა. ახლა შენიშნა მის თვალეებში
მუჭარის ცეცხლი.

— არა, მაინც რატომ გაინტერესებს ბოგველის
ქალიშვილი? — ისევე გაუმეორა კითხვა გომელმა და
გიგლას თვალი თვალში გაუყარა.

— რა თვალეებს მიზნობდა ძმობილო, შენი ვა-
ლი ხომ არა მაქვს? — ახლა კი ამაყად უპასუხა
მოწინააღმდეგე გიგლამ. თან ტუჩზე იკბინა: „ეს
ხომ არაა ბოგველის ვაჟი, ჭიდაობაში რომ აქებენო“.

ტატომ ფხვი დააღვა გიგლას ფეხს. ამით ანიშნა
„ბოგველის ვაჟიო“.

— არა, მაინც არ მეტყვი რატომ იკითხე ბოგვე-
ლის ქალიშვილი? — ჩააცვიდა.

— ხომ გითხარი, ისე ვიკითხე-მეთქი, მერე რა
მონდა?

— ფრთხილად იყავი — თითი დაუქნია ბოგვე-
ლის ვაჟმა და ცეცხლივით აგზნებულ თვალეები
მიაპყრო — იცოდე რომ გომელთან გაქვს საქმე,
დათოსთან!

— თუ ძმა ხარ, — მიაძახა გიგლამ წარბშეუბრე-
ლად — თხა თხაზე ნაკლები მგელსაც შეუტამია. შენ
თუ გომელი ხარ, მე გარდატენი ვარ!

— თავნება დათომ სკამიდან წამოიწია. ქალიშვილე-
ბი ერთმანეთს მიაწყდნენ. ხალხში ჩოჩქალი შეიქ-
ნა.

ბოგველი დაკოპილი წამოვიდა შვილისაკენ, მკლა-
ვში ხელი მოკიდა და კარში გაიყვანა. ბალალაშვილ-
მა გიგლას დაუბრიალა თვალეები „ჰკვიანად იყავი“.
ცოტა ხნის შემდეგ მამა-შვილმა ისევე თავიანთი
სკამები დაიკავეს. დათოს სახეზე კუსტი გამოხედა
გამქრალიყო.

გაგრძელდა ქვიფი „მრავალუბიერი“ „სუფრუ-

ლი“ სცვლიდა, „სუფრული“ „მრავალუბიერი“.

გიგლას თვალეები ამოდ დაეძებნენ ბოგველის
ასულს, მაგრამ იგი არსადან არა ჩანდა.

ნათელა იმ დროს მივიდა მათთან, როცა მთელი
ქორწილის ხალხი გიგლას ეხვეწებოდა ფანდურზე
ემღერა. გიგლა უარზე იყო. აშკარად ეჩინებოდა მო-
წყენილობა. სიმღერის სასიამო დეკარგულა.

ნათელა რომ დინახა, უცხად გამიფხვნიდა, გა-
ხენვდა, გული სიხარულით აეცინა მის ნამტიროვზე
თვალეებიდან თითქოს ისეთივე წუხილი ამოიკითხა.
როგორსაც თვითონ ვანიცდოდა. ქალი ისეთი თვა-
ლით მისჩერებოდა მას, თითქოს ეუბნებოდა: — რას
მოწყენილობარ, დაუარ სიყვარულისა, შენც იტირე
და მეც მტირობ.

ფანდური ახლა კი მომართა გიგლამ. ჩამოჰკრა
თითები და თავისი წუხილი სიმღერაში გადმოღვა-
რა ვაჟკაცმა.

მღეროდა გიგლა. მღეროდა მთელის ეშხით, მიუ-
ღი გრძობით. სიმღერა ქალ-ვაჟის სიყვარულს ეხე-
ბოდა. ხან სედალი იყო გულის ამჩუყებელი, ხან
სააღერსო სიყვარულის აღმძვრელი.

ნათელა გაბრუნებულ მისჩერებოდა ფანდურზე
გიგლას თითების მოძრაობას, მისი ტკბილი სიმღე-
რა, რომელშიც ვაჟკაცის გულისცემა იყო ჩაქრო-
ვილი, შიგ გულში სწვდებოდა მას, ნიბლავდა ისე-
დაც მოხიბლულ ქალს, ატყვევებდა, ათრობდა. ბო-
ლოს თვალეები მილაულა და გიგლას ოცნებით გა-
ტაცებული მთელი გრძობით მიენდო იმ გულის
თქმას, რომელიც ჯერ კიდევ შარშან, პირველ ნახ-
ვისთანავე ცეცხლივით მოსდებოდა მის გულსა და
სულსა.

ფიქრებიდან მამინ გამოერკვა, როცა ტაშის
გრილმა ოთახი შესძრა. გიგლა ზეზე წამოღდა. ხალხს
თავი დაბლა დაუკრა.

გრძელდებოდა ქვიფი, ისმეოდა ღვინო. სიმღერა
სიმღერას სცვლიდა, საღერდო საღერდო საღერდო. სიმღერა
ამდებოდა რამდენჯერმე იყვივდა. სიხინელს მტრე-
დისფერი სინათლე კვეთდა. მეზობელ დაბიდან სა-
ხერხი ჰქარხნის საყვარის ხმამ შეარყია დილის რიუ-
რაჟი. თენდებოდა.

ხალხი კარში გამოიშალა. ეწოში ღვინო გაიმართა.
გიგლა უყვე საკმაოდ მთვრალი იყო, მხოლოდ ვერ
გაეგო, ღვინო უფრო მაგრად მოჰკიდებოდა, თუ ნა-
თელას სიყვარული.

* * *

მოშუადღევდა. მზე ისე აცხუნებდა დედამიწას,
წაფხულის ღვე ეგონებოდა ადამიანს. ქორწილის
ხალხი ისევ განაგრძობდა ქვიფს. მხოლოდ მათ შო-
რის აღარ იყო ბოგველი თავისი მუდმილითა და ქა-
ლიშვილით. ისინი დილა ადრინავე წასულიყვნენ
სახლში და სასიძოს მოლოდინში მზადების თადა-
რივს შესდგომოდნენ. თავნება დათო კი სოფელში
დატრიალებდა და ჭიდაობისათვის მიეჭრებოდა და-
ეძებდა.

დათოს ამხანაგები ისევ ღვინის სმაში იყვნენ გარ-
თულინი. პატარძლის მაცრებს ღვინოს აძალდებდნენ,
რომ გიგლა დაეთროთ და ეს თავმოქმნიე ვაჟაკი,
რომელმაც წუხილის მთელი ქორწილის ხალხის გუ-
ლი მოიგო და გომელ ქალიშვილებს თავაზა დაუბ-
ნია, საქმიად მოეძინე სახალხოდ შეერცხვი-
ნათ.

გიგლა ვერ მიუხვდა გომელებს გულის წადილს.
ერთმა ბერიკაცმა, რომელიც გომელების სიძე იყო,
ჩუმად წაუჩურჩულა გარდატენილებს.

— ბიჭებო, ფრთხილად იყავით. გომელები დიდი
მამაძალები არიან და რამეს ვიხიანდრებენო. მეც,
ახალი დანიშნული რომ ვიყავი, ისეთი ოინი გამი-
კეთეს, დღესაც არ დამვიწყებიაო.

გიგლას ტუჩებში გაეცინა. ბიჭებს უთხრა, ღვინო
აღარ დაელიათ. თვითონაც უკლო სმას.

ოთახში მღვე ზურნის საჭიდაო მელოდია და დო-
ლის ბაგა-ბუვი შემოიჭრა. გომელებმა გარდატენ-
ლებს შეხედეს.

— ხომ არ გამოივლით საჭიდაოზე? — სიტყვა გა-
დაუკრა ერთმა მათგანმა გიგლას, რომელიც დათოს
ახლო მეგობარი იყო.

— წავიდეთ! — უპასუხა გიგლამ და ზეზე წამოღ-
ვა. მიხვდა რომ ის ბერიკაცი მართალი იყო. „ეს ყვე-
ლაფერი დათოს ოინებიაო“, გაიფიქრა და ბიჭებს
ანიშნა სუფრიდან აშლილიყვნენ.

* * *

როცა გარდატენილი მაცრებს საჭიდაოს დაუბ-
ლოვდნენ, ჭიდაობა უყვე გახურებული იყო. აუარ-
ბელ ხალხს მოეყარა თავი. ბერიკაციები ერთ მხარე-
ზე შეკრებილიყვნენ და ინტერესით ადევნებდნენ
თვალს ბიჭების მეღვარე შეჯახებას. ისხენდნენ
თავიანთ ახალგაზრდობას, არა ერთხელ რომ უსახე-
ლებიათ გამო.

მეორე მხარეს ახალგაზრდები ჩამჭკრივებულიყ-
ვნენ. მინდვრის ყვავილებით მოსჩანდნენ ნაირ-ნა-
ირ ტანსაცმელში გამოწყობილი ქალიშვილები. იცო-

ნოდენ, კისკისებდნენ, ბიჭებთან არმოყოფდნენ. უზარმაზარ კაკლის ხის ტოტებზე, რომელიც მოედნის ნაპირას იყო აღმართული და ზემოდან ქოლგასავით გადაფარებოდა დაბლა შეკრებილ ხალხს, უამრავი ბავშვები ჩამომხსნარიყვნენ ბელურბივით. კაკლის ქვეშ წითელ მალღადაფარებული მაგიდა იდგა. მაგიდასთან გამოქიმული იჯდა დათო და „ყაზბეგ“ აბოლებდა. ხშირად გარდატეხილებსაკენ გააპარებდა თვალებს. გიგლას ზომავდა შორიდან.

დათოს მოსჯდომოდა გვერდით, ქერა სახის, დაბალი, მაგრამ მკვირივი აგებულების ახალგაზრდა. მას ცალი ყური დამახინჯებული ქონდა და ხინკალივით მოუჩანდა შორიდან. ეს იყო პირველი ფაღვანი დათოს შემდეგ, რომელსაც ყურას უძახდნენ სოფელში.

— ცეცხლიაო, — იტყვან ხოლმე ყურაზე გომში, — როგორც არ უნდა მოიქნიაო, „ვანკა ვსტანკასავით“ მაინც ფეხზე დგასო. კატასავით ზურგზე არ დაეცემაო.

ახლაც ყურას ჩააცვეს გომელებმა ჩოხა. დათო პირდაპირ გიგლასთან მივიდა და უთხრა: — ან შენ უნდა დაევიდო, ან — ვინც ვინადა თქვენი ბიჭებიდან ის გამოუყვანეთო. ჩოხა მიადგო. უკან შეტრიალდა და ისევ კაკლისაკენ გასწია.

გიგლამ თვალი გააყვალა დათოს. მერე ბიჭებისაკენ შებრუნდა და ტატოს უთხრა:

— შენ უნდა დაევიდო ტატო!

ტატომ ჯერ თანხმობა განაცხადა, მაგრამ ისევ შეფიქრებდა.

— მერედა, რომ წამაქციოს ბალალაშვილს როგორდა უნდა დავენახო? მოდი ჯერ სხვა დაევიდოს, გავიგებ მისი ჭიდაობის ფანდებს, მერე მე დაევიდები.

— აბა სხვა ვინ დაევიდებ, მაგარი ბიჭი ჩანს.

— პეწენიკა დაევიდო!

— პეწენიკა რას დაევიდებ. მაგის თავმოყვარეობის ამბავი არ იცო?

— როგორ არა, მოიცაო!

ტატომ აქეთ-იქით გაიხედა. ახალგაზრდებს შორის თვალი მოჰკრა ზურას. ისევ იმ ცისფერთვალზეა გოგოსთან იდგა. ღვინისაგან ოდნავ შესწითლებოდა ლოყები.

ტატო მაშინვე მასთან მიიქრა.

— ზურა, აბა თუ გინდა ბალალაშვილის გული მოიგო, ახლა უნდა გვასახელო. აგერ, ქერა ბიჭი რომ ჩოხას იცვამს კაკლის ქვეშ, იმას უნდა დაევიდო. ნუ გეშინია, ვერაფერს დაგაკლებს. ზურამ აღმაცურად შეხედა ტატოს. უნდა ეთქვა: რომელი დიდი მოქიდავე მე მნახეთ, მაგრამ ქალისა შერცხვა.

— ნუ გეშინია კაცო, ის რომ ვერ წააქციო, გარდატეხილი როგორდა უნდა დაბრუნდე, შენი ნახევარი არ გამოიჭრება — შეაქო ტატომ.

ღვინისაგან გათამამებულ პეწენიკას, ცოტა არ იყოს ესამოფნა ეს სიტყვები ტატოსაგან. იფიქრა: ალბათ კარგი მოქიდავე არ იქნება. თავგამოდებულია ქალს ღიმილით გადახედა და მერე ტატოს უთხრა: — ის კი არა, იმაზე უკეთესი ვინცა ყავთ გომელებს, ის გამოიყვანონო.

— ბიჭოს! — გუნებაში გაიფიქრა ტატომ — ეს აღარა ხუმრობს აი, ნამდვილად ღვინო აბედინებს თორემ ის რას დაევიდებოდაო.

მაგრამ გულში მაინც ჩქაროდა იგრძნო ზურამ. თვალი კაკლისაკენ გააპარა და შორიდან ყურა შეათვალიერა. მის ჩასკვნელ ტანს რომ შეავლო თვალი, შეფიქრებდა. ქალთან რომ არ ყოფილიყო, უთუოდ შეცვლიდა თავის გადაწყვეტილებას, მაგრამ ცისფერთვალთანის შერცხვა. „რაც არის, არც. მე თუ ვერ წავაქციე, ის მაინც ვერ წამაქციესო“, დასჯენა ბოლოს და ქალს ბოდიში მოუთქვა: „ცოტა ხანს დაგტოვებთო“. მერე ტატოს ხელი მოკიდა, გიგლასთან მივიდა და ტანსაცმელი გაიხადა.

მისმა შემოუკარებელმა მკერდმა ბროლივით გამოანათა.

— ერთი შეხედით ამ ღმერთადლს, კანტორაში გდომით როგორ არის გათერთილებული! — წამოიძახა ტატომ და ზურას ბეჭებზე ხელი დაჰკრა.

ბიჭებს სიცილი წასკდათ.

ზურამ ღიმილით შეხედა ამხანაგებს. მერე ქალიშვილებსაკენ გააპარა თვალი. შენიშნა რომ ყველა მას მისჩერებოდა.

ამ ამბავმა უფრო გაათამაშა ზურა, ჩოხა ჩაიკვია და წრეში ვაჟაკურად გადატანა.

— შენ გენაცვა! — წამოიძახა ბერიკაცების მხრიდან ვიღაცამ — ცოდო არ არის, ასეთი ვაჟაკი იმ საღორის ბოძს დაჰიდონ? შეხედეთ, ლატანივით ტანი აქვს!

— მართლაც კარგი ვაჟაკი ჩანს! — ტუტუნებდა ხალხი.

უცბად ტაშმა იქეჭა. ყურა წრეში გადმოხტა და პეწენიკას მოპირდაპირე მხარეს გაჩერდა. სიდაბლის გამო პალტოსავით აღდა ჩოხა ტანზე. ჩოხის ბოლო ფეხებში დასორედა.

უცბად მსაჯის ხმა გაისმა.

— ჭიდაობს მესტერიშვილი — გარდატენი, ბუღალაშვილი — გომი! შენ დაუკარ! — დაიძახა მსაჯმა.

გაისმა ზურის გამალიზიანებული მელოდია, აბრაუნდა დოლო. ხალხი დაიძახა.

ორი ჯაბუკი სწრაფად მოსწყდა მიწას. წესისამებრ ხელი ჩამოართვეს. მერე ისევ უკან შეტრიალდნენ და ერთმანეთი მიზანში ამოიღეს.

ხელების მოხდენილი თამაშით ყურა პეწენიკას დაუახლოვდა. უცბად სწვდა ჩოხაში, ელვისებური სისწრაფით ზურგზე მოიკიდა, დაუჩოქა და ეს თავმოწონე ვაჟაკი ხუთ მერგზე გადაისროლა წინ.

ეს იხე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ ხალხმა ძლივს მოასწრო დანახვა. აგრიალდა ტაში. კაკლის კენწეროებზე შემსხდარმა ბავშვებმა ურამული ასტეხეს.

პეწენიკა ნახერხში ისე ამოსვრილიყო რომ ბეჭები კი არა, თავპირიც აღარ უჩანდა. ამის შემყურე ხალხი ხმამაღლა იცინოდა. ამ სიცილში და ურამულში აშკარად გააჩრევდით ბოგელების როხროხა ხმას.

— გაიყვანეთ აქედან, ცარიელა ფაშვი ყოფილა!

გაისმა ისევ იმ ბერიკაცის ხმა, რომელიც წედან პეწენიკას ტანით იყო მოხიბლული.

ამ სიტყვებმა უფრო ცეცხლი მოუკიდეს პეწენიკას გულზე. დარცხენილი ზეგე წამოდგა. სახიდან ნახერხი ჩამოიწმინდა და თვალები ძლივს გაახილა. სირცხვილით იწოდა. თავის მალა აწევას ვიღარ ბედავდა. არავისი ისე არ რცხვენოდა, როგორც იმ ქალიშვილის, რომელთანაც თავი მოქონდა.

„ახლა როგორდა უნდა შევხედო“, გაიფიქრა და თავგადასრულად, ზღაზვნით ამხანაგებისაკენ გასწია.

ხალხი ხმაურობდა, იცინოდა. ეს სიცილი პეწენიკას გადაჭარბებულ თავმოყვარეობას მიწასთან ასწორებდა. გულს უკლავდა.

ველარ მოითმინა. თავი ოდნავ მალა ასწია და სხვის უშეშინებლად ხალხი შეათვალიერა. თვალი მოჰკრა იმ ცისფერთვალზეა ქალიშვილს, სხვებთან ერთად ისიც იცინოდა.

ამ ამბავმა უფრო ცეცხლი მოუკიდა პეწენიკას გულზე. მიწა რომ გასკდომოდა და შიგ ჩავარდნილიყო, ის ეჩინებოდა.

— შე ოხერი ჩემო თავო — ლანძლავდა თავის თავს გულში — ყოფილიყავ შენს ქერქში, არ გერჩინავ? მამაშენი როდის იყო დიდი მოქიდავე, რომ შენ თავი გამოიღო.

ტატო გაახსენდა. „სულ იმის ბრალიაო“, წამოიძახა გუნებაში და თანაც მაგარი შეუკურთხა.

მისვლისას საყვედურით საცხე თვალებით გადახედა ბიჭებს. გულმოსულმა ტატოს კიბლები დაუჭრაუნა. მერე ტანსაცმელი გამოსტაცა ხელიდან და ისე ჩუმად გაიპარა საჭიდაოდან, კაცს არ დაუნახია.

— აბა უყურეთ თუ ახლა პირდაპირ აბანოში არ წავიდეს! — წამოიძახა ტატომ. გარდატენილებმა, რომლებიც სიცილს იკავებდნენ, ახლა კი ველარ შეიმარგეს. მაგრამ ვაი ამ სიცილს, მთელი ხალხი მაი მისჩერებოდა.

გამარჯვებით გათამამებული ყურა კი წინდაუკან დადიოდა წრეში, ჩოხას არ იხიდა, „ჯერ ხომ არ მიქიდავია, კიდევ გათამამებენ ვინმეო“, გაიძახოდა ხმამაღლა და ამპარტანული ღიმილით ხშირად გარდატენილებს გადახედავდა.

ტატომ ტანსაცმელი გაიხადა, ჩოხა ჩაიკვია. „ვაი თუ პეწენიკაზე უარესი სირცხვილი მე ვქაშიო“, გაიფიქრა და უცბად ერთმა ზურმა ვაურბინა თავში.

„იქნებ მეც დაემარცხდე, გარდატენი რომ არ შევარცხვინო და ბალალაშვილს სირცხვილი არ ვაქაშიო, მოდი, სხვა სოფელსა და სხვა გვარს ვიტყვიო. იფიქრა: „ახალშენიდან აქ არავინ იქნებიაო“, გვარიც იმ სოფლიდან ამოიჩინა. მაგრამ ტატოს საუბედულოდ ახალშენიდანაც ესწრებოდნენ ბიჭები ჭიდაობას.

მსაჯმა ქამარი გაუსინჯა ტატოს. ჩოხის კალთები გაუსწორა და მარტო გვარი ჰკითხა.

— გარდატენი არ გეგონო ჩემო ძმაო, ახალშენიდან ვარ, პატარქალაშვილი.

მსაჯმა მოჭიდავების გვარი და სოფელი სახალხოდ განაცხადა.

ახალშენის გაგონებაზე იქაურმა ბიჭებმა თვალები აქუიტეს. „ჩვენებური როდის არისო“, წამოიძახეს და გაკვირვებით ერთმანეთს შეხედეს. მაგრამ ისევ გაჩუმდნენ, რადგან ამ დროს ტატომ გარეთ ფეხით წამოიღო ყურა და მიწაზე გვერდით დასცა.

ამ ამბავმა ახალშენელები ცოტა არ იყოს აღფრთოვანა, „მაგარი ბიჭი ჩანსო“, ერთმანეთს წაუტუტუნეს და ახლა კი თანაგრძნობით დაუწყეს ცქერა.



სირცხვილი ის კი არაა, ვინც გიყვარს, იმას წაყვე...

თან ის ფიქრი აწუხებდათ, თუ ახალშენელი ვინ უნდა ყოფილიყო.

გაცივლებული ყურა ხელმოკრედ ეკვეთა მოწინააღმდეგეს. საყველოში ჩავლო ხელი. შენჯღერია, ხან მარჯვნივ გაიქნია, ხან მარცხნივ. ხან ერთ ფეხში მოსლო სარამ, ხან მეორეში. დააბნია. მერე მოკვერდი მოუღლო და მიწას ლავაშვით გააქრა.

იგრიალა ტაშმა. ასტყდა ხმაური. ბავშვებმა ქუთინა მორთეს.

— კაცო, ვა ჩვენებური როდის არის?! — ახლა კი გაცივებით წამოიძახეს ახალშენელებმა და ერთმანეთს შეხედეს.

— მეორე წუთზე გაიმარჯვა გომელმა! — გაისმა მსაჯის ხმა.

— ახალშენელი არ არის!!!

— გარდატენილია!!!

— ახალშენელად იმიტომ გაასალა თავი, იმედი არა ჰქონდა!

აყვრიდნენ ახალშენელი ბიჭები.

ამ ამბავმა უფრო დიდი სიცილი გამოიწვია ხალხში. კოვზი ნაცარში ჩაუვარდა ტატოს. მიხვდა რომ ამ მოქმედებით უფრო შეარცხვინა როგორც თავისი თავი და ამხანაგები, ისე ბალალაშვილი და გარდატენი. გაბრაზებულმა ჩოხა მიწაზე დაანარცხა და ზღაზვნით ტანსაცმლის ჩასაცმელად გასწია.

იცინოდა ხალხი. კისკისებდნენ ახალგაზრდები. ხითხითებდნენ ბერიკაცები. ბოგელების როხროხა ხმა, იქაურობას აურუებდა. მხოლოდ ერთი იყო ყველაზე უფრო მოწყენილი. ნერვულად თამბაშის ეწეოდა. ადგილზე ვერ ჩერდებოდა, თითქოს ფეხებში ეკლები ჩხვლტავებოდა.

ეს იყო ბალალაშვილი, რომელიც ბოგელების გვერდით იდგა და სირცხვილით იწოდა.

— ვინა ხართ კიდევ გარდატენილი, გამოდით! — თავგამოდებით შესძახა ყურამ.

— მე ვარ გარდატენილი, მე! — გაბრაზებით დაიძახა გიგლამ. სწრაფად ტანსაცმელი გადაიძრო, ბიჭებს ისევე მიაყარა და წრეში, კი არ გადახტა, გადაფრინდა. ტატოს მიერ მიწაზე დაანარცხებულ ჩოხას ხელი სტაცა, ზურგზე მოიგდო და წრის ნაპირს გაჩერდა.

ხალხი შეირხა. ყველას ცნობისმოყვარეობა აღუძრა მისმა ვაჟაკურმა გარეგნობამ. ქალიშვილებმა ჩუმად ტუტუნ-ჩურჩული მორთეს. ბიჭებმა ერთმანეთს შეხედეს. ბერიკაცებს გიგლას მკერდზე დარჩათ თვალი.

ეს ახოვანი ვაჟაკი, რომლის სხეული მთლიანად კუნთებად იყო ქვეული, სპილენძის ქანდაკებასავით იდგა წრეში და ნერვულად ელოდებოდა მოწინააღმდეგესთან შეჯახებას. ხალხს თვალი ვერ მოეშორებინა მისი გამოკვეთილ მხარ-ბეჭისათვის.

ყურა მოწინააღმდეგე მხრით იდგა და ცოტა არ იყოს შემკრთალი მისჩერებოდა გიგლას.

დაჰკრა უცბად დოლო. დაიკვივინა ზურამ. ხალხი გაინახა.

ყოფა სწრაფად მოსწავდა მიწას და ისარივით გვილაპკენ გაქაძა. პირდაპირ შეჯახება რომ ვერ გახდება, ქორივით გვერდიდან ჩამოუქროლა. მაგრამ გიგლა საყელეთი სტაცა უტბად ხელი, მაგნიტივით ახლოს მიიტაცა, მანეთლის წნელივით დაგრიბა და თავლის დახამხამებისუფალ მიწაზე პირქვე დასცა.

— ბო, ბო, ბო, ბო!!! — გაკვირვების ნიშნად აღმოხდა ხალხს გულიდან.
— შენ გენაცვალე გამარდელის ძუძუებში — წამოიძახა ვიღაცამ.

ყოფა სწრაფად წამოხტა ზეზე. განზე გახტა. მერე პირდაპირ ეკვეთა რომ ქვემოდას შესძრობოდა, მაგრამ ვერ მოასწრო. გიგლამ ფეხი გამოჰკრა უტბად და მიწაზე წარბაქოდა გულბინა.

გამწარებულმა ყურამ მუჭით ნახერხი დაბლუჯა, აფთარივით ზეზე წამოვარდა, გიგლას თავლებში შეაყარა და ეცა.

— აუ!!! — დაიგინა ხალხმა. ბოველი სწრაფად მოსწავდა ადგილს, ყურასაკენ გაქაძა, რომ შერცხვენილი წრიდან გაეგდო, მაგრამ..

გიგლამ მოასწრო თავლების დახუჭვა. ცალი ხელი რკინის სალტესავით შემოავლო ყურას, მეორეთი ნახერხი ჩამოიწმინდა სახიდან. მერე ორივე ხელი სწრაფად ჩაიკა ქამარში. მოხერხებულად ფეხი გამოაცალა ის ფეხს, რომელიც აფურცივით შემოხვევდა. კვლავ მაღლა აიტაცა ჰაერში, მოიქნია და სანამ ბოველი ახლოს მივიდოდა, ისეთი სიძლიერით დაანარცხა ზურგიით მიწას, რომ ხალხს ეგონა შუაზე გასკდაო.

გრილაო ტაშმა. ასტყლა ხმაური. ბავშვებმა ყუყინა მორთეს.

— შენ გენაცვალე ვაჟაცობაში! გომელგო, ჰა თქვენი დედა კი აბა... — უტბად გაისმა ვიღაც მოსუბიღის ხმა. ეს ის ბერიკაცო იყო, გომელგის სიძე, ახალგაზრდობის გომელგის ჯვარი რომ ჩაყოლოდა გულში. იგი გიგლასთან მიიჭრა გახარებულად, უნდოდა ეკოცა, მაგრამ ბიჭებმა ხელი მოკიდეს და წრიდან გაიყვანეს.

— გომელგო, — ხმაიდალ შეესახა გიგლამ — რომ მცოდნოდა თუ ასეთი ლაჩარი ვაჟაცო გეყოლებოდაო ხელს არ გავისვრიდი. ნამდვილი ვაჟაცო ვინცა გყავთ ის გადმოიყვანეთ!

ამ სიტყვების წარმოთქმა და დროს წრეში გადახტომა ერთი იყო. წრის გარშემო მჭიდროდ ჩამსხდარი ახალგაზრდები ზეზე წამოიშალნენ. მოედანა გაფართოვდა. ხალხი შეჩოქოდა. ბერიკაცები ერთმანეთს ეცილებოდნენ წინ წამდგარიყვნენ, რომ ამ ორი ფალავანის შეჯახება უფრო კარგად დაეხანათ.

ახლა სწყდებოდა ბელი გომელგისა და გარდატენილებისა გამარჯვება რომელიც დარჩებოდა. ორი ფალავანი იყო პირისპირ. ორივენი ერთი სიმაღლისანი იყვნენ და ერთმანეთზე უკეთესი შესახედანნი. თავლებით ზომავდნენ ურთიერთს. ჭიდაობის დაწყებას ელოდებოდნენ.

დაკრა დრომაც. დაიქვეტიანა ზურნამ. დათო ცეკვით გამოემართა გიგლასაკენ. საყელოში ჩაკიდა ხელი რომ კისრულით წამოეღო, მაგრამ ადგილიდან ვერ დასძრა.

ვაჟაცის ძალას ვერ გაუძლო ჩოხამ. უტბად გაიხტა წინ წავარდნილი დათო ნახერხით თავით წაერია. ჩოხა გამოუტყველეს გიგლას. ხელმოვარდა დაეცა.

დათომ ახლა სხვა ხერხს მიმართა. ზემოდან ხელი გადაავლო და გარეთ ფეხით უნდა გადმოეტანა, მაგრამ ვერ დაძალა.

მერე გიგლას ხელიდან გაუსხლტა და უტბად ქვემოდას შეუძვრა. ახლა გიგლამ გადაავლო ზემოდან ხელი, ქამარში მაგრად ჩაკიდა. შუა ფეხი გაუყარა და მოწინააღმდეგის მოსახტულივით უკან გადასწია.

დათო გამაგრდა. ფეხები განზე გადას, მთელი ძალით მარჯვნივ გადაიწია, რომ გიგლას უკან ვერ გადაეტანა. მაგრამ მოტყუვდა. გიგლამ მოხერხებულ სისწრაფით შუა ფეხი გამოაცალა. გარედან ბარძაყზე კავივით მოსდო ქუსლი და მთელი ძალით მოიქნია. დათო ორჯერ ამოტრიალდა ჰაერში და მიწაზე ზურგიით დაეცა.

ხალხი ერთმანეთს მიაწყდა. გულიდან ამოხეთქილია შეძახილია იჭაურობა შესძრა. გომელგმა აღეს პირველად ნახეს თავიანთი ფალავანი მიწაზე ზურგიით გაშხლართული. ერთის მხრივ გულში სინანული იგრძნეს დათოს გაღაზვანი, მეორეს მხრივ გიგლას ვაჟაცობისადმი სიმპაითი განიმსქვალნენ. ახლა ყველა გიგლას მისჩერებოდა.

ბოველი შეწუხებულვით იდგა და ხმას ვერ იღებდა. გულსატკეპნი ნახერხში ამოვანგულულ დათოს ბეჭებს მისჩერებოდა.

ბალალაშვილი იყო ახლა გახარებული. ბავშვივით ცქმტავდა, იციროდა, ბოველს ნიშნს უგებდა.

* * *

ჭიდაობა დაიშალა. გამარჯვებული გარდატენილები ისევ უკან დაბრუნდნენ და სუფრას შემოუსხდნენ. გაჩაღდა ღვინის სმა. ჭიქებს ჯახაჯუხი გაჰქონდა. მხოლოდ ბეწენიკა აღარ იყო მათთან.

სირცხვილისაგან გულმოკლული ვაჟაცო საჭიდაოდან პირდაპირ გარდატენში გაბარულიყო.

გიგლა ძალზე მოწყენილი იყო. დღევანდელი გამარჯვება სულაც არ უხაროდა. მისი ფიჭვი კვლავ ბოველის ქალიშვილს დასტრიალებდა, მასზე ოცნებობდა.

შეკვიფრებული ხალხის აყალიბებული გულს უწვილობდა. განმარტობით უნდოდა ყოფნა, სადაც არავითარი ხმაური მყურდობას არ დაურღვევდა.

ველარ მოითინა. ზეზე წამოვარდა, ხალხთან ბოლოში მოხიდა, „მაღე მოვალო“ და აივანზე გავიდა.

მზე დასავლეთისაკენ ეშვებოდა. ცის ჰორიზონტზე თეთრი ღრუბლები წამოვლილიყვნენ. თრიალეთიდან გრილი ნიავი უბერავდა.

აივნის კბეები ჩაიარა და ენოში ჩავიდა. დახლა სახლში, ფანჯრიდან, ბოველის ქალს მოჰკრა თვალი, მანანს ესუბრებოდა.

გულში ნათელი მოეფინა გიგლას. ნათელას თვალებმა მაგნიტივით მიიწავდა ვაჟაცო. თავი დაღუნდა პირდაპირ სახლში შევიდა.

— წყალი მწყურთან მანანო, წყალი დამალევიტე, თორემ ამდენმა ღვინის სმამ მოკლა პირდაპირ! — მოიმიწუნა გიგლა.

მანანა ზეზე წამოვარდა. აქეთ-იქით მიხედ-მოიხედა. ჭიქა ვერსად ნახა.

— ამ წუთში, ჭიქას ჩამოვიტან მაღლიდან! — უთხრა მანანამ და კარში გავიდა.

— ღვინოზე წყალი განა შეიძლება? — ღიმილით მიმართა ნათელამ გიგლას. ეს იყო მათი პირველი დამაპარაკება. ეს სიტყვები ისეთი ხმით წარმოთქვა ქალმა, თან ისეთი აღერსიანად შესცინა, რომ გიგლას სისარულიდან გული აეხსნა.

— წყალი კი არა, შენი სიყვარული მწყურთან გოგო. მე მგონი არ დამეძრახება ვაჟაცო პირდაპირ ვითხრა ჩემი გულის წული, მე იმ ბიჭის ცოლოში არ ჩავგდებ, მაგრამ თუ კი გამოიყვანე ცოლად, დღესვე წაგიყვან! — აკანკალებული ხმით უთხრა ვაჟმა ქალს და თვლებში ჩახედა.

ნათელა შერბოდა ვაჟაცის სიტყვებზე. სირცხვილის აღმურბა სახე აუწვა. წამოწითლდა. ისე დაიხრა სიტყვის თქმა ვეღარ მოახერხა. გიგლას ვეღარ შეხედა თვლებში.

— ვფიცავ შენს თავს, რომ უშენოდ ჩემი სიცოცხლე მოწამული იქნება. დედისერთა ბიჭი ვარ. ოთხი მამა სამამული ომში დამეღუპა, ჩემი შიშობლები მამაც მოხარულ გოგო!

ნათელამ თავი დახლა დახარა. ენა ვერ დაძრა. გიგლა მიუხედა ეს დღემოლი რასაც ნიშნავდა, გათამამდა.

— მამაშენის გერიდება? ნუ გეშინის! მართალია პირველად გაბრაზდება, იტაკილებს ამ ამბავს, იმ ბიჭის შიშობლებთანაც შერცხვება, მაგრამ ყველაფერი ჩაიფლოს, დაწუნდება, შეგვირიცხდება.

ნათელა აცახტახტული უხმუნდა გიგლას. ათასი ფიჭვი უტრიალებდა თავში. რა ექნა? როგორ მოქცეულიყო? ის ხომ ოჯახის შერცხვენა, ბოველის თავმოყვარეობის შელახვა? არა და უნდა დიეტაჯგოს მთელი თავისი დღენი.

— ვაჟმა გაუგო წუხილი.

— სირცხვილი ის კი არაა გოგო, ვინც იყვარს იმას წყვე. სირცხვილი ისაა რომ ძველი ცხოვრების წესს ემორჩილება. ეს მამაშენის შეცდომაა, ამას მერე მიხვდება. ახლა კი მითხარი გამოიყვანე თუ არა, თორემ ვინმე შემივინა და ჩვენი საქმეც წახდება.

აივნის ფეხის ხმა მოისმა.

— ნუ მტანჯავ გოგო, შენც ნუ იტანჯები. მითხარი შენი ვარ-თქო და გავთავით. ჩვენ ერთმანეთისთვის ვართ დაბადებული, გესმის?

ფეხის ხმა უფრო დაუახლოვდა. ნათელამ მხოლოდ ახლა ასწია თავი მაღლა. სიყვარულით სავსე თვალები გიგლას მიაპყრო და გულმადგერებულმა უთხრა:

— მზის ჩახვლისას, სოფლის ბოლოს, ორღობეში დაგვხვდები, შენი ვარ სიკვდილამდე, წამოყვანე სადაც გინდა.

— შენ გენაცვალე გოგო! — გულის კანკალით წამოიძახა გიგლამ. სიხარულით გადარეული ეძგერა ქალს, თავი აუწია მაღლა და ის იყო უნდა დასწავებოდა ბროწეულივით გადახსნილ ნათელას ტუჩებს, რომ ამ დროს კარი გაიღო და ოთახში მანანას დედამთლი შემოვიდა.

— თუ მომიკვდა თავი უი უი უი... — გოცებით წამოიძახა ქალმა. თავში ხელი შემოიკრა და ღიმილით მერე უკან შეტრიალდა, მაგრამ გიგლამ შეაჩერა.

— დედი, ჩვენ ცოდოს ნუ დაიდებ, თორემ სიცოცხლეში დატანჯები. არ გაამხლო. შენ აქ დარჩი, მე გავალ კარში! — უთხრა და დარცხვენილი ვაჟაცო კარში გავიდა.

აივნის ავიდა.

— რა დავმართა ბიჭო, შენ ქყუაზე აღარა ხარ! — უთხრა ბალალაშვილმა, რომელიც ის-ის იყო გიგლას საქმენულად გამოვიდა კარში.

— ძია თედო, რომ იცოდე რა ბედნიერი ვარ!

— მთელი ხალხი შენ ვაჟაცობაზე ლაპარაკობს, რატომაც არ იქნები ბედნიერი!

— მავაზე კი არა კაცო!

— მავ რაზე მელაპარაკები?! — ბოველის ქალი უკვე ჩემია!

— რას ამბობ ბიჭო, ხომ არ გადაირიგი?! — აღტაცებით შესძახა ბალალაშვილმა და გიგლას თვალებში ჩააცქერდა, „ხომ არ მატყუებ?“

— მართალს გეუბნები!

— არ მატყუებ კაცო?! მავ ბოველს სამაგიერო გადაუხადებო?! —

— გიგლამ ტყუილი როდის იცის? —

— ოხ, შენ კი გენაცვალე მარჯვით და ვაჟაცობაში! რასნ შენ იმ ბავყაყ დეგს არ დამაჯაბნინებ, თუ ქორწილი მე არ გადავიხადო, მავ კაცო. აღარ ვიყო ქვეყანაზე.

— ეგები... — დაიძახა მაღალი ხმით ბალალაშვილმა, სახლში მიიჭრა, დამკვერთებს ახალი ხუთ-თუმინიანი გადაუვლო და შესძახა.

— ხალხო, მე ხომ ჯერ არ ვიბათეში, ახლა უნდა ვითამაშო, დაუყარიო! უნდა ვითამაშო!

ზურნამ ლეკური დაუკრა. ბალალაშვილმა ხელი ბი გაშალა.

* * *

მზე დასავლეთის მთებშიკენ იწვერებოდა, როცა გარდატენლმა მავრებმა ქიფი დამთავრეს. სუფრისთან წამოიშალნენ და ენოში სიმღერა დაეუგუნეს. „სასელა სჯობს წარმატებისა არ დახანება ხანისა,

კოცნა სჯობს თერთი ქალისა, ჩახვევა საფვერომანისა“. — მოსძახოდნენ ღვინისაგან შესურებული ბიჭები.

დადგა წახვლის დროც. ტატომ პოზედა აამუშავა. მას გვერდით მოუგდა ბალალაშვილი. უკან მარტო გიგლა მოთავსდა და ნათელასთვის ადგილი შეინახა. დანარჩენები სხვა მანქანებში ჩასხდნენ.

ის იყო მანქანები უნდა დამრულებიყვნენ ადგილიდან, რომ უტბად ბოველის ხმა შემოესმათ.

— ბალალაშვილო, არ დაგვოწყდეს რაც ვითხარი, მომავალი წლის შემოდგომისთვის ბარემ ი გოგოც გაამთავრო! ხა ხა ხა...

— მომავალი წლისთვის კი რა მოვანხნო, მაგრამ ამაღამ გიგლამ ქორწილი გეაქვს გარდატენილი და უნდა გვეწვიო — ახლა კი ამაყად შეუსძახა თედომ.

— მე რასაც გეუბნები, შენ ის გამოიგონე! ქორწილისთვის სადა მცალია, ამაღამ მე თვითონ მავებს ქალის ნიშნობა!

— ნიშნობის ხალხით გვეტყუმრე, ვერ გაგიმასხინდლები თუ? — ეშვებოდა წამოიძახა ტატომ. გარდატენლმა სცილი აუტყდაო. გიგლამ თავლით ანიშნა არაფერი წამოროხოთო.

— მავ აღარ იშლით, მიღისბარო ჰა? — მივიდვიარო! — უპასუხა ბალალაშვილმა და ტატოს უთხრა წახულიყო.

ტატომ მანქანა მომართა.

— ნახვამდის! — ხელი აუწია ბალალაშვილმა ბოველს.

— კეთილი მგზავრობა! — უპასუხა ბოველმა და უკანინან კვლავ მიიძახა — არ დაგვოწყდეთ რაც ვითხარიო! ხა... ხა... ხა...

— მანამდე ნურაფერსა სჯამ! — თავისთვის ჩაბურტყუნა თედომ.

ტატომ თავი გადამოჰყო კახინიდან და ბიჭების გასაგებად გადმოსძახა.

— ზოგი ამალმაც გაიცინე! სოფლის განაპირას, ორღობის ბოლოს, გიგლამ შორიდანვე თვლი მოჰკრა ნათელას. მარტო რომ ვერ წახულიყო, ამხანავი წაეყვანა თან.

გაფრენილი მანქანა ტატომ ქალიშვილების წინ დამაშურებდა. გიგლამ კარები გაუღო. ნათელა ისარივით დაერჭო გიგლას გვერდით.

ტატომ მხოლოდ ახლა შეხედა მარტოდ დარჩენილ ქალიშვილს. ეს ის ცისფერთვალედა გოგონა იყო, ბეწენიკა რომ ეარსიყებოდა.

ტატოს თვალები გაუბრწყინდა. ღვინომ ენა ამოადგმივინა.

— გოგო, მოდი ბარემ და შენც წაგიყვან გარდატენში, არ გინდა?

ქალმა ამლაცერად შეხედა ტატოს.

ბალალაშვილმა ხელი წამოჰკრა კისერში: ნუ გადაპარბეო და მერე ნათელას მიუბრუნდა:

— ამ გოგომ თუ იცის ეს ამბავი?


— მარტო მავან იცის, სხვამ არავინ! — უპასუხა მორცხვად ნათელამ.

ბალალაშვილმა ფანქარი და ქალაღლი მოიმარჯვა. დაწერა: „მამანავ ბოველს ამალმად გიგლასი და ნათელას ქორწილი გვაქვს გარდატენში, სტუმრებთან დავეწვიო!“ ქალაღლი ოთხად დაკეცა და ახლა ზემოდან დაწერა: „სადაც შენი დიკეცხო, იქაც ჩემი თქვი. თ. ბალალაშვილი“.

ქალაღლი ცისფერთვალეებიანს გადასცა, ბოველს მიუტანეო და მერე ტატოს მიუბრუნდა:

— აბა, ახლა შენებურად გარეკე!

მანქანა სწრაფად მოსწავდა მიწას, მას სხვებიც მიჰყვნენ, ცოტა ხნის შემდეგ ზურნისა და დოლის დაფდავით გარდატენის მინდორზე მიჰქროდნენ.



ივანე მაჩაბლის ლიტერატურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს შექსპირის ტრაგედიათა ქართული თარგმანი: ერთი შეხედვით ეს თითქოს არც ისე მნიშვნელოვანი ფაქტია, განსაკუთრებით თუ მას წარმოვიდგინებთ XIX საუკუნის დიდ ქართველ მწერალთა შემოქმედების ფონზე, მაგრამ თუ ამ უკანასკნელთა მოღვაწეობა ძირითადად ერის წინაშე მდგარ, ისტორიულად ლოკალიზებულ პრობლემათა გადაწყვეტას ემსახურებოდა, ივანე მაჩაბელმა შექსპირის თარგმანით შექმნა ახალი ინტერესების სფერო: აღორძინების დიდი რეალისტის შექსპირის შემოქმედების ხალხური ხასიათი და აქედან გამომდინარე საერთო

ადამიანური ურთიერთობის პრობლემატიკა მაჩაბლის შემთხვევაში წარმოადგენდა ქართველი ხალხისადმი სამსახურის რთულსა და მაღალ ფორმას.

ივანე მაჩაბლის ისტორიული დამსახურება იმაშია, რომ მან უდიდესი როლი ითამაშა ქართული მხატვრული მეტყველების შემდგომ განვითარებაში—ქართული ენა გამოიყენა შექსპირის უნივერსალური სახეებისა და სიტუაციების ადეკვატური ფორმით გამოხატვისათვის, შექმნა ქართული სასცენო მეტყველება და ხელი შეუწყო ქართული თეატრის განვითარებას, დიდი როლი შეასრულა ქართული ვერსიფიკაციის წინსვლაში.

ილია ჭავჭავაძე ყოველნაირად აქეზებდა და ეხმარებოდა ივანე მაჩაბლის მთარგმნელობით საქმიანობას და ეს ფაქტი ადასტურებს შექსპირის თარგმნის მნიშვნელობას იმ საზოგადოებრივ საკითხთა შორის, რომელთა გადაჭრას ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე.

ილია ჭავჭავაძემ და ივანე მაჩაბელმა ერთად თარგმნეს შექსპირის „მეფე ლირი“, რომელიც წარმოადგენდა შექსპირის პირველ ქართულ თარგმანს, შესრულებულს ინგლისური დედნიდან. ეს თარგმანი შესრულებული იყო 1873 წელს პეტერბურგში, სადაც იმ დროს სწავლობდა ივანე მაჩაბელი და საქმეების გამო იმყოფებოდ ილია ჭავჭავაძე. თარგმანი ცალკე წიგნად დაიბეჭდა 1877 წელს, მაგრამ იგი ჯერ კიდევ მანამდე იყო საჯაროდ წაკითხული და სცენაზე წარმოდგენილი, და ქართული საზოგადოების დიდი მოწონება დაიმსახურა. „მეფე ლირის“ თარგმნის პროცესში გამტკიცდა ილიას მაღალი აზრი ივანე მაჩაბლის შესახებ. ილია ივანეს უწოდებდა „ჭკვიანს“ და „კარგი კალმის პატრონს“. ამბობდა, „ვანო ჩვენთვის დიდი ნუგეში იქნება“.

„მეფე ლირის“ შემდეგ შექსპირის თარგმნის საქმე ილიამ მთლად ივანე მაჩაბელს დაუთმო. მაჩაბელმა საგნებით გაამართლა ეს მაღალი ნდობა: 1886 წელს გამოქვეყნდა მის მიერ თარგმნილი „ჰამლეტი“, 1888 წელს—„ოტელო“, 1892 წელს—„მაკბეტი“, 1893 წელს—„რიჩარდ მესამე“, 1896 წელს—„იულიუს კეისარი“, ხოლო 1898 წელს „ანტონიოს და კლეოპატრა“ და „კორიოლანოსი“. ივ. მაჩაბლის შემოქმედებითი აქტივობის აღმავალი ხაზი უთუოდ დიდ სინანულს აგრძობინებს ქართველ მითხველს შექსპირის თარგმნის იმ პერსპექტივათა წინაშე, რომლებიც დაიღუპნენ ივანე მაჩაბლის უგზო-უკვლოდ დაკარგვასთან ერთად 1898 წელს.

ივ. მაჩაბლის თარგმანებს ახასიათებს ჭეშმარიტად შექსპირული ძალა, სილამაზე და მოქნილობა. ამ თარგმანებმა დაამტკიცეს, რომ შექსპირის შემოქმედებაში წამოყენებული საზოგადოებრივი პრობლემები ორგანულად გასაგები იყო მაჩაბლისათვის, ხოლო მათში ჩაქსოვილი აზრი და ენება—მაჩაბლის შემოქმედებითი ბუნების ანალოგიური. სწორედ ამ გარემოებათა წყალობით შექმნა ივანე მაჩაბელმა შექსპირის ქართული კლასიკური თარგმანი, რომელიც მართებულად ითვლება ერთ-ერთ საუკეთესოდ მსოფლიო ლიტერატურაში.

თავისი დიდი კულტურისა და შემოქმედებითი უნარის მეოხებით მაჩაბელმა საბოლოოდ გადაჭრა შექსპირის ქართული თარგმანის ფორმის საკითხი: მან დაამკვიდრა შექსპირის ათმარცვლოვანი თეორი ლექსისათვის—ქართული თოთხმეტმარცვლოვანი, რომლებიც ინგლისურ და ქართულ ენათა დიდი სხვაობის გამო ყველაზე უკეთ შეესაბამებინა ერთიმეორეს, ხოლო შექსპირის ნაწარმოებთა პროზაული ადგილებსათვის—შესანიშნავი ქართული პროზა, რომელშიც, ისევე როგორც ლექსში, შეერთებულია საუკეთესო ლიტერატურული ტრადიცია და ხალხური მეტყველების ფორმები. შექსპირიც სწორედ ამგვარ ნაერთში აქსოვდა თავის მაღალ ჰუმანისტურ აზრებს და ხალხურ სიბრძნეს. შექსპირის ანალოგიურად მაჩაბლის ერთ-ერთ უდიდეს დამსახურებას სწორედ ხალხური მეტყველების ნამდვილი ლიტერატურული ემანსიპაცია წარმოადგენს. მაგრამ მაჩაბელი მაინც იყო არა მონა თავისი გენიალური დედნისა, არამედ მისი შემოქმედებითი მეტოქე, როგორც ჭეშმარიტ მხატვარ მთარგმნელს შეეფერება, მან კონვენიალურად გადმოსცა შექსპირის სახეები, მაგრამ არ მოეცა უცხო მეტყველების გავლენაში. ქართული ენის უმახვი-

ლესი ნიუანსების მცოდნე მაჩაბელმა შექმნა შექსპირის სახეთა ადეკვატური, ფორმით ნაციონალური, ქართული ქლერადობა. მაჩაბლის შემოქმედების ეს მხარე განსაკუთრებით მოჩანს შექსპირის ნაწარმოებთა სახეფათო ადგილებს—თარგმანში, როგორცაა სიტყვების თამაში, ანდაზები, კალამბურები და რაც მთავარია, წინადადებების წყობა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ყოველი მთარგმნელის განსაცდელს, ბეჭვის ხილს, რომელზედაც გამოიცდება მშობლიური ენის ცოდნა და თარგმანში მისი გამოყენების უნარი.

ივანე მაჩაბელმა შექმნა თარგმნის მხატვრული შემოქმედებითი მეთოდი, რომელიც რეალისტურია ისევე, როგორც შექსპირის მხატვრული მეთოდი. რეალისტური მეთოდისა და საერთოდ რეალისტური სტილის წყალობით მაჩაბელი ადვილად სწვდება და გადმოსცემს ამავეთა ობიექტურ მდინარებას, ლირიკულ განცდებს, მკაცრ და უხეშ მეტყველებას, თვალთმაქცობას, მოვლენათა სწრაფ ცვლადობას. ამავე დროს ის ყველგან და ყოველთვის არის ბუნებრივი და ადამიანური, არსად—ყალბი, ხელოვნური, ძალდატანებული. ასეთივეა თვითონ შექსპირი. ასეთივე სცენიურ განსახიერებას მოითხოვენ შექსპირის დედანი და მაჩაბლის თარგმანი.

ივანე მაჩაბლის არქივში დაცული ინგლისური დედნები, რომლიდანაც იგი თარგმნიდა შექსპირის ნაწარმოებებს, მეტყველებენ იმ უდიდეს პასუხისმგებლობასა და სერიოზულობაზე, რომლითაც მაჩაბელი ეკიდებოდა თავის საქმეს. ამ საქმემ თავისი ნაყოფი გამოიღო: მაჩაბლის მომდევნო ქართული ლიტერატურა და სალიტერატურო ენა მის ტრადიციას დაემყარა, მის წინაშე ვალში იმყოფება.

გივი ბაჩიანილამ

ი. მაჩაბელი — „ვეზისცყაოსნის“ რედაქტორი

ქართულ ლიტერატურაში საკმაოდ ცნობილია ისტორია „ვეზისცყაოსნის“ 1888 წლის გამოცემისა, რომელსაც პირობით, მისი დაბეჭდვის ხარჯების გაღების გამო, ქართველიშვილისეულს ეძახიან.

ამ გამოცემისათვის ტექსტის დამდგენი რედაქცია ჯერ კიდევ 1880 წელს ჩამოყალიბდა, რედაქციის ძირითად შემადგენლობაში შედიოდნენ: გრ. ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე (თავმჯდომარე), ივ. მაჩაბელი, დავ. ერისთავი (მოადგილე), აკაკი წერეთელი, იაკ. გოგებაშვილი, რაფ. ერისთავი, იონა მეუნარგია (მდივანი), ნ. ტ. დადიანი, გ. წერეთელი, თ. უორდანი, ვლ. მიქელაძე და სხვ., მაგრამ ამ დიდი საქმის საბოლოოდ განხორციელების ყველაზე მძიმე საქმე, — დადგენილი ტექსტის მდიდრად დაბეჭდვა, ამ რედაქციის მონაწილე ორ ახალგაზრდა მწერალს მიენდო. ესენი იყვნენ ივ. მაჩაბელი და ი. მეუნარგია.

როგორც პოემის ამ გამოცემის ბოლო სიტყვა გვამცნობს, მისი საბოლოო და ყოველმხრივ რედაქტირების შემდეგ ამ ორთა შორისაც შრომა ისე განწილებულა, რომ რაც მეტად მძიმე და შვი საშუაო იყო — წიგნის ტექნიკური გაფორმება და ბეჭდვის პროცესში ყურისგდება — ივანე მაჩაბელს დაკისრებია.

ყოველ საქმეში ენერგიით სავსე ვანო მაჩაბელი დაკისრებულ მოვალეობის შესრულებას 1887 წელს უყოფანოდ შედგომია, ხოლო ი. მეუნარგია — ინიციატორი და პრაქტიკულად განმხორციელებელი ამ დიდი საქმისა — წიგნის ბეჭდვის დაწყების მომენტში, შემთხვევით შორს ყოფილა. აი რას სწერს იგი ი. მაჩაბელს: „მომწერე „ვეზისცყაოსნის“ საქმე. არამც და არამც არ დაიწყო ბეჭდვა შემოდგომამდის. მე გამოცდილი ვარ ბეჭდვაში და ვიცი: ბეჭდვა მაშინ უნდა დაიწყო კაცმა, როცა ყველაფერი მზად არის... ძნელია და თავსაქვეთი ეგ საქმე, მაგრამ რაკი ხელი მოჰკიდე, მეტი რა ღონია, თავში ქვა უნდა იცი, კი-

დეც იკითხო, ასწორო, ოფლი ღვარო და სულ ყველაფერი რომ დამზადდება, მეერ მოჰკიდო ხელი ბეჭდვას... აი კიდევ რჩევა: თუ სხვაგვარ მზათა ხარ, დაბეჭდე ნიმუშად ერთი ფორმა (რვა გვერდი) ვითომ და მართლად გამოსაცემად ბეჭდავთ, თავის ბორდიურებითა და სხვა ჰანგებით, წმინდად, ფაქიზად. დაბეჭდე ასე, ოციოდე გზემმალარი, აჩვენე ნაცნობ-მეგობრებს, იმათი აზრი მოისმინე, შენც და სხვებიც დააკვირდნენ ამ ზაფხულს (დრო დიდი ოსტატია) და ბოლოს, ვნახოთ რა გამოვა რისაგან. დამიჯერე, ხარჯს ნუ მოერიდები. ამ ფორმის აწყობა თუმანზე მეტი არ დაგიჯდება და ეს ერთი თუმანი ბევრ ჰქუას გასწავლის. ხომ ხედავ, საფრანგეთი მილიონს ხარჯავს საცდელ მობილიზაციისათვის, ვითომ შენც ბულანუე ხარ“...


მიუხედავად ამგვარი გაფრთხილებისა, ივ. მაჩაბელს „ვეზისცყაოსნის“ ბეჭდვა მაინც დაუწყია, რის შესახებაც ვაზ. „ნოვოე ობოზრენიეში“ მოთავსებული ცნობა წაუკითხავს, — რა სვანეთში მყოფ იონა მეუნარგიას, სიხარულით აღელვებული კვლავ სწერს ივანე მაჩაბელს:

„...и в ДОБРЫЙ ВАС. არ იქნება კარგი, რადგანაც ეს პირველი გამოცემა არის „როსკოშისა“, მაგრამ ხომ უნდა დაიწყოს როდისმე? — ჩვენი თაობის შეცდომებზე მეორე თაობა დალაქობას ისწავლის. მაგრამ რაც შეიძლება ცდას ნუ დააკლებთ, — გამოცემას შენი სახელი ერქმევა. ჰკითხე ასთა და „სრედნათ“ გამოარჩიე. ასე ჩემო ვანიჩკა“...

ვანოსაც თხოვნა მეგობრისა შეუსრულებია. სანიშნუო და საცდელი კი არა, მისთვის ნამდვილი ანაბეჭდები გაუგზავნია და ზედ ბარათიც მიუყოლებია 1887 წლის 27 აგვისტოს თარიღით; ამ ბარათში ის, სხვათა შორის წერს:

„ქმამ ონა... გიგავანი ოტისკს, რასაკვირველია, შავს; შევედუქით ბეჭდვას. ჯერ უნიფხვოდ იბეჭდება. უასიებოდ (ივლისხმება თავსამაჟული

1494



ძველი და ახალი რეზა

თ. ჩიქოვანი

ნოყიერ საძოვრების მწვანე ხალიჩით დაფარულ თრიალეთის მთებს შორის, გუჯარეთის უღელტეხილისაკენ მიმავალ ხეობასთან გაშენებულია ქართველებით დასახლებული, საკლემეურნეო ცხოვრებით განახლებული და აღორძინებული სოფელი რეზა.

რევალუციამდე საქართველოს სოფლებიდან რეზა ერთ-ერთი ყველაზე გადატაკებული და გაჭირვებული სოფელი იყო. ჩინოვნიკ მოხელეთა „წყალობით“ და სხვა ეთნიკური შედეგების მიხედვით თურქულ ქროვან მოსახლეობით გარემორტყმულ რეზელ ქართველებს გარდაუვალი გადაგვარება მოელოდა.

რეზელების ასეთი გაჭირვებული და სავალალო მდგომარეობა მოწინავე ქართველი ინტელიგენციისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. გასული საუკუნის მიწურულისათვის ქართული პრესის ფურცლებზე იბეჭდებოდა რეზელებისადმი თანაგრძობობით გამსჭვალული წერილები. ამ წერილებმა ფართო საზოგადოებრიობაში გამოაძახილი ჰქოვა. მაგრამ რეალური დახმარება არასიდან ჩანდა.

დახმარება და ადამიანური ცხოვრება როგორც სხვებს, ისე რეზელებსაც, მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოუტანა.

როგორც ყველა სოფელს, რეზასაც თავისი ისტორია აქვს, მაგრამ მისი ისტორია მხოლოდ და მხოლოდ რეზელთა ტანჯვა-წამებისა და ვაგლახი ცხოვრების მალაღებელია. სწორედ ასეთი ცხოვრების გამოა შეთხზული ხალხის მიერ ერთი პატარა ლექსი.

„თავს რესაც, ნოლს ებანღ,
შეაბი ბუშანაბანღ;
თუ მტარმა ასე გვიბა,
სასლი ბღღის ავიღანღ,
ვინდაც სასლი ავიღანღ,
შეგ ბღღისღა მოვისყინღ!“

რეზელების უმეტესი ნაწილი არტაანის მხრიდან, ს. ველიდან არიან მოსულები, ნაწილი კი ჯავახეთის სოფელ კოთელიდან.

რუსეთ-თურქეთის ომის (1828 წ.) დროს ს. ველში ცხოვრებმა ქართველებმა რუსის მხედრობას ყოველმხრივი დახმარება გაუწიეს. თურქებისაგან გამწარებული ქართველები სიხარულით შეეგებნენ ერთმორწმუნე რუსეთის მიერ გამოგზავნილ განმა-

თავისუფლებელ არმიას. მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ დადებული საზავო პირობებით (რომლის გამომწვევებშიც კოლონიზატორ ინგლისელების მზაკვრული ხელი ერია) სოფელი ველი და ბევრი სხვა, უკვე გათავისუფლებული ტერიტორია ისევ თურქთა მფლობელობაში გადავიდა.

თურქ დამპყრობთა შურისძიებით შემინებულ ველელ ქართველებს რუსეთის ხელისუფლებისათვის საქართველოში გადმოსახლების უფლება უთხოვიათ და მე-19 საუკუნის ოცდაათიან წლებში თითქმის ნახევრად გაპარტახებულ ს. რეზაში დასახლებულან.

ადგილობრივმა ხელისუფლებამ გადმოსახლებულებს არავითარი დახმარება არ გაუწია. პირიქით თავად ციცივილის (რეზა და მისი სანახები მას ეკუთვნოდა) მათი დამონება მოუნდობოდა. მაგრამ რეზელები არ დამორჩილებულან. საქმე იქამდე მისულა, რომ განრისხებულ თავად მათთვის პატარა მდინარე სახანაურით, (რომელიც ს. რეზას ჩამოედის) სარგებლობაც კი აუკრძალავს.

მცირე მიწა-წყლის მქონე რეზელები „... მთავრობასა და ციციანთ შეეგებნენ, დაუთმონ ფასად ცოტა რამ მამული მაინც, თორემ ტანჯულია რეზა და გაიტანება უფრო“ — (გ.წ. „ვერია“ 1900 წ. № 41) მაგრამ მთავრობას და ციცივილებს თხოვნა უპასუხოდ დაუტოვებიათ.

თურქულ ენოვან სხვადასხვა ეთნიკური შედეგების მოსახლეობით გარემორტყმულ ქართველებს მშობლიური ენა თანდათან ავიწყლებოდათ. ბერძენი მღვდლების აქტივობით, დროთა განმავლობაში რეზელების ნაწილი ბერძენულ მონათლეს. ხოლო მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის სტატისტიკური მონაცემებით თრიალეთში (წალკის რაიონი) არც ერთი ქართველი მოსახლე არა ყოფილა. თვით რეზას ქართველი მოსახლეობაც კი ბერძენულად არის გამოცხადებული. რა თქმა უნდა ასეთი სტატისტიკური ცნობების შედგენაში ძირითადად ადგილობრივი ბერძენი მღვდლების ხელი იყო გარეული. „ქეშიშის“ (მღვდელია თურქულად) ჩვენების დაუდევრობით, ჩვენა ბერძენულად გაუხდინართ. ჩვენს გვარი ნიკალაშვილის მაგვრად, ახლა ნიკამიღვანაა“ — ამბობს რეზელების ლუხვირი წარსულის მოგონებისას მოხუცი კოლმეურნი ლაზარე. ახლა რეზაში, ვისაც ბერძენული გვარი აქვს შემორჩენილია ყველას ქართული გვარების დაბრუნებაზე აქვს აღდრული საქმე.

სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. არჩილ ხრისტაფოროვს ძველი გვარის დაბრუნებასთან დაკავშირებით საბუთების მთელი შეკვრა აქვს დამზა-

დებული. მისი გვარი უწინ ღვინიაშვილი ყოფილა და არჩილიც თავისი მამა-პაპის გვარის დაბრუნებაზე ზრუნავს. ხრისტაფოროვის მაგალითი გაშინაკლის რაღაცა, ასევე იქცევიან მისი მეზობლებიც.

„ქეშიშის“ პროვოკაციული საქმიანობა იქამდე მისულა, რომ საბერძნეთში 1909-10 წ. წამსვლელ ნამდვილ ბერძენებსათვის, მათ ბერძენულ მონათლულ საბაძინო რამდენიმე ოჯახს გაყრდნობა მოუხერხებიათ. აუტანელი შიმშილით თავმოებერებული რეზელი, ცოლ-შვილის გამოკვების მიზნით, იძულებული იყო სხვაგან წასულიყო. „ჩვენი სოფლები სხვადასხვა კუთხეში რა არ გაქცეულიყვნენ, — გადმოგვცემს ნიკოლა ხუციშვილი, — აი, ბეშთაშენი ხო დიდი სოფელია, ჩვენი უფრო ბევრი ვიქნებოდით. განა აქ არ შეიძლებოდა კარგი ცხოვრება? მაგრამ ხელს არავინ გვიწყობდა. მიწა ჩვენი არ იყო და მამული“. დასკვნა ნ. ხუციშვილია.

ძველად რეზაში სწავლა-განათლებლაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. 1900 წ. ცნობით რეზაში მცხოვრებ 140 კომლიდან წერა-კითხვა არც ერთ კაცს არა სცოდნია. დღეს კი, საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ზრუნვის შედეგად, სოფელში წერა-კითხვის უცოდინარი სანთლით საქმენილია. თლილი ქვეთ, ლამაზად ნაშენ შენობაში დედა-ენაზე სწავლას ეწევიან ოდესღაც ტანჯული რეზელი მშრომელების შვილები. დღეისათვის, არა თუ საშუალო სკოლაში, არამედ უმაღლეს სასწავლებელშიც ბევრი რეზელი ახალგაზრდა სწავლობს. „იმ უფრო დროს ვინ იფიქრებდა, რომ რეზელი უმაღლეს სასწავლებელს გაათავებდა“ ამბობს 65 წლის მოწინავე კოლმეურნი ევგენი საბაძე. გასულ წელს ამ მოხუცმა 350 შრომადღე გამოიმუშავა.

სოფლისაგან თავმჯდომარის ამხ. არჩილის მოწოდებული ცნობებით რეზაში ბევრია კოლმეურნი, რომელსაც წელიწადში საშუალოდ 300-350 შრომადღე აქვს გამოიმუშავებული. მოწინავენი კი ხუთას შრომადღესაც ხშირად აჭარბებენ.

რეზელი კოლმეურნეობაში გამოირჩევიან საქონლის კარგი მოვლა-პატრონობით. რეზელებმა მესაქონლეობის მუშაობის ფერმა შექმნეს, სადაც მართა 1200 სული მსხვილფეხა საქონელია. მესაქონლეობის ბაზაზე რეზაში ყველის პატარა ქარხანა აშენდა, რომელიც მნიშვნელოვან შემოსავლს იძლევა. კოლმეურნეობაში შექმნილია მეცხენეობის, მეღორეობის და მეფრინველეობის ფერმები, რომელთაც თავისი წვლილი შეეკეთ, სერიოზო საკოლმეურნეო დოვლათის შექმნაში. მაგრამ რეზელები მიღწეული წარმატებით არ კმაყოფილებიან. წინათ მეცხენეობისათვის, ეგრეთ წოდებულ „უვარგის“ მიწაზე დღეს, მოწინავე აგროტექნიკის დახმარებით, კარგად მოვლილი ბოსტნები და დაჭიმული აქაური კომბოსტო, ჭარხალი და კარტოფილი გემრიელი და, ნიადაგისა და ჰაერის გავლენით, ჩვეულებრივზე მეტი ვიჯამინების შემცველია.

პარტიისა და მთავრობის უკანასკნელ დადგენილებებს რეზელები დიდი აღფრთოვანებით შეეგებნენ. ისინი სიტყვას იძლევიან, რომ კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანონ მესაქონლეობას, გაზრდიან სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობას. საამისოდ ხომ რეზელებს ყველა პირობა გააჩნიათ!

მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის წამყვან დარგად მესაქონლეობა ითვლება, პურეული კულტურების დათესვა და მოყვანაც რეზელთა დიდი საქმეა არის (ქეშუა). გასულ წელს ამ მთიან რაიონში იმდენად კარგი მოსავალი მოიყვანეს, რომ შრომადღეზე 3 კგ. ხორბალი გაანაწილეს.

ასე აღორძინდა და წელში გაიმართა ბედნიერი საკოლმეურნეო ცხოვრებით მეფის რუსეთის ჩინოვნიკური ხელისუფლების და მემამულეთა ავკაცობისაგან ოდესღაც თითქმის გაპარტახებამდე მიყვანილი ს. რეზა.

ასო — ს. ც.), უკანცოვებოდ, უბორდიურებოდ, უსათურებოდ. შემდეგ, როცა გათავდება მთელი წიგნი, მაშინ ხელახლა დაუბრუნდებით და ფერადი დაგებულად ამ მორთულობას. ყდა კარგი გამოდის, სურათებსაც არა უჭირს-რა. ნახავ თუ ჩვენმა პირველმა დალაქობამ არ გასჭრას. წიგნი 1 ონგრისათვის ვგონებ გამოვიდეს, ბევრი თავში ცემა უნდა; ხელახალი რედაქცია სჭირდება ნიშნებისა და ორთოგრაფიის მხრივ; შეგებრალეები რომ ნახო ჩემი სიტყვების სია, სად, რა, როგორ უნდა იწერებოდეს; შექმნა თუ შექმნა, სდის თუ დის, სულთქმა თუ სულ-თქმა და სხვა ამისთანა დავიღარაბა. მაგონი რუსთაველს ფენებზე ეკიდა ამისთანა ორთოგრაფია და იქნება ამ

სავნის მასწავლებელს „ორი“ შინაურად დაესვა მისთვის და ჩვენ კი თვალსა და გულს ვიწყალებთ. როგორ მოგეწონა ოტტისკი, მომწერე, მაგრამ გულს კი ნუ გამიხეთქავ. ლულაძის (იგულისხმება პედაგოგი ანდრია ლულაძე — ს. ც.) შენიშვნები მეყოფა. იმდღეს ერთი ყოფა დამაწია, როგორ თუ არ იცი გარტი რა არისო. ერთი ყოფა დამაწია და კი არ ამიხსნა. შენ კი იცი. იონა! თუ იცი, მანდღედან მაინც მიხსენი. ყველას მოეწონა ეს ოტტისკი. იმედია, შენც მოგეწონება, თუ ეს იმედი ჩვენებური მოწინავე წერილების იმედს არ ჰკავს. სხვა რაღა მოგწერო. თეატრს კარგს ვაშენებთ, მაგრამ სათეატრო პიესები კი არა იწერება-რა. ლიტერატურაშიაც

ვსუსტობთ. ნიკოლაძე (იგულისხმება ნიკო — ს. ც.) Обзорение-ში კოლტიკო-ეკონომიკოსს, ილია (ქავქავაძე — ს. ც.) ამზადებს რяд передовых статей о производстве хмеля вообще, на Кавказе — в частности. მე ოტტელი გაუთავებელი შემექნა, მაგრამ იმედია, მალე შევუტევ ჩემებურად. ილია ახლა საგურამოშია და პირობებს თურმე შოთა რუსთაველზე ლექციების წაკითხვას. ტყუილად კი არ ამბობს დავით ერისთავი, რას ჩააცვით ამ შოთა რუსთაველს, მამაჩემმა რაღა დააშავა, რომ იმას კი არ ახსენებოთ“. (მიმოწერა დაცულია ადრესატების არქივებში — საქ. ლიტერატურულსა და ზუგდიდის მუზეუმებში — ს. ც.).

ეს „ძნელი და თავსაქეკი საქმე“, რომელშიც ევგენი მესამჩნევი წვლილი შეიტანა ივ. მაჩაბელმა, საბოლოოდ 1888 წლის მარტში დაავრთვიდა. ქართველმა ხალხმა მიიღო ის ძვირფასი გამოცემა, რომელიც რუსთაველის გენიალური ქმნილების ბეჭდურ გამოცემებს შორის დღემდე იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას და მოწონებას. ხოლო მისი რედაქციისა და გამოცემისათვის ჩატარებული გულმოდგინე მუშაობა ივ. მაჩაბლისა, ახალ ფურცლებს შლის ამ მგწნებარე პატრონობისა და დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწის ცხოვრების შესწავლაში.

სოლომონ ცაიშვილი

სიკვდილი

ვილჰელმ ნადლერი რამდენიმე კვირის შემდეგ შევიდა საფრანგეთის ერთ-ერთ პურისმოსავლიან ადგილში. მათ დაიკავეს პატარა ქალაქი პიტვიე. ოცნება, რომელსაც წლობით ელოლიაგებოდა, აღსრულდა. იგი კვლავ ომშია და ეს ომი ზუსტად ისეთი აღმოჩნდა, როგორც მას ჰქონდა წარმოდგენილი. ბევრს როდი შეუძლია თქვას, რომ მათი ოცნება ასე განხორციელბულიყო.

ისინი ცოფიანი ძაღლების ხროვასავით შეესივნენ უცხო ქვეყანას; უცხო ხალხმა ქედი მოხარა მათი ძაღლისა და ძლიერების წინაშე. და თუ სადმე, ვინმე გაბუდავდა წინააღმდეგობის გაწევას, იგი იმ წამშივე გონს მოყავდათ. ყოველ ქალაქსა და სოფელში, სადაც კი ნადლერი თავისი ხალხით შეიჭრებოდა ხოლმე, სიძულვილი ამ სრულყოფილებიან დამპყრობთა დანახვისას შიშისძრწოლად იქცეოდა. ეს იყო გამართლება ნადლერის წარმოდგენისა ომზე, რომელიც მას შეეძინა სიზმრებში: თვალბრუნებით უსიტყვო მუდარა: „შენ გაქვს ჩემზე ძალა, მაგრამ იყავ სულგრძელი და შემობრალე!“ მიწის ის უზადრუკი ნაგლეჯი, რომელსაც ნადლერს სახლში მძა, ხრისტიანი ციცილებოდა, ამ დაპყრობილი ქვეყნების ველბრუნებთან შედარებით, უბრალო სილის გროვას წარმოადგენდა, და როცა ისინი ამ პურის ყანებს თელავდნენ, თითქოს პურის თავთავებიც, (ადამიანებივით რომ ირხეოდნენ) ემუდარებოდნენ: „შენ გაქვს ძალა, მაგრამ შემიბრალე!“ ეს ხმა ისმოდა ველებიანი ბიზინში. ასეთივე მუდარას ამოიკითხავდით ქალებისა და ბავშვების თვალბრუნებში: „შენ, რა თქმა უნდა, გაქვს ძალა, მაგრამ შეგვიბრალე!“ ვილჰელმ ნადლერი სრულიად ნეტარბრუნდა ამ ძალით, როცა ისინი თვითმფრინავებითა და ტანკებით ახშობდნენ წინააღმდეგობას. ეს იყო არა უბრალო ძალა რამდენიმე ურჩი ყმაწვილისა, არამედ ნაძვილი, დამსახურებული რამ, რასაც ეწოდება ძალაუფლება სიკვდილსა და სიკვდილზე.

მხოლოდ ერთხელ ჩასწვდა ვილჰელმს გული. ისინი სოფლის მოედანზე დაბანაკდნენ. პოლკის შტაბმა მზით გაათარანებულ ადგილას რამდენიმე მაგიდა დადგა, რომელზეც გაშლილი რუკები ეწყო. ვილჰელმს მაიორი ცხენიდან ჩამოხტა. ნადლერი უსაქმოდ იდგა და თვალს ადევნებდა რაც მის გარშემო ხდებოდა. მაიორში მან ერთბაშად იცნო თავისი ახალგაზრდობის კერპი — კაპიტანი დეგენპარტი, რომელიც მას მთელი გულით უყვარდა, როცა გერმანიაში სრული არეულება სუფევდა. იგი თავის ლეიტენანტთან მივიდა და თხოვა, რომ მის შესახებაც მოესწინებია ჩამოსული მაიორისათვის. ნადლერი აღუვლებული ადევნებდა თვალს როგორ ელაპარაკებოდა ლეიტენანტი მაიორს. მიგონებოდა მთელი გული მოაწყვდა ნადლერს. გაახსენდა როგორ ჩამოაყალიბეს ბრიგადა, როგორ გარჯიშობდნენ მანქანებზე, როგორ ყლტდნენ ტყვეებს. ერთ-ერთი ტყვე მაშინ მათ გრუნვალდით წაიყვანეს. ისინი შეაჩერა ოფიცრების მანქანამ, რომელიც გზაში ავარიამი მოყოლიდა. მათ მანქანები გაეცვალეს და ახალ თანამგზავრებთან ერთად თავიანთი პატიმარიც დახვრიტეს. შემდეგ მთელი წელიწადი მოლოდინითა და იმედებით იყო აღსავსე. ხოლო დეგენპარტი მათ ერთთავად დაათრევდა ყველგან და მომავალი ამბებისათვის ამზადებდა. ყველაზე საშინელი დღე მის ცხოვრებაში მათი ბრიგადის დაშლის დღე იყო. იგი იძულებული გახდა სახლში დაბრუნებულიყო. ახლა კი ყველაფერი კვლავ ძველებურადაა და მათი ძველი ნაცნობი საყვარელი სახეც მის წინ დგას. ნადლერი ხედავდა დეგენპარტმა როგორ მოავლო თვალი მოედანს, სადაც მის ნახვას დანატრებული უცნობი იდგა; მაგრამ იმის გამო, რომ ვილჰელმ ნადლერი ვერ იცნო ანდა იმიტომ, რომ დრო არ ჰქონდა მან მხოლოდ თავი დაიქნია და ჩაჯდა ოფიცრის მანქანაში.

ვილჰელმმა იმედისგაცრუება ჩაყალბა. მისი პოლკი პიტვიედან მეზობელ სოფელში გადაისროლეს. შარავნა სავეს იყო გამოქცეულებით, რომლებიც ძლივს მოათრევდნენ ფეხებს და ბრუნდებოდნენ სახლში, ან უფრო სწორად იქ, სადაც კიდევ რაღაცა გადარჩენილიყო მათი ჭერბიდან. ისინი, მიუხედავად დალილობისა, ხელის საზიდებითა და ზურგით მოათრევდნენ ყოველივე იმას, რისი გადაგდებაც არ შეეძლოთ. ეს იყო ლოგანი, ან სრულიად უცნაური ნივთები, ჩიტის გალია, ან სურათი, ზოგს შეხვეული ბავშვი მოყავდა, ვილჰელმსა საბავშვო ეტლით მოჰქონდა პატარა კუბო, რომელიც უნდოდა თავის ეზოში დაესაფლავებია. ორმა ოფიცრმა, ნადლერის ახლოს ცხენებით რომ მოდიოდნენ, ერთმანეთს გადაულაპარაკეს:

- გასაკვირია, რომ არც ერთ მათგანს ერთხელაც არ უსვრია ჩვენთვის.
- მათ უბრძანეს შეეწყვიტათ წინააღმდეგობა და აი, ისინიც ბრძანებას ემორჩილებიან.

ისინი შევიდნენ სოფელში, სადაც მოუწყველავი ძროხები ბლადნენ. მოედანზე ეკლესიის წინ, უკვე ეკიდა საველე ფოსტის ყუთი გერმანული გერბით.

„მოდი ერთი ლიზას სალამს გაუგზავნე!“ — გაიფიქრა ვილჰელმმა. იგი მოათავსეს გლეხის ქონში, რომელიც ვილჰელმმა მაშინვე თავისას შეადარა. ამ ქონს ვიწრო ეზო გვერდიდან ჰქონდა მიკრული და არა უკან, როგორც მის სახლს. რამდენიმე ადამიანი მღუმერად იცქირებოდა ფანჯრებიდან, ეტყობოდათ ესენი იყვნენ გამოქცეულები, რომელთაც აქ შეაფარეს თავი.

ვილჰელმ ნადლერი მაშინვე, როგორც კი იარაღი შემოისხნა, გამოვიდა ეზოში სადაც სახელდახელოდ მოწყობილ წყლის მილთან, ჯარისკაცები იზანდნენ. ნახევრადშიშველმა ჯარისკაცებმა ნადლერს ადგილი დაუთმეს. ერთმა მას ღმილით თავისი საბონი შესთავაზა, მეორემ კი თავისი ჯავრისა.

ხალხი ფანჯრებიდან ისეთი ყურადღებით უყურებდა წყლის მილს, როგორადაც შეგიძლია უყური ყველაფერს, ოდონდაც თავი დააღწიო იმ აზრს, რომელზეც დი-

დი ხნის ფიქრის ძალაც აღარ შეგწევს. ოთხიოდე მოხუცი მამაკაცი და ქალი იქნებოდა, ერთი ანი ნადლერის ტოლი ქალიშვილი, ორიც პატარა ბავშვი და ერთი ყმაწვილი, რომელსაც შეხვეული ხელი გულზე ჰქონდა დაკიდული. ეს იყო გამოქცეული ჯარისკაცი, რომელმაც იმისათვის, რომ პიტვიეში გერმანულების მიერ მოწყობილ საკონცენტრაციო ბანაკში არ მოხვედრილიყო, თავისი დოკუმენტები დახია და ჯარისკაცის ფორმა გლეხის ტანსაცმელზე გადაცვალა. იგი განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებდა თვალს როგორ იზანდნენ სალდათები. მან დანარჩენებზე მეტად ტანჯავდა აზრი, რომელიც აუტანლად ეჩვენებოდა.

ვილჰელმ ნადლერმა ტანთ გაიხადა. იგი ამაყობდა თავისი ჯანმრთელი მკერდის სხეულით, რომელიც ყველა დანარჩენ ახალგაზრდა სალდათების სხეულს არ ჩამოუფარდებოდა. გამოქცეულები ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ ფანჯრებიდან, როგორ იხეზავდა ნადლერი ტანს ჯავრისით. განსაკუთრებული ცნობისმოყვარეობით უყურებდა გადაცმული ჯარისკაცი, თითქოს ამითი შესძლებდა ჩამოეცილებოდა აზრი, რომელიც განსაკუთრებით ტანჯავდა მას. ეს იყო იგივე აზრი, რომელიც ერთი საათის წინ გამოხატეს ნადლერის გვერდით მომავალმა ოფიცრებმა: „არც ერთ მათგანს ერთხელაც არ უსვრია ჩვენთვის“ რატომ? ნაბრძანები იყო შესწყვიტო შეიარაღებული წინააღმდეგობა. რატომ? ვინ ვის უბრძანა? ვინ ვის დაემორჩილა? ჩვენ გაგვცეს. რას ნიშნავს — გაგვცეს? არაფერია გამცემლობაზე საშინელი რამ ამ ქვეყნად. იმიტომ, რომ მატყუარა ყველაზე სულმდაბლად და მოხერხებულად თამაშობს ადამიანის ყველაზე უსუსტ სიმეზზე. რატომ დავუჯერებთ გამცემლებს და რატომ დავემორჩილებთ? იმიტომ, რომ სიცოცხლე სიკვდილზე მეტად გვწყურია; იმიტომ, რომ სიცოცხლის უფლება გვქონდა, ჩვენ ამ მატყუარებს დავუჯერებთ; დავუჯერებთ მთელს მათ სიყალბეს, რაც უკვე თითქმის ხორციელდება. ყმაწვილი ნაცვლად იმისა, რომ წყლის მილისათვის ეყურებია, თავის აზრებს მიყვებოდა, რომელიც ალბათ, სახიფათო და მრისხანე აღმოჩნდება, თუ ცოტა ხანს კიდევ განაგრძობს ასე ფიქრს.

ყმაწვილი თავს ძალას ატანდა, რათა ეყურებია დანარჩენი შიშველი სალდათებისათვის. ვილჰელმ ნადლერი, ეს გაშიშვლებული სალდათი, თავიდან ბოლომდე ისე გაისახნა, თითქოს უნდოდა სპილენძის კერპით გაპრიალბულიყო. მან ცალი ხელი გაწია ილიის გამოსახანად... სალდათებმა გადაიხარხარეს.

— ერთი შეხედეთ როგორ მოგვჩერებიათ ფანჯრებიდან.

— მერედა რა არის აქ გასაკვირი? — თქვა ნადლერმა, მათ არასოდეს უნახებო, რომ ადამიანს პირწმინდად დაებანოს და მან ფანჯრებიდან მაყურებელი ქალების მისამართით რაღაც მოძრაობა გააკეთა. სალდათებმა ხმამაღლად გადინარხანეს. ნადლერი თავს გაახალგაზრდავებულად, ბედნიერად გრძნობდა, სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმული სალდათი კი სხვებთან ერთად ფანჯარასთან იჯდა და წარბეშეკრული უთვალთვალებდა როგორ გაწია ნადლერმა მარჯვენა ხელი ილიის გამოსახანად. ყმაწვილს განსაკუთრებულ ზიზღს გვრიდა ეს შიშველი სალდათი, რომელიც თავისი ჯანსაღი სხეულის ყოველ კუნჭულს გულდაგულ იზანდა. ეს იყო აშკარა გაშიშვლებული მტერი; ეს იყო საბნით გაჭიმული გაშიშვლებული თვითკამათილიება.

— აბა ონანს თითი დააჭირე. — უთხრა ნადლერმა ერთ-ერთ სალდათს. მან საბონი გადაავლო და თავისი სუფთა სხეულით კმაყოფილმა წყლის ქვეშ ტრიალი დაიწყო. წყალი მილიდან, რომელშიაც სალდათს თითი შეეყო, შადრევანივით მოჩქევდა. ის ლტოლვილი კი ფანჯრიდან სულ უფრო მეტად დაძაბული უყურებდა როგორ ტრიალებდა ნადლერი წყლის ქვეშ. „მეტი აღარ შემიძლია ვუყურო მას, — ფიქრობდა ახალგაზრდა, — უმჯობესია რაღაცა განყენებულზე ვიფიქრო თუ ფიქრი აუცილებელია“ — და მან გაიხსენა დედა, პატარა ბალი ბამიფიში, სირმის ძაფშემოგებული ფარდა შესასვლელ კარებზე პორტიერის ნაცვლად რომ ეკიდა. იგი ცდილობდა გაეხსენებია იმ ფარდის ზარნიში რათა აღარ დაენახა ეს გაცინებული, ტიტველი სალდათი, გაიხსენა როგორ შემოყოფდა ხოლმე მისი შეყვარებული თავს სირმის ძაფებში, ახლა ზარნიშიც გაიხსენა. როგორ ხმამაღლაც არ როხროხებდა ტიტველი სალდათი, იგი მაინც არ იყურებოდა მისკენ. — აი, სკოლა ბამიფიში, პატარა სახლი, პატარა ქუჩა, ისეთივე პატარა ტანის მასწავლებლები, როგორც სახლი და ქუჩა... თხზულება კორნელზე და შიში იმისა რომ იმავე კლასში დარჩება. ყველაზე საშინელი ისაა, რომ მან თხუთმეტი თხზულება უნდა დაწეროს; კვლავ უნდა დაწეროს თხზულება „სიღმე“.

აღარ იცინოდნენ წყლის მილთან „უკვე დაიბანა. — გაიფიქრა ყმაწვილმა, — ალბათ ახლა ტანის გამშრალბას იწყებს — არა, მეტს აღარ შეგხედავ. მე მსურს ვიფიქრო დედაზე, ჩემი სკოლის ამხანაგზე — ალფონსზე, მასწავლებელი ალფონსის მოხსენებებით ყოველთვის უფრო კმაყოფილი იყო. მას უფრო წკრილა ხმა ჰქონდა ვიდრე მე“.


- რისი გაკეთება შეუძლია მას სამის წინააღმდეგ?
- სიკვდილი!

„იქით არ უნდა ვიყურო, წინააღმდეგ შემთხვევაში... რა წინააღმდეგ შემთხვევაში?“ მან რევოლვერის შარვლის ჯიბეში ჩადება მოასწრო. თუ იგი ამას გაიხსენებს, მაშინ ყველაფერი გათავდა.

ვილჰელმ ნადლერი გაიჭიმა. თვითკამათილი მკერდი წინ წამოწია, პირსახოცი დაახვია და დაიწყო ზურგის გამშრალბება ზევიდან ქვევით. და სწორედ მაშინ მოხდა ის, რისი თავიდან აცდენაც ფრანგს უნდოდა. იგი, ნაცვლად იმისა, რომ წყლისათვის ეყურებია, თავის ფიქრებს გაყვა...

ფანჯრიდან ტყვიამ დაიგრილა. სუფთად დაბანული მკვდარი ვილჰელმ ნადლერი ეგო წყლის მილთან, საიდანაც წყალი კიდევ რამდენიმე ხანს მოჩქევდა. ჯარისკაცი, რომელიც წყალს ქაჩავდა და ისიც მილს რომ თითს აჭერდა, ამ ამბის დანარჩენ მოწმებთან ერთად, მისცივდნენ გლეხის სახლს.

გერმანულიდან თარგმნეს **თინა ჰდენტმა და თინა გელაჰვილმა**



ნათელი მოგვლისათვის მებრძოლი

გერმანიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და გერმანელი ხალხის ბელადი ერნსტ ტელმანი თერთმეტნახევარ წელიწადს იტანჯებოდა ფაშისტურ საპრობილემო ტელმანის სიცოცხლე მსხვერპლად

შეცნო ისტორიის განვითარების კანონები, ღრუხე გაეფრთხილებინა ხალხთა მასები ფაშისტური ომის საშიშროების შესახებ, იმის შესახებ, რომ ფაშისტური საბოლოოდ დადგა ძალმომრეობის პოლიტიკას, და რომ საჭიროა მის წინააღმდეგ ბრძოლა.

ტელმანი უარესად დიდი პატივისცემით ეპყრობოდა საბჭოთა კავშირს, სადაც პირველად გაიმარჯვა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებმა. წიგნში მოთხრობილია, თუ როგორ იყო აღფრთოვანებული ტელმანი კავშირის ხალხთა სამეურნეო და კულტურული წარმატებებით. იგი საბჭოთა კავშირზე სიმართლის გავრცელების უდიდესი ენთუზიასტი იყო. ტელმანი 1932 წელს წერდა „ჩვენ ვიცით ქვეყანა, სადაც არაერთი ფაშისტი არ არსებობს, სადაც შეუძლებელია ხდებოდეს ის, რაც გერმანიაში ხდება — ფაშისტი ჯალათების სისხლიანი ბოროტმოქმედება მუშათა კვარტალებში. — ეს ქვეყანა საბჭოთა კავშირია, სადაც მოსაბილია უმუშევრობა და მთელი მსოფლიოს პროლეტარიატს უჩვენებს რევოლუციურ გზასა და სოციალიზმის მშენებლობის დიდ მაგალითს“.

გერმანიაში ფაშისტური რეჟიმის სათავეში ჰიტლერის მოქცევა უდიდესი კატასტროფის მომასწავებელი იყო გერმანელი ხალხისათვის. ერნსტ ტელმანის მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებზე აღზრდილი კადრები უსასტიკესი დევნის პირობებში ებრძოდნენ ფაშისტურ, ჰიტლერს. ტელმანი ფაშისტულად აფასებდა გერმანიაში შექმნილ მდგომარეობას, როცა ამბობდა, რომ ჰიტლერი რაც უნდა დაუჯდეს ომს მოახვევს ხალხს თავზე, და საჭიროა გერმანელმა ხალხმა დაამხოს ომის ფაშისტი გამჩაღებლები.

ჰიტლერული ბანდა კარგად გრძობდა, თუ რა დიდ ძალას წარმოადგენდა ტელმანი ფაშისტური წინააღმდეგ ბრძოლაში. ამიტომაც იყო, რომ ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე ჰიტლერმა დააპატიმრებინა ტელმანი. მაგრამ პატიმრობაში მყოფი ტელმანიც კი შიშისზარს სცემდა ჰიტლერს, რადგან მისი სახელი წარმოადგენდა ფაშისტური იმპერიალიზმის წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ხალხთა ნათელი მომავლისათვის შეუპოვარი ბრძოლის სიმბოლოს.

შემდეგ ბრედელი წერს, რომ ტელმანის მკვლელობა, რომელიც მოაწყო ფაშისტურმა ბრძოლამ 1944 წელს სასამართლო პროცესის ვარეშე, წარმოადგენდა ფაშისტური რეჟიმის სისუსტეს, მის მოახლოებულ აღსასრულს. მართლაც, აღსრულდა ტელმანის წინასწარმეტყველება. საბჭოთა კავშირმა დიდ სამამულო ომში გაანადგურა გერმანიის ფაშისტური და ევროპის ხალხები ისხნა ფაშისტური მონობის საფრთხისაგან.


ფაშისტური განადგურების შედეგად გერმანიის ტერიტორიის ერთ მესამედზე საფუძველი ჩაეყარა ახალ ერას — არსებობს და ვითარდება მშვიდობიანი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა. გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, რომელიც მჭიდრო კავშირშია საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასთან და სხვა ქვეყნების მუშათა პარტიებთან, წარმატებით აკეთებს იმ საქმეს, რომელსაც სიცოცხლე შესწირა ტელმანმა.

გ. ბრედელის წიგნს „ერნსტ ტელმა-

ნი“, რომელიც გერმანიულიდან თარგმანითაა გვიწოდებ და გამოსცა „საბოლოტამმა“, დართული აქვს ვილჰელმ პიკის წინასიტყვაობა, ერნსტ ტელმანის სსოფენის აღსანიშნავად ვალტერ ულბრიხტის მიერ 1949 წლის აგვისტოში წარმოთქმული სიტყვა, აგრეთვე ტელმანის წერილი, რომელიც მან პასუხად გაუგზავნა ბაუტენის საპრობილემო მყოფ ამხანაგს. წიგნის ბოლოს დართულ ნ. კალანდარიშვილის სტა-

ტიში მოკლედ განხილულია გ. ბრედელის შემოქმედებითი გზა. ამ წიგნის გამოცემა მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი ქართველ მკითხველს გააცნობს ლენინისა და სტალინის ერთგული მოწაფის ერნსტ ტელმანის ცხოვრებასა და ბრძოლას თავისუფალი, დემოკრატიული გერმანიის შექმნისათვის. ტელმანის სახელს პროგრესული კაცობრიობა წინ წაიმძღვარებს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში.

დ. კაკაბაძე




შეეწირა შავნელ ფაშისტურ რეჟიმს, რომელიც ჰიტლერმა და მისმა დამკვეთებმა თავს მოახვეეს გერმანელ ხალხს. მაგრამ ის კეთილშობილური მომავლით გაბრწყინებული საქმე, რისთვისაც იბრძოდა ტელმანი მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში, ცოცხლობს დღესაც. აღმოსავლეთ გერმანიაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამარჯვება, რესპუბლიკისა, რომელიც იბრძვის შვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, წარმოადგენს ტელმანის საქმის გამარჯვებას.

ცნობილი გერმანელი კომუნისტი მწერალი ვილი ბრედელი თავის წიგნში „ერნსტ ტელმანი“ გვაცნობს გერმანიის კომუნისტური პარტიის ბელადის ერნსტ ტელმანის ცხოვრებასა და მის ბრძოლას კომუნისტური პარტიის განმტკიცებისათვის, გერმანელი ხალხის თავისუფალი და დემოკრატიული ცხოვრებისათვის, მშრომელი ხალხის ნათელი მომავლისათვის.

ერნსტ ტელმანი 16 წლისა იყო, როცა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში შევიდა, ხოლო 1925 წელს მას ირჩვეს გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარედ, ტელმანმა შეძლო გერმანიის კომუნისტური პარტია შეეკავშირებინა ერთიან მუშათა კლასის პარტიადა, გადაქცია იგი რევოლუციური მასობრივ პარტიადა, რომელიც ხელმძღვანელობდა მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიით, სწორედ ეს იყო ტელმანის ისტორიული დამსახურება. ტელმანი დაუღალავად სწავლობდა მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ყოვლისმძლე მოძღვრებას, სწავლობდა საზოგადოების განვითარების კანონებს, ლენინის და სტალინის უდიდეს გამოცდილებას მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში. სწორედ მარქსიზმ-ლენინიზმის დაუფლება აღწევდა საშუალებას ტელმანს, ღრმად

კ რ ო ს ვ ო რ დ ი



ვერტიკალურად:

- 1. სვეტიცხოველის არქიტექტორი. 2. ფრანგი მხატვარი. 3. ბერძნული ანბანის ასო. 5. წინასწარ გაცემული თანხა. 6. ჭურჭლის წონა. 8. ფერწერით გაფორმებული შენობის ნაწილი. 9. ქალაქი ავსტრალიაში. 15. სახელმწიფო აღმოსავლეთში. 16. სტიქიური მოვლენა. 17. პარკოსანი მცენარე. 18. ქართული ოპერა. 19. სპორტის სახე. 20. ნავსადგური საფრანგეთში. 22. შექსპირის ტრაგედია. 23. საშაქარლამო ნაწარმი. 25. მეტყველების ორგანო. 27. მოლი, ახალი ზალახი. 33. ჩრდილოეთ ამერიკის ზომიერ-კლიმატიანი რაიონების ვრცელი სტეპი. 34. პოლიტეკონომიური ტერმინი. 36. სურნელოვანი მცენარე. 39. გათენება, გარეთრეკი. 41. ფრინველის მიერ შეკრული კამარა. 43. ნავსადგური ჩინეთში. 44. პოლიტიკური კავშირი ორ სახელმწიფოს შორის.

ჰორიზონტალურად:

- 2. ფრანგი მწერალი. 4. კუნძული ხმელთაშუა ზღვაში 7. მუსიკალური ნაწარმოები, თხზულება. 10. ქალაქი ამერიკის შეერთებულ შტატებში. 11. ქალაქი აფრიკაში. 12. დადებითად დამუხტული ელექტრონი. 13. ძველი კოლხეთის დედაქალაქი. 14. მუსიკალური ნოტა. 16. რუსი მხატვარი. 17. ძველი ქვეყანა აზიაში. 21. მდინარე საქართველოში. 24. სახელმწიფო ამერიკაში. 26. ნავთობის ნაგებობა. 28. ინგლისელი პოეტი. 29. გერმანელი კომპოზიტორი. 30. ტრანსპორტის სახე. 31. არქეოლოგების მიერ გათხრილი ქალაქი მცირე აზიაში. 32. გოგოლის კომედის მოქმედი პირი. 35. ქალაქი უკრაინაში. 37. მზის ღმერთი ბაბილონში. 38. ყვავილი. 40. ლაშქარი ძველ საქართველოში. 42. სახელმწიფოს სახმელეთო შეიარაღებულ ძალთა ერთობლიობა. 44. ტბა მცირე აზიაში. 45. ჩეხი კომპოზიტორი. 46. ოპერა „ჯამბაზების“ მოქმედი პირი. 47. ძველი ბერძნული სახელმწიფო. 48. კურორტი საბჭოთა კავშირში.

გ ა რ ე კ ა ნ ი ს ბ ი რ ვ ე ლ გ ვ ე რ დ ვ ე : სტალინური პრემიის ლაურეატი, მწერალი ლეო ქიაჩელი.
მ ე ხ ა მ ე გ ვ ე რ დ ვ ე : ბაკურიანის ხედი.
ფერადი ფოტო გ. რაზმაძისა
ფოტოეტიუდი კ. კრემსკისა

რედაქტორი გრ. აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია: შ. ბუაჩიძე, შ. გვინჩიძე (პ/მგ. მდივანი),

ნომერი გააფორმა ალ. ბანძელაძემ


რედაქციის მისამართი: თბილისი, პლენარისის პრ. № 91. ტელ. 3-95-38 | ფასი 3 მან. | გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოცინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 6/III-54 წ. გამომც. № 7 ქალ. ზომა 70x108 1/2 ნაბეჭდი ფურც. 31 1/2 ტირაჟი — 15.000 შეკვეთის № 60 უფ 02507

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Д р о ш а“ (на грузинском языке)



ქართული
ბიბლიოთეკა



21

ფანი 3 მან.

6/1/41

საქართველოს
ბიბლიოთეკა



ზამთარი ბაკურციანში

ფოტოგრაფი მ. ზაზაძის

2 12 27
2
საქართველოს
ბიბლიოთეკა